

2014 წელი

# აღვოკატი

საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის შუკნალი № 4

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება – მიუთ საფრანგეთის წინააღმდეგ
- საქართველოს აღვოკატთა ასოციაციის ანგარიში
- თინათინ წერეთელი მეცნიერ-იურიტი, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი



ჟურნალის მომზადება და გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია“. ის არ ასახავს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან „აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.



ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების მომზადებას.



**რედაქტორი:** ზვიად კორმაძე

**სარედაქციო კოლეგია:**

ზაზა ხატიაშვილი, ნინო გვენეტაძე, ინგა თოდრია, მარინე კვაჭაძე, იოსებ ბარათაშვილი, პაატა ტურავა, ზაზა რუხაძე, ზურაბ ძლიერიშვილი, ირაკლი კორმაძია, აკაკი ჩარგეიშვილი, ჯეიმს მოლიტერნო.

**პროექტის კოორდინატორი:** თინათინ შულაროვა

**ლიტრედაქტორი:** მანანა ტაბიძე

**კორექტორი:** ესმა მანია

**დიზაინი:** თამარ დევდარიანი

**დაკაბადონება:** ნანა კალანდარიშვილი

**დიზაინი და დაკაბადონება:** შპს „ბიარტი“

**სტამბა:** შპს. გამომცემლობა „კოლორი“

ISSN - 1987-5479



ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების, ნაწილობრივი ან მთლიანი, გამოყენება კომერციული მიზნით ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ნებართვის გარეშე აკრძალულია.

**სარჩევი**

რედაქტორის წერილი .....	3
საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების ოქმი .....	4
სასწავლო ცენტრის ანგარიში.....	20
ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში შეტანილი ცვლილება- დამატებების შესახებ კომენტარი (8,9,10,11,მუხლები) .....	25
ეთიკის კომისიის რეკომენდაცია .....	33
ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება .....	39
ეთიკის კომისიის ანგარიში .....	44
„ხელმწიფის კარის გარიგება“ .....	49
სოფიო ბერიანიძე - დავალების ხელშეკრულების მიმოხილვა და ძირითადი მახასიათებლები .....	51
ნინო ბოჭორიშვილი - მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე სამწლიანი ვადით დანიშვნის პრობლემა .....	59
მამუკა მამალაძე - მედიაცია .....	64
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება - მიშო ავსტრიის წინააღმდეგ .....	68
სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილება - მოკლე მიმოხილვა .....	78
თინათინ წერეთელი - სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი .....	80



## მოგესალმებით, კოლეგებო!

წარმოგიდგენთ ჟურნალის მეოთხე ნომერს.

წინამდებარე ნომერში იხილავთ 2012-2013 წლებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საქმიანობის ანგარიშსა და ადვოკატთა ასოციაციის 2013 წლის 8 დეკემბრის საერთო კრების ოქმს.

კვლავ გრძელდება სამეცნიერო-კვლევითი **სტატიების** გამოქვეყნება, რამდენადაც ჟურნალის ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულებაა ადვოკატებში სამეცნიერო საქმიანობის წახალისება.

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების** რუბრიკაში გთავაზობთ აქტუალურ გადაწყვეტილებას „მიშო საფრანგეთის წინააღმდეგ“, რომელიც ითარგმნა ევროკავშირის პროექტის („სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“) დახმარებით.

ამავე ნომრის **ეთიკის** ნაწილში, ეთიკის კომისიის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებასა და ეთიკის კოდექსში ცვლილებების

კომენტარებთან ერთად, მოცემულია ეთიკის კომისიის რეკომენდაციები შემოსულ კითხვებთან დაკავშირებით.

**ღვანლმოსილი ადვოკატებიდან** ამჯერად სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებლის, ადვოკატთა კოლეგიის წევრის, მეცნიერ-იურისტის, თინათინ წერეთლის შესახებ მოგიტორობთ.

ნომერში, ტრადიციისამებრ, წარმოდგენილია, ქართული **სამართლის ძეგლების** ფოტოები. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრსა და მის ხელმძღვანელს ბუბა კუდავას, რომლის მხარდაჭერითაც გახდა შესაძლებელი ჟურნალში ქართული სამართლის ძეგლების სურათების განთავსება.

გვინდა, მადლობა გადავუხადოთ USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტს JILEP-ს, რომლის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერითაც გამოიცემა ჩვენი ჟურნალი.

კოლეგებო,

ეს ჩემი ბოლო სარედაქტორო წერილია, ვინაიდან, ახალი აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, მე აღარ ვიქნები ჟურნალის რედაქტორი. ჩემთვის დიდი პატივი იყო ადვოკატთა ასოციაციის ჟურნალის აღდგენასა და გამოცემაში მონაწილეობა, მოხარული ვარ, რომ ჟურნალი ყოველ თქვენგანთან მოდიოდა და ასოციაციასა და მის წევრებს შორის კომუნიკაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდა. წარმატებებს გისურვებთ და დაგემშვიდობებით François Fyot de la Marche–ის სიტყვებით ადვოკატის პროფესიის შესახებ:

*“ეს პროფესია იარაღის გარეშე აშინებს ძალას, დაძაბულობის გარეშე აკავებს ძალადობას, მონყობილობების გარეშე დაჰყავს ძლიერება და ამბიციის თავმდაბლობამდე და შიშამდე. სამართლიანობამ გახადა იგი თავისი განაჩენების ერთ-ერთ მთავარ იარაღად; მჭევრმეტყველებას უყვარს იგი, როგორც ღვიძლი ქალიშვილი; სიკეთის კეთება წარმოადგენს მის მამოძრავებელსა და ჯილდოს; მეცნიერება ემსახურება მას, როგორც გზამკვლევი, ყველგან გაისმის მისი ბრწყინვალე წარმატებებისა და დიდების ხმა. ის გულს უთბობს გულგრილებს, აიძულებს სუსტებს და აკავებს მოძალადეებს; ამავდროულად, განაცვიფრებს მოქალაქეებს; მოსამართლეები მას პატივს სცემენ, მფარველობენ და უყვართ; და ბოლოს: მას შეუძლია: დაატყვევოს იძულების გარეშე, გაიტაცოს ბრძანების გარეშე, თავი გამოიჩინოს ამპარტავნების გარეშე, დაესხას თავს და დაიკვას თავი საფრთხის გარეშე, დათმოს შერცხვენის გარეშე და იმეიმოს ქედმაღლობის გარეშე - აი, მისი თვისებები; გამდიდრდეს ძარცვის გარეშე, მოიპოვოს ნდობა სიმუხთლის გარეშე, ამაღლდეს სხვათაგან მფარველობის გარეშე, შეინარჩუნოს ღირსება დამცირების გარეშე, დაბერდეს წახდენის გარეშე - აი, მისი უპირატესობა; დატკბეს, პატიოსანი სიხარულით, შეუბღალავი დიდებით, უსაზღვრო რეპუტაციით, შურისთვის მიუნვდომელი დამსახურებით - აი, მისი ბედნიერება და სრულყოფილება.”*

პატივისცემით,  
ზვიად კორძაძე  
რედაქტორი  
ასოცირებული პროფესორი (გაუ)

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“  
საერთო კრების ოქმი #7**

8 დეკემბერი, 2013 წელი

კრების ჩატარების ადგილი:  
თბილისი, მელიქიშვილის ქ #1.  
თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი

**დღის წესრიგი:**

10:00-14:00	<b>წევრთა რეგისტრაცია</b>
12:00-12:15	<b>კრების გახსნა</b>
12:15-12:30	<b>ხმის დამთვლელი კომისიის არჩევა</b>
12:30-12:40	<b>საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2013 წელს განეული საქმიანობის შესახებ</b> <i>ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი</i>
12:40-13:00	<b>საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2013 წელს განეული საქმიანობის შესახებ</b> <i>ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ეკატერინე გასიტაშვილი</i>
13:00-13:20	<b>საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2013 წელს განეული საქმიანობის შესახებ</b> <i>ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი, სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარე ზვიად კორძაძე</i>
13:20-13:50	<b>თავმჯდომარეობის კანდიდატების მიერ საარჩევნო პროგრამის წარდგენა</b>
14:00- 20:00	<b>ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს წევრების, ეთიკის კომისიის წევრების და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები</b>
20:00-22:30	<b>ხმების დათვლა</b>
22:30-23:00	<b>არჩევნების შედეგების გამოცხადება</b>
23:00	<b>კრების დახურვა</b>

რეგისტრაცია დაიწყო 10:00 საათზე და კრების გახსნის დროს 12:00 საათზე რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობა იყო 1502, ხოლო 14:00 საათისთვის რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, რეგისტრირებულ ადვოკატთა რაოდენობა იყო 1751.

კრება გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის - ზაზა ხატიაშვილის მისასალმებელი სიტყვით.

კრების რეგლამენტის თანახმად, კრებაზე დამსწრე ადვოკატებიდან დასახელდნენ ხმის დამთვლელი კომისიის კანდიდატები: 1.კახა კოჟორიძე, 2.ირაკლი

ალხაზიშვილი, 3.შალვა ნადირაძე, 4.უჩა ქირია, 5.ივანე პეტრიაშვილი, 6.კობა მემარნიშვილი, 7.ანა მურაჩაშვილი, 8.თამარ მაჭავარიანი, 9.დავით ძაგანია, 10.ნათია ბოკუჩავა, 11.მარიამ ხაჭაპურიძე, 12.ვლადიმერ ქუთათელაძე, 13. თამარ სურმავა, 14.ნანა წულაძე, 15.ნიკოლოზ დავითულიანი.

### **მოცემულ საკითხზე დაიწყო ღია კენჭისყრა:**

კენჭისყრის საფუძველზე კრებამ ერთხმად დაამტკიცა ხმის დამთვლელი კომისიის 15 წევრი. წინააღმდეგი არ ყოფილა, თავი არავის შეუკავებია. ხმის დამთვლელი კომისიის შემადგენლობიდან, კომისიის მიერ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა კახა კოჭორიძე.

### **პირველი საკითხი:**

#### **მოისმინეს:**

კრების თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა კრებას წარუდგინა ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ:

აღმასრულებელი საბჭოს არაერთმა გადაწყვეტილებამ შეუწყო ხელი ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციურ გაძლიერებას, კანონის უზენაესობის განმტკიცებას, ადვოკატის უფლებებისა და პროფესიული თავისუფლებების დაცვას. ასევე, საადვოკატო საქმიანობაში ჩაურევლობის უზრუნველყოფას, იურიდიული განათლების ხელშეწყობას და ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებას, ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვას, ადვოკატთა სოციალური დაცვის გარანტიებს.

### **განხორციელებული პროექტები ( 2010-2013 წლები)**

- ასოციაციის წევრობის დამადასტურებელი მოწმობები შეიცვალა ახალი პლასტიკური ბარათებით, რომელზეც დატანილია დამცავი შტრიხ კოდი.
- ადვოკატები ერთი წლის განმავლობაში სარგებლობდნენ უფასო სამედიცინო დაზღვევით;
- საპენსიო ასაკის ადვოკატებზე გავრცელდა შეღავათი. თბილისში მომუშავე საპენსიო ასაკის ადვოკატებისთვის საწევრო გადასახადი განისაზღვრა 100 ლარით, ხოლო რეგიონებში მოღვაწე საპენსიო ასაკის ადვოკატებისთვის წლიური საწევრო გადასახადი შემცირდა 50 ლარამდე.
- დასავლეთ საქართველოში მომუშავე ადვოკატებისთვის ასოციაციამ შეიძინა ოფისები ქუთაისსა და ბათუმში. იგეგმება ოფისების შექმნა ფოთში, ზუგდიდსა და ახალციხეში.
- ქუთაისსა და თელავში ადვოკატებისთვის გაიხსნა რეგიონული წარმომადგენლობები, რომლებიც აღიჭურვა თანამედროვე საოფისე ტექნიკითა და ბიბლიოთეკით.
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია გახდა ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოების საბჭოს (CCBE) და ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციის (IBA – International Bar Association) წევრი;
- შეიქმნა სისხლის სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე სოსო ბარათაშვილი); სამოქალაქო სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე გოჩა სვანიძე); ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე ქეთევან ქვარცხავა);

და კომერციული სამართლის კომიტეტი (თავმჯდომარე ზაზა ბიბილაშვილი); აგრეთვე, ადვოკატთა უფლებების დაცვის კომისია (თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი); განგრძობადი იურიდიული განათლების კომისია და საგანმანათლებლო საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა ზვიად კორძაძე.

- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრების პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით და ასოციაციის უკეთ ფუნქციონირებისა და ადმინისტრირებისათვის ქ. თბილისში შექმნილ იქნა მეორე შენობა (ძმები ზუბალაშვილების N33), სადაც განთავსდა ასოციაციის სასწავლო ცენტრი და გაიხსნა ტრენინგების მეორე დარბაზი. 2013 წლის სექტემბრიდან ქ. თბილისში ტრენინგების ჩატარება შესაძლებელი გახდა პარალელურად ორივე ტრენინგ-დარბაზში,
- ევროსაბჭოს დაფინანსებით შეიქმნა ადვოკატთა რეესტრის საძიებო სისტემა და კვის-მენეჯმენტის სპეციალური პროგრამა;
- 2012 წელს შექმნილი ადვოკატის პროფესიის მარეგულირებელ საკითხებზე მომუშავე ჯგუფის მიერ შემუშავდა რამდენიმე საკანონმდებლო ცვლილება. ჯგუფი შედგებოდა ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრებისაგან;
- საქართველოსა და სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან გაფორმდა თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანი იყო ერთობლივი სამართლებრივი კვლევების წარმართვა, საგანმანათლებლო საქმიანობისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, ერთობლივი პროგრამების განხორციელება;
- გაიხსნა ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული ბიბლიოთეკა, რომლის ძირითადი ბენეფიციარები ადვოკატები, სტაჟიორები და იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები არიან;
- საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ, გავროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის წარმომადგენლობის (UN OHCHR) მხარდაჭერით, საქართველოში ჩატარდა კვლევა „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა შორის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში სასწავლო საჭიროებების შესახებ,“ რომლის შედეგად გამოიკვეთა ადვოკატთა თეორიული ცოდნის კონკრეტული ხარვეზები, რომლებზედაც თავად გამოკითხული ადვოკატები უთითებდნენ კვლევის პროცესში. დაისახა აღნიშნული ხარვეზების აღმოფხვრის კონკრეტული გზები და საშუალებები.
- საქართველოს პროკურატურასთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის მიზანია, მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და აღმოფხვრის, დაცვისა და ბრალდების მხარის კვალიფიკაციის გაუმჯობესებისა და მათი მხრიდან სასამართლო სხდომებზე ქცევის ერთიანი ეთიკური სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა;
- შეიქმნა საქართველოს პროკურატურისა და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ერთობლივი სამუშაო ჯგუფი – საერთო პროფესიული ეთიკისა და იურიდიულ პროფესიათა შორის ურთიერთობის საკითხებზე მომუშავე

ჯგუფი. ჯგუფის ხელმძღვანელად დამტკიცდა – ირაკლი კორძახია. შედეგად, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და საქართველოს პროკურატურას შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში ხელი მოეწერა ადვოკატთა და პროკურორთა ეთიკურ სტანდარტებს;

- „ახალგაზრდა ადვოკატებსა“ და „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას“ შორის დაიდო ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოში ადვოკატთა კორპუსის გაძლიერებას, უფლებების დაცვას, ინსტიტუციურ განვითარებას;
- შეიქმნა ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი, რომელს მიზანია ადვოკატების სოციალური დაცვის ხელშეწყობა, სოციალური დაცვის გაუმჯობესება; სოციალური დაცვის თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება, ფონდის მუშაობის შედეგად მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფილ იქნა ხუთი ადვოკატი;
- ყოველკვარტალურად გამოდის პროფესიული ჟურნალი „ადვოკატი“;
- შეიცვალა და განახლდა ასოციაციის ვებ-გვერდი;
- გაღრმავდა თანამშრომლობა სვხადასხვა ქვეყნების ადვოკატთა ასოციაციებთან;
- გამოდის ელექტრონული საინფორმაციო გამოცემა „პროფესიული ამბები“;
- საერთაშორისო ორგანიზაციების დაფინანსებით ითარგმნა და გამოიცა წიგნები;
- საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის და პარიზის ადვოკატთა ასოციაციის ორგანიზებით ბათუმში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია;
- ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და იურიდიული საზოგადოებების საბჭოს (CCBE) დელეგაციის ვიზიტისას ადვოკატთათვის ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია;
- ადვოკატთა საერთაშორისო ასოციაციისა და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის (IBAHRI) მიერ გაიმართა ანგარიშის პრეზენტაცია – „სამართლის უზენაესობის განმტკიცება: ქართველ ადვოკატთა წინაშე მდგომი გამოწვევები და შესაძლებლობები“;
- გაიმართა ევროპის საბჭოს ადამიანთა უფლებებისა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) მიერ, ევროკავშირის ფინანსური ხელშეწყობით „ადვოკატთა პროფესიის“ შესახებ ანგარიშის განხილვა;
- სარევიზიო კომისიის მიერ მოწვეული იყო აუდიტორული ფირმა, რომელმაც განახორციელა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2009–2012 წლების აუდიტორული ანალიზი;
- საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.
- მეორე საკითხი:
- მოისმინეს: ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ-ეკატერინე გასიტაშვილმა კრებას წარუდგინა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ანგარიში 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ეთიკის კომისია ფუნქციონირებს 2006 წლიდან და განიხილავს ადვოკატთათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს.

ეთიკის კომისიის შემადგენლობაშია 15 წევრი, 12 ადვოკატი და 3 საზოგადოების



წარმომადგენელი. ეთიკის კომისია 5 კოლეგიად არის დაყოფილი. ყოველი კოლეგია დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. ეთიკის კომისიას, ისევე როგორც თითოეულ კოლეგიას, ჰყავს თავმჯდომარე.

ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას, „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონისა და პროფესიული ეთიკის კოდექსთან ერთად, ეყრდნობა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს პრაქტიკას, ადვოკატთა პროფესიული ქცევის სტანდარტების დამდგენ სხვადასხვა აქტებს, როგორცაა, გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ და ევროსაბჭოს რეკომენდაციები ადვოკატთა პროფესიის დამოუკიდებლობის შესახებ. ამასთან, ეთიკის კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები მუდმივად ეცნობიან ამერიკის იურისტთა ასოციაციის პროფესიული ქცევის წესებსა და ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსით დადგენილ სტანდარტებს. ამერიკელი და ევროპელი ექსპერტების მონაწილეობით იმართება შეხვედრები, გასვლითი ტრენინგები, რაც კომისიას აძლევს საშუალებას მუდმივად დახვეწოს თავისი მუშაობა.

2010-2013 წლების განმავლობაში ეთიკის კომისიის ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებებისა:

- შემუშავდა საჩივრის ფორმა, რომელიც ხელმისაწვდომია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებგვერდზე, ასევე სტატისტიკის ფორმა და ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხები;
- მიმდინარეობდა მუშაობა „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულების ახალ პროექტზე;
- ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში“ მხარდაჭერით შეიქმნა ეთიკის კომისიისათვის ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამა;
- მომზადდა ვებგვერდისათვის ინგლისურენოვანი მასალის ნაწილი;
- სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი;
- ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში“ – მხარდაჭერით განხორციელდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მუხლების კომენტირება ეთიკის კომისიის არსებული პრაქტიკის საფუძველზე;
- ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის განმტკიცება საქართველოში“ – მხარდაჭერით ბიბლიოთეკისთვის შექმნილია წიგნები ეთიკის საკითხებზე ;
- ევროკავშირისა და USAID-ის JILEP პროექტების მხარდაჭერით ჩატარდა კონფერენცია საადვოკატო პროფესიული ეთიკის საკითხებში ადვოკატებისა და მართლმსაჯულებაში მონაწილე სხვა პირებისა და ინსტიტუტების, ასევე, საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით;
- ეთიკის კომისიის მიერ ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით მიღებულ იქნა სარეკომენდაციო გადაწყვეტილებები, რომლებიც ხელმისაწვდომია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ვებგვერდზე ეთიკის კომისიის სხდომის ოქმების სახით;
- ევროკავშირის პროექტის – „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ და USAID–ს პროექტის JILEP ხელშეწყობით გაიმართა სემინარები ეთიკის საკითხებზე ეთიკის კომისიის წევრებისა და აპარატისთვის;
- დაიწყო ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დანერგვა. პროგრამის ფარგლებში ადვოკატებსა და განმცხადებლებს მიეცემა შესაძლებლობა გამარტივებული ფორმით მიიღონ ინფორმაცია ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების თაობაზე;

- ეთიკის კომისიის წევრები კომისიის წარმომადგენლების სახით ჩართულნი არიან საკანონმდებლო ცვლილებებზე მომუშავე იმ ჯგუფის საქმიანობაში, რომლის მიზანია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებისა და დამატებების მომზადება, რაც პროფესიული ეთიკის მომწესრიგებელ ნორმებსაც შეეხება;
- EWMI-JILEP-ის თანადგომით მომზადდა პროექტი ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებების შეტანის შესახებ, რომელიც 2012 წლის 08 დეკემბერს მიიღო საერთო კრებამ;
- ეთიკის კომისია ჟურნალ "ადვოკატი" აქვეყნებს კომენტარებს ეთიკის კოდექსის ცალკეულ ნორმაში შესული ცვლილება-დამატებების შესახებ
- EWMI-JILEP-ის თანადგომით, ექსპერტის რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა პროექტი „ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ დებულებაში დამატების შეტანის შესახებ, რომელიც 2012 წლის 08 დეკემბერს მიიღო საერთო კრებამ;
- EWMI-JILEP-ის მხარდაჭერით ჩატარდა ეთიკის კომისიის წევრთა ტრენინგი სარეკომენდაციო დასკვნების მომზადების სფეროში;
- EWMI-JILEP-ის მხარდაჭერით ეთიკის კომისიის წევრებმა და თანამშრომლებმა გაიარეს სპეციალური სწავლება კომუნიკაციის საკითხებში, რაც ორიენტირებულია როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური მუშაობისას კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შორის, ასევე კომისიის საქმიანობის მომხმარებლებთან ეფექტური ურთიერთობის უნარებზე;
- EWMI-JILEP-ის და სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ მონაწილეობით ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად განხორციელდა ეთიკის კომისიის წევრთა შეხვედრები;
- EWMI-JILEP-ის მხარდაჭერით, ეთიკის კომისიის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა,;
- NORLAG-ის პროექტის ფარგლებში ეთიკის კომისიის ბიბლიოთეკამ შეიძინა ახალი ლიტერატურა;
- ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, კომისიის ყველა გადაწყვეტილება ქვეყნდება ვებგვერდზე; 01 ივლისიდან ქვეყნდება იმ ადვოკატთა ვინაობა, რომელთაც საქმიანობის უფლებამოსილება შეუჩერდათ განსაზღვრული ვადით, ხოლო დეკემბრიდან ქვეყნდება ყველა ადვოკატის ვინაობა, რომელთაც დისციპლინური სახდელის სახით გაფრთხილება განესაზღვრათ;
- EWMI-JILEP-ის ხელშეწყობით, ეთიკის კომისიის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ, ვირჯინიის იურისტთა ასოციაციაში პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარებისა და შემდგომ საქმიანობაში დანერგვის მიზნით;
- 2012 წელს, EWMI-JILEP-ის მხარდაჭერით, ჩატარდა კონფერენცია, სადაც ადვოკატთა ასოციაციის მმართველმა ორგანოებმა, მათ შორის ეთიკის კომისიამ, ვრცელი ანგარიში წარადგინეს საადვოკატო პროფესიული ეთიკის საკითხებზე ადვოკატებისა და მართლმსაჯულებაში მონაწილე სხვა პირებისა და ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით;
- 2012 წელს ეთიკის კომისიამ ასოციაციის თავმჯდომარესა და აღმასრულებელი საბჭოს წევრებთან ერთად რეგიონებში გამართა შეხვედრები ადვოკატებთან ეთიკის საკითხებზე;
- EWMI-JILEP მხარდაჭერით ეთიკის კომისიამ 2013 წლიდან დანერგა და დაიწყო რეკომენდაციების გაცემა როგორც წერილობით, ისე „ცხელი ხაზის“ მეშვეობით. „ცხელი ხაზი“ ადვოკატებს დამატებით შესაძლებლობას აძლევს ადვოკატის

პროფესიული ეთიკისა თუ დისციპლინური წარმოების შესახებ შეკითხვებზე დროულად მიიღონ პასუხები. რეკომენდაციები და „ცხელი ხაზის“ მეშვეობით გაცემული პასუხები ქვეყნდება ასოციაციის ვებგვერდზე, ასევე ასოციაციის პერიოდულ გამოცემაში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ხელმისაწვდომობა ადვოკატებისათვის;

- ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისიის ხელშეწყობით (NORLAG) ქართულ ენაზე გადაითარგმნა შედარებითი კვლევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებზე, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას და ხელმისაწვდომი იქნება ადვოკატებისათვის;
- ევროკავშირის პროექტის ფარგლებში – “სისხლის სამართლის რეფორმა საქართველოში” – დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები უზენაეს სასამართლოში ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურის მოსაწესრიგებლად, იმ მიზნით, რომ საქმისწარმოებაში არ გამოიყენებოდეს ანალოგიით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ამჟამად მიმდინარეობს ეთიკის კომისიის 2012-2013 წლების პრაქტიკის ანალიზი-განზოგადება, რაც ხელმისაწვდომი იქნება ადვოკატებისთვის ევროკავშირის პროექტის ფარგლებში.

## ეთიკის კომისიის საქმიანობის 2010-2013 წლის სტატისტიკა

2010 წლის განმავლობაში ეთიკის კომისიაში შემოვიდა - 108 საჩივარი, 2011 წელს - 115 საჩივარი, 2012 წელს - 152 საჩივარი, ხოლო 2013 წელს 07 ოქტომბრის მდგომარეობით - 131 საჩივარი. კლიენტთა გარდა, ეთიკის კომისიას საჩივრით მომართავენ ადვოკატები, სასამართლო, საქართველოს სახალხო დამცველი, პროკურატურა. კომისიას საჩივრები გადმოეგზავნა სხვა სახელმწიფო დაწესებულებებიდანაც, მათ შორის პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან, სამინისტროებიდან და პროკურატურიდან.

2010 წელი:

დისციპლინური დევნა არ აღიძრა - 74 საქმეზე.

დისციპლინური წარმოება შეწყდა - 3 საქმეზე.

დისციპლინური დევნა აღიძრა - 10 საქმეზე.

6 საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე:

– 2 საქმეზე დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა **კერძო სარეკომენდაციო ბარათი**;

განისაზღვრა - **გაფრთხილება**;

ერთ შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა.

2011 წელი:

დისციპლინური დევნა არ აღიძრა - 56 საქმეზე.

დისციპლინური წარმოება შეწყდა - 20 საქმეზე.

დისციპლინური დევნა აღიძრა - 19 საქმეზე.

12 საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე:

– 3 საქმეზე ადვოკატების მიმართ დისციპლინური ზემოქმედების ზომად განისაზღვრა **კერძო სარეკომენდაციო ბარათი**;

– 6 საქმეზე დისციპლინური სახდელის სახით **გაფრთხილება** იქნა გამოყენებული;  
 – 3 საქმეზე სახდელად გამოყენებულ იქნა **საქმიანობის უფლების ჩამორთმევა განსაზღვრული ვადით**.

5 შემთხვევაში ადვოკატი გამართლდა.

საქართველოს უზენაეს სასამართლოში ადვოკატის მიერ აპელაცია შეტანილ იქნა 4 საქმეზე. ოთხივე შემთხვევაში ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

2012 წელი:

დისციპლინური დევნა არ აღიძრა - 61 საქმეზე.

დისციპლინური დევნა შეწყდა - 44 საქმეზე.

დისციპლინური დევნა აღიძრა - 29 საქმეზე.

18 საქმეზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენის თაობაზე:

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ანგარიში ეთიკის კომისიის მიერ მიერ 2013 წელს განეული მუშაობის შესახებ.

### **მესამე საკითხი:**

**მოისმინეს:** საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს თავმჯდომარემ - ზვიად კორძაძემ კრებას წარუდგინა საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2013 წლის საქმიანობის შესახებ:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიზანია იყოს წამყვანი ინსტიტუტი, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი ხარისხის, სპეციალიზებულ, პროფესიულ, იურიდიული სწავლების შესაძლებლობას მოქმედი და მომავალი ადვოკატებისა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის. 2006 წლიდან დღემდე სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდებს, ხოლო 2008 წლიდან ინტენსიურად ატარებს ტრენინგებს, სემინარებს, ლექციებს, კურსებს, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრებისა და იურიდიული პროფესიის სხვა წარმომადგენლებისთვის.

ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, 2012 წელს დამტკიცებული განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე ამოქმედდა განგრძობადი იურიდიული განათლების სისტემა, რომლის ფარგლებშიც, ადვოკატთა ასოციაციის წევრებისათვის სავალდებულო გახდა საგანმანათლებლო კრედიტსაათების დაგროვება.

2012 წლის ბოლოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, განგრძობადი იურიდიული განათლების მარეგულირებელი კომისია გაუქმდა და შეიქმნა სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭო, რომელიც არის ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სათათბირო ორგანო, იგი შეიმუშავებს საგანმანათლებლო სტრატეგიას, პროფესიაში მიღებისა და განგრძობადი იურიდიული განათლების სტანდარტებს, წესებს და განსაზღვრავს სასწავლო ცენტრის საქმიანობის მიმართულებებს.

USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის მხარდაჭერით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს EastWestManagementInstitute-ი, მზადდება ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ელექტრონული პროგრამა. გამოცდების ჩატარების წესში შესული ცვლილებების საფუძველზე, 2014 წლიდან ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრს ექნება შესაძლებლობა, გამოცდაში მონაწილეობის მსურველებს შესთავაზოს გამოცდის ჩაბარების ალტერნატიული საშუალება.

## სასწავლო ცენტრის მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროექტები

- პროექტი “ადვოკატთა პროფესიული ეთიკა”**- 2011 წელს ცენტრის მიერ შემუშავდა პროექტი “ეთიკა განგრძობად იურიდიულ განათლებაში”, რომელიც ითვალისწინებდა ქ. თბილისსა და ქუთაისში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესახებ ტრენინგების ორგანიზებას. პროფესიული ეთიკის შესახებ პროექტის საფუძველზე 2012 წლიდან, დღემდე, ადვოკატთა ტრენინგების ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს EastWestManagementInstitute–ი.
- პროექტი “სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა”**-2012 წელს სასწავლო ცენტრისა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩველთა მისიის წარმომადგენლობის მიერ (NORLAG) შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2012 წლიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით, სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევდა ადვოკატთა ტრენინგებს თემაზე “სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე, უდანაშაულობის პრეზუმფცია და მხარეთა თანასწორობა”. ტრენინგები ჩატარდა ქ. თბილისსა და ქუთაისში.
- პროექტი-“ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ”**. 2013 წელს, სასწავლო ცენტრსა და გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა საქართველოში“ – ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2013–2014 წწ. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევდა ადვოკატთა ტრენინგებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საკითხებზე. პროექტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო ღონისძიებები და აქტივობები განხორციელდება თბილისში, თელავსა და ზუგდიდში.
- პროექტი - „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის საკითხებზე“**. ევროკავშირსა და ევროპის საბჭოს შორის არსებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2013–2014 წწ. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევს ტრენინგებს ადვოკატებისთვის, „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის საკითხებზე“. პროექტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.
- პროექტი - “ადვოკატთა ტრენინგები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე”**. პროექტის ფარგლებში 2013 წელს, სამოქალაქო სამართლის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზების მიზნით, სასწავლო ცენტრმა გამოაცხადა სპიკერების შესარჩევი კონკურსი და კონკურსის შედეგად შეირჩა 9 სპიკერი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის ტრენინგების ორგანიზებას. ადვოკატთა გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები და ოქტომბერ–დეკემბრის ჩათვლით ჩატარდება ტრენინგები შემდეგ თემებზე: ქონების რეგისტრაცია, ინტელექტუალური საკუთრება, ხელშეკრულების განმარტება, კონდიქციური და ვინდიკაციური სარჩელები – გამოყენების სფერო, მეთოდები და საშუალებები, ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, საერთაშორისო კომერციული, ბიზნესხელშეკრულების დადება, დავის განმხილველი სასამართლო და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება.

ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, რომელსაც საქართველოში ახორციელებს—EastWestManagementInstitute—ი.

- **პროექტი—„ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას“.** პროექტის ფარგლებში მომზადდა 2 სასწავლო მოდული შემდეგ საკითხებზე: „ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალში“ და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, მედიაცია და განრიდება“. აღნიშნული მოდულების მიხედვით ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და ქუთაისში.

**ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, განხორციელდა შემდეგი საგანმანათლებლო ღონისძიებები:**

**ტრენინგები შემდეგ საკითხებზე:**

- ადვოკატთა პროფესიული ეთიკა;
- მედიაცია;
- სამართლებრივი მართლწერა;
- სოციალური დაცვის გარანტიები საოციალურად დაუცველი პირებისთვის;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები;
- საალსრულებო წარმოება;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები;
- სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და გასაჩივრების მექანიზმები;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და დაცვის მექანიზმები;
- ვალდებულებითი სამართლის აქტუალური საკითხები;
- საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- სასამართლო ექსპერტიზა;
- სასამართლო უნარ-ჩვევები;
- ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო;
- მხარეები სამოქალაქო პროცესში, თავისუფლებაზეზღუდული პირების უფლება დაპატიმრების პირობებსა და ჯანმრთელობის დაცვაზე;
- ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალში;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მედიაცია, განრიდება;
- ადვოკატთა სიმპოზიუმი;
- ფაქტების კონსტატაცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები;
- ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის სფეროში;
- ექსპერტი მონმის დაკითხვა;
- საერთაშორისო კომერციული დავები;
- ადვოკატის პროფესიული გამოწვევები სისხლის სამართლის პროცესში;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის ერთობლივი ანალიზი;

- სასამართლო- ფსიქიატრიული და ავტოსაგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა;
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები;
- 2 ეროვნული კონფერენცია ბიზნესსამართლის საკითხებზე.

**სასწავლო ცენტრისთვის შეიქმნა ახალი ვებგვერდი edu.gba.ge, სადაც შესაძლებელი იქნება ინფორმაციის მიღება საგანმანათლებლო ღონისძიებების, გამოცდების, კურსებისა და იურისტებისთვის საინტერესო სხვა საკითხების შესახებ.**

საერთო კრებამ მოისმინა და ცნობად მიიღო ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საგანმანათლებლო საბჭოს ანგარიში 2013 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

### **მეთხე საკითხი:**

კრების თავმჯდომარემ - ზაზა ხატიაშვილმა მიმართა ასოციაციის თავმჯდომარეობის კანდიდატებს დამსწრე წევრებისთვის წარედგინათ საარჩევნო პროგრამები. კრების რეგლამენტის თანახმად, კანდიდატების მიერ საარჩევნო პროგრამის წარსადგენად თითოეულისთვის განსაზღვრული იყო 10 წუთი.

თავმჯდომარეობის კანდიდატმა ნუგზარ ბირკაიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ კრებას არ უნდა ხელმძღვანელობდეს ასოციაციის თავმჯდომარე, რომელიც ამავდროულად არის თავმჯდომარეობის მსურველი კანდიდატი, რადგან სხვა კანდიდატები იმყოფებიან არათანაბარ მდგომარეობაში და მიმართა კრებას წინადადებით, შეეტანათ ცვლილება რეგლამენტში, რის მიხედვითაც ასოციაციის თავმჯდომარეს აღარ ექნებოდა კრების თავმჯდომარის უფლებამოსილება.

კრების თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა განმარტა, რომ ასოციაციის წესდების მე-13 მუხლის, 13.3 პუნქტის თანახმად, საერთო კრების მოწვევისა და კრების თავმჯდომარეობის უფლებამოსილება გააჩნია ასოციაციის თავმჯდომარეს ან, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ არჩეულ პირს საბჭოს შემადგენლობიდან. ამდენად, მისი განცხადებით, ბ-ნ ნუგზარ ბირკაიას მოთხოვნა მისთვის გაუგებარია. ასევე, მან განმარტა, რომ უკვე დამტკიცებული საერთო კრების დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა კრების მონაწილეების სიტყვით გამოსვლას და, ამავე წესდების 13.4 პუნქტის თანახმად, ასოციაციის წევრების არანაკლებ 10 (ათი) პროცენტს შეუძლია მოითხოვოს ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დღის წესრიგში კრების მოწვევის შესახებ განცხადებისა და დღის წესრიგის გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 7 დღისა. აღნიშნული მოთხოვნით ასოციაციისთვის არავის მოუშართავს, ამიტომაც მოუწოდა ყველა დამსწრე წევრს, დაეცვათ რეგლამენტი და არ შეეფერხებინათ კრების მსვლელობა.

თავმჯდომარეობის კანდიდატების მიერ საარჩევნო პროგრამების წარდგენა წარიმართა ანბანური თანმიმდევრობით.

13:45 წუთზე ნუგზარ ბირკაიამ კრებაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავისი საარჩევნო პროგრამა;

13:55 წუთზე მამუკა მდინარაძემ გააცნო კრების მონაწილეებს საარჩევნო პროგრამა;

13:20 წუთზე ვასილ ოსეფაშვილმა წარადგინა თავისი საარჩევნო პროგრამა;

14:30 წუთზე ლევან ჭოხაძემ კრებაზე დამსწრე საზოგადოებას გააცნო თავისი საარჩევნო პროგრამა;

14:45 წუთზე კრებაზე ზაზა ხატიაშვილმა წარადგინა თავისი საარჩევნო პროგრამა;

15:00 საათზე ასოციაციის თავმჯდომარეობის მსურველმა ერთ-ერთმა კანდიდატმა - ნუგზარ ბირკაიამ გააკეთა განცხადება თავისი კანდიდატურის მოხსნის შესახებ.

**მეხუთე საკითხი:**

ასოციაციის თავმჯდომარის, აღმასრულებელი საბჭოს წევრების, ეთიკის კომისიის წევრების, ეთიკის კომისიის არაადვოკატი წევრებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნები.

**მოცემულ საკითხზე დაიწყო დახურული კენჭისყრა:**

16:00 საათზე დაიწყო ხმის მიცემის პროცედურა არჩევნებში მონაწილე თავმჯდომარეობის კანდიდატების, აღმასრულებელი საბჭოს წევრების, ეთიკის კომისიის წევრების, ასევე, ეთიკის კომისიის არაადვოკატი წევრებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევის მიზნით. ხმის მიცემის პროცედურა მიმდინარეობდა 4 საათის განმავლობაში 20 :00 საათამდე.

ხმის მიცემის პროცედურის დასრულების შემდეგ, ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარემ კახა კოჭორიძემ გამოაცხადა ასოციაციის თავმჯდომარის არჩევნების შედეგად მიღებული შედეგები:

ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა 1302

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა 87

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ბირკაია ნუგზარ (მოხსნა კანდიდატურა)
2. მდინარაძე მამუკა- 292
3. ოსეფაშვილი ვასილი-6
4. ხატიაშვილი ზაზა- 994
5. ჭოხაძე ლევან-10

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზაზა ხატიაშვილი.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს (შემადგენლობა: ზაზა ხატიაშვილი, იმედა დვალაძე, ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, ბესო აბაშიძე, ცისმარი ონიანი, ზაზა ბიბილაშვილი) მიერ მიმდინარე კრების რეგლამენტში შვიდა ცვლილება და საერთო კრების რეგლამენტის მე-9 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „იმ შემთხვევაში, თუ არჩევნების პროცედურა გაჭიანურდა 22:00 საათამდე, აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის საარჩევნო ყუთები დაილუქება სპეციალური ლუქით და გადატანილი იქნება ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ოფისში (მისამართი: თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ #36), სადაც გაგრძელდება ხმების დათვლა“.

კრების დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე მსჯელობა ამოიწურა. კრებაზე საკითხები განხილულ იქნა დღის წესრიგით გათვალისწინებული რეგლამენტით.

**23:00 საათზე კრების თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ, მ/ნ 8 დეკემბრის საერთო კრების რეგლამენტის მე-9 მუხლში შეტანილი ცვლილების თანახმად, ხმის დამთვლელი კომისიის მიერ აღმასრულებელი საბჭოს, ეთიკის კომისიისა და სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატების ბიულეტენების დათვლა გაგრძელდა მ/ ნ 9 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში.

მ/ნ 11 დეკემბერს, ხმის დამთვლელმა კომისიამ დაასრულა აღმასრულებელი საბჭოს,



ეთიკის კომისიის და სარევიზიო კომისიის წევრობის კანდიდატების ბიულეტენების დათვლაზე მუშაობა და მ/ წ 8 დეკემბრის საერთო კრების კრების რეგლამენტის, მე-8 მუხლის თანახმად, ხმის დამთვლელი კომისიის მიერ შედგა შემატამბელი კრების ოქმი, რომელიც ხმის დამთვლელი კომისიის წევრებისა და კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერით, საერთო კრების ბეჭდით დამოწმებული გადაეცა ადვოკატთა ასოციაციას (**იხ. დანართი #1**). აღნიშნული ოქმის შესაბამისად:

მ/ წ 8 დეკემბრის მდგომარეობით, ადვოკატთა ასოციაციის ერთიან სიაში არსებული ადვოკატთა რაოდენობა იყო -3690

რეგისტრაცია გაიარა 1751 ადვოკატმა

თითოეული სახის მიღებული ბიულეტენების რაოდენობა –1751

თითოეული სახის გამოყენებული (გაცემული) ბიულეტენების რაოდენობა-1393

კენჭისყრაში მონაწილე ადვოკატთა რაოდენობა-1393

### **ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარის არჩევნების შედეგები:**

ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა: 1302

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა-87

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ბირკაია ნუგზარ (მოსხნა კანდიდატურა)
2. მდინარაძე მამუკა- 292
3. ოსეფაშვილი ვასილი-6
4. ხატიაშვილი ზაზა- 994
5. ჯოხაძე ლევან-10

### **ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზაზა ხატიაშვილი.**

### **ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს არჩევნების შედეგები:**

ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა- 1347

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა-45

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ალასანია ბონდო- 468
2. ასათიანი დავითი-734
3. აბაშიძე ბესარიონ-267
4. ბენიძე ნონა-84
5. ბედოშვილი შალვა-197
6. ბიბილაშვილი ზაზა-252
7. ბოჭორიშვილი კობა-317
8. ბოჭორიშვილი ნინო-223
9. გაგნიძე გრიგოლი-109
10. გელაშვილი ზაალი-136
11. გიორგაძე გრიგოლი-80
12. დვალაძე იმედა-282
13. თევზაძე გიორგი-465
14. კორძახია ირაკლი-372
15. კუბლაშვილი მარიამი-293
16. ლანჩავა დავით-621

17. ლაფაჩი მალხაზი-160
18. მამაცაშვილი მამუკა-328
19. მიგრიული როინი-737
20. მოდებაძე დათუნა-602
21. მოსიაშვილი გავი-241
22. ნოზაძე მამუკა-606
23. ონიანი ცისმარი-634
24. როსტიაშვილი ზურაბი-652
25. სალაყაია მალხაზი-146
26. ფეიქრიშვილი ნოდარი-222
27. ქვარცხავა ქეთევან-299
28. ქუთათელაძე თამილა-131
29. ქურდაძე შალვა-243
30. ლურწყაია მუხრანი -66
31. ყანდაშვილი ირაკლი-617
32. ჩარგეიშვილი აკაკი-230
33. ჩიქოვანი მერაბი-213
34. ძამსაშვილი მარინა-129
35. ჭკადუა ირმა-622
36. ჭყონია ზურაბი-154
37. ჭოგლიძე გია-176

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ აღმასრულებელი საბჭოს წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირები:**

1. მიგრიული როინ
2. ასათიანი დავით
3. როსტიაშვილი ზურაბ
4. ონიანი ცისმარი
5. ჭკადუა ირმა
6. ლანჩავა დავით
7. ყანდაშვილი ირაკლი
8. ნოზაძე მამუკა
9. მოდებაძე დათუნა
10. ალასანია ბონდო
11. თევზაძე გიორგი

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის ადვოკატი წევრების არჩევნების შედეგები:**

- ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა- 1346  
 ბათილი ბიულეტენების რაოდენობა-45  
 კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:
1. აბაიაძე პავლე-503
  2. ბაქრაძე თორნიკე -542
  3. ბეგიაშვილი გიორგი-292
  4. ბეროშვილი იმედა-264
  5. ბიბილეიშვილი ლალი-224
  6. გაბედავა ია-525
  7. გასიტაშვილი ეკატერინე-572

8. გიორგაძე გიორგი-308
9. გრიგალაშვილი ხათუნა-520
10. დალაქიშვილი მანანა-206
11. თაქთაქიშვილი გიორგი-199
12. კაკაბაძე დავითი-307
13. კვაჭანტირაძე დავითი-284
14. კორკოტაძე ნათია-545
15. კორძაძე ზვიადი-603
16. კუპრავა-ნამგალაძე ინგა-416
17. ლემკაშელი ელზა-441
18. მაისურაძე მერი-172
19. მერლანი თამარი-218
20. პაქსაძე ემზარი-311
21. სვანიძე გოჩა-457
22. ტაბლიაშვილი გია-561
23. ტურაბაშვილი გიორგი-664
24. ფურელიანი ხათუნა-443
25. შონია ირაკლი-318
26. ჩხეიძე ლევანი-238
27. ცხვედიანი ციცინო-690
28. ხუციშვილი მაია-347
29. ჯაფარიძე მაკა-257
30. ჭეიშვილი თეა-470

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის ადვოკატ ნევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირები:**

1. ცხვედიანი ციცინო
2. ტურაბაშვილი გიორგი
3. კორძაძე ზვიადი
4. გასიტაშვილი ეკატერინე
5. ტაბლიაშვილი გია
6. კორკოტაძე ნათია
7. ბაქრაძე თორნიკე
8. გაბედავა ია
9. გრიგალაშვილი ხათუნა
10. აბაიაძე პავლე
11. ჭეიშვილი თეა
12. სვანიძე გოჩა

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის არა ადვოკატი ნევრების არჩევნების შედეგები:**

- ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა-1281  
 ბათილი ბიულეტენების რაოდენობა-108  
 კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:
1. კვაჭაძე მარინე-756
  2. ძლიერიშვილი ზურაბი-955
  3. ხუციშვილი იმედა-493
  4. ჯორბენაძე სანდრო-747

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის არა ადვოკატ წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირები:**

1. კვაჭაძე მარინე
2. ძლიერიშვილი ზურაბ
3. ჭორბენაძე სანდრო

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის წევრების არჩევნების შედეგები:**

ნამდვილი ბიულეტენების რაოდენობა-1284

ბათილი ბიულეტენების რაოდენობა-85

კანდიდატების მიერ მიღებული ხმების რაოდენობა:

1. ბარბაქაძე დავითი-360
2. ბჟალავა ლელა-534
3. ზედელაშვილი გიორგი-372
4. კიკნაძე ვლადიმერი -482
5. კორძაძე მარინე-333
6. ლეჟავა არჩილი -262
7. მასიკაშვილი ლიანა-466
8. მორჩილაძე რამაზი -466
9. პაპოშვილი მარიამი -240
10. სიორდია გელა- 289
11. შუბთიძე ცირა-349
12. ჩხაიძე ელგუჯა-466
13. ხარაიშვილი ანა-300

**ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ შემდეგი პირები:**

1. ბჟალავა ლელა
2. კიკნაძე ვლადიმერ
3. მორჩილაძე რამაზ
4. მასიკაშვილი ლიანა
5. ჩხაიძე ელგუჯა

**დანართი #1- ხმის დამთვლელი კომისიის მიერ წარმოდგენილი საერთო კრების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.**

გაზა ხატიაშვილი  
ს.ს.ი.პ „საქართველოს ადვოკატთა  
ასოციაციის“ თავმჯდომარე



საქართველოს  
აღმოსავლეთის  
ასოციაციის  
სასწავლო  
ცენტრი

## ადვოკატთა ასოციაციის წევრთა საყურადღებოდ!

აკრედიტებული საგანმანათლებლო ღონისძიებების/  
ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მისაღებად და  
რეგისტრაციის გასავლელად გთხოვთ, მოგვწეროთ ან  
დაგვიკავშირდეთ:

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის  
სასწავლო ცენტრი**

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

sascavlocentri@gba.ge; education@gba.ge

მის: ძმ. ზუბალაშვილების 33.

## 2012–2013 წწ. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის მიერ განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში განხორციელებული პროექტები

### პროექტი -“ადვოკატთა პროფესიული ეთიკა”

განგრძობადი იურიდიული განათლების კონცეფციის საფუძველზე სასწავლო ცენტრმა აიღო პასუხისმგებლობა ორგანიზება გაენია ადვოკატთა ტრენინგებისთვის პროფესიული ეთიკის სფეროში. 2011 წელს ცენტრის მიერ შემუშავდა პროექტი – “ეთიკა განგრძობად იურიდიულ განათლებაში”, რომელიც ითვალისწინებდა თბილისსა და ქუთაისში ადვოკატთა პროფესიული ეთიკის შესახებ ტრენინგების ორგანიზებას. პროფესიული ეთიკის შესახებ პროექტის საფუძველზე 2012 წლიდან დღემდე, ადვოკატთა ტრენინგების ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, და მას საქართველოში ახორციელებს East West Management Institute–ი.

### პროექტი -“სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა”

2012 წელს სასწავლო ცენტრისა და საქართველოში ნორვეგიის კანონის უზენაესობის მრჩეველთა მისიის წარმომადგენლობის მიერ (NORLAG) შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2012 წლიდან 2013 წლის მაისის ჩათვლით, სასწავლო ცენტრი ორგანიზებას უწევდა ადვოკატთა ტრენინგებს თემაზე “სასამართლო გადაწყვეტილებების დასაბუთება სისხლის სამართლის საქმეებზე, უდანაშაულობის პრეზუმფიცია და მხარეთა თანასწორობა”. პროექტი ითვალისწინებდა სისხლის სამართლისა და საერთო სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებას. ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და ქუთაისში.

### პროექტი „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის საკითხებზე”

ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს შორის არსებული ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2013–2014 წწ. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევს ტრენინგებს ადვოკატებისთვის „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და ევროპის შესწორებული სოციალური ქარტიის საკითხებზე”. პროექტი ითვალისწინებს სასწავლო მოდულების შემუშავებას, ტრენინგთა ჯგუფის შექმნას, პროექტით

განსაზღვრულ საკითხებზე, ყველა სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა ცოდნის გაღრმავებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას. პროექტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო ღონისძიებები განხორციელდება საქართველოს სხვადასხვა ქალაქში.

**პროექტი "ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ"**

2013 წელს, სასწავლო ცენტრსა და გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისათვის ხელშეწყობა საქართველოში“ – ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე შემუშავდა პროექტი, რომლის თანახმადაც 2013–2014 წწ. სასწავლო ცენტრი ორგანიზებას გაუწევს ადვოკატთა ტრენინგებს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების“ საკითხებზე. პროექტი ითვალისწინებს სასწავლო მოდულის შემუშავებას, ტრენინგთა ჯგუფის შექმნას, პროექტით გათვალისწინებულ საკითხებზე, ყველა სპეციალიზაციის მქონე ადვოკატთა კვალიფიკაციის ამაღლებას და იურიდიული კლინიკების ფარგლებში სტუდენტთა ცნობიერების გაღრმავებას. პროექტით გათვალისწინებული საგანმანათლებლო ღონისძიებები და აქტივობები განხორციელდება თბილისში, თელავსა და ზუგდიდში.

**პროექტი "ადვოკატთა ტრენინგები სამოქალაქო სამართლის საკითხებზე"**

პროექტის ფარგლებში 2013 წელს, სამოქალაქო სამართლის საკითხებზე ტრენინგების ორგანიზების მიზნით, სასწავლო ცენტრმა გამოაცხადა სპიკერების შესარჩევი კონკურსი, რომლის საფუძველზეც შეირჩა 9 სპიკერი. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს სამოქალაქო და საერთო სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის ტრენინგების ორგანიზებას. ადვოკატთა გამოკითხვის საფუძველზე გამოვლინდა სამოქალაქო სამართლის აქტუალური საკითხები და 2013 წლის დეკემბრის ჩათვლით მიმდინარეობს ტრენინგები შემდეგ თემებზე: ქონების რეგისტრაცია, ინტელექტუალური საკუთრება, ხელშეკრულების განმარტება, კონდიქციური და ვინდიკაციური სარჩელები – გამოყენების სფერო, მეთოდები და საშუალებები, ბრალეული და ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა დელიქტურ სამართალში, საერთაშორისო კომერციული, ბიზნესხელშეკრულების დადება, დავის განმხილველი სასამართლო და შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობა და აღსრულება.

ტრენინგების ორგანიზება ხორციელდება USAID-ის მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის JILEP-ის თანადაფინანსებით, რასაც საქართველოში ახორციელებს East West Management Institute-ი.

**პროექტი "ადამიანის უფლებები მართლმსაჯულების განხორციელებისას"**

პროექტის ფარგლებში მომზადდა 2 სასწავლო მოდული შემდეგ საკითხებზე: „ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალში“ და „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი, მედიაცია და განრიდება“. აღნიშნული მოდულების მიხედვით ტრენინგები ჩატარდა თბილისსა და ქუთაისში სამოქალაქო და სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატებისთვის. პროექტი განხორციელდა ადვოკატთა ასოციაციისა და შვეიცარიის საელჩოს ურთიერთთანამშრომლობისა და თანადაფინანსების საფუძველზე.



ს ა გ ა ნ მ ა ნ ა თ ლ ე ბ ლ ო  
 ო ნ ი ს ძ ი ე ბ ე ბ ი

2012-2013 წწ. ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, ჩატარდა სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებები შემდეგ საკითხებზე:

- ადვოკატთა პროფესიული ეთიკა;
- მედიაცია;
- სამართლებრივი მართლწერა;
- სოციალური დაცვის გარანტიები სოციალურად დაუცველი პირებისთვის;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები;
- სააღსრულებო წარმოება;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები და გასაჩივრების მექანიზმები;
- სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, უდანაშაულობის პრეზუმფცია და გასაჩივრების მექანიზმები;
- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი და დაცვის მექანიზმები;
- ვალდებულებითი სამართლის აქტუალური საკითხები;
- საგადასახადო სამართლის აქტუალური საკითხები;
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- სასამართლო ექსპერტიზა;
- სასამართლო უნარ-ჩვევები;
- ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები;
- ნაფიც მსაჯულთა იმიტირებული სასამართლო;
- მხარეები სამოქალაქო პროცესში, თავისუფლებაშემზღუდული პირების უფლება დაპატიმრების პირობებსა და ჭანმრთელობის დაცვაზე;
- ბავშვთა უფლებები სამოქალაქო სამართალში;
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მედიაცია, განრიდება;
- ადვოკატთა სიმპოზიუმი;
- ფაქტების კონსტატაცია;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები;
- ადამიანის უფლებები ჭანმრთელობის სფეროში;
- ექსპერტი მონუმის დაკითხვა;
- საერთაშორისო კომერციული დავები;
- ადვოკატის პროფესიული გამოწვევები სისხლის სამართლის პროცესში;
- ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების ევროპული კონვენციისა და ქართული კანონმდებლობის ერთობლივი ანალიზი;
- სასამართლო- ფსიქიატრიული და ავტო-საგზაო შემთხვევათა ექსპერტიზა;
- ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მოსამზადებელი კურსები;
- 3 ეროვნული კონფერენცია ბიზნეს სამართლის საკითხებზე.

## თანამშრომლობა განგრძობადი იურიდიული განათლების ფარგლებში

- USAID – JILEP;
- NORLAG;
- ABA;
- European Union;
- EU “Hulla & Co. Human Dynamics KG“;
- Council of Europe;
- UNICEF;
- UNWOMEN;
- UNDP;
- UNHR;
- თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;
- თსუ დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ნაციონალური ცენტრი;
- British Legal Centre;
- GYLA;
- აღსრულების ეროვნული ბიურო;
- “ღია საზოგადოება საქართველო“;
- შვეიცარიის საელჩო;
- GLIP;
- CLS.

## მ ე მ ო რ ა ნ დ უ მ ე ბ ი

2013 წელს გაფორმდა მემორანდუმები ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრსა და უნივერსიტეტებს შორის:

- შ.პ.ს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- შ.პ.ს საქართველოს უნივერსიტეტი;
- ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი;
- კავკასიის უნივერსიტეტი;
- საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი;
- შ.პ.ს შავი ზღვის უნივერსიტეტი;
- ს.ს.ი.პ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- წმ. გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი;
- გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი;
- გრიგოლ რობაქიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
- სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი.



## გ ა მ ო ც დ ე ბ ი

ს.ს.ი.პ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით, 2013 წელს ორჯერ ჩატარდა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა. 2013 წელს გამოცდებში მონაწილეობა მიიღო 1390-მა აპლიკანტმა.

## ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდების ეტაპობრივი გართულება

- 2012 წლამდე ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდისთვის მომზადება ხდებოდა წინასწარ გამოქვეყნებული ტესტების მეშვეობით.
- 2013 წლის ივნისში “გამოცდების ჩატარების წესში“ შევიდა ცვლილება და ტესტები წინასწარ აღარ დარიგდა. აპლიკანტებს გადაეცათ, მხოლოდ საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული, საკანონმდებლო მასალა.



- 2013 წლის დეკემბრის გამოცდა ჩატარდა ისევ ტესტური პრინციპით, მაგრამ საგანმანათლებლო კითხვების კრებულში შევიდა რთული და საშუალო სირთულის ანალიტიკური კაზუსები.
- 2013 წლის 3 დეკემბერს აპლიკანტთა გარკვეულ ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაებარებინა ელექტრონული პროგრამის მეშვეობით.
- 2014 წლიდან გამოცდის ელექტრონული სისტემით ჩაბარება ხელმისაწვდომი იქნება ყველა აპლიკანტისათვის.

### 2013 წლის გამოცდების სტატისტიკური მონაცემები

თარიღი: 2013 წ. ივნისი.  
 აპლიკანტთა რაოდენობა: 834 აპლიკანტი.  
 შედეგი: ჩააბარა 14% –მა.

თარიღი: 2013 წ. დეკემბერი.  
 აპლიკანტთა რაოდენობა: აპლიკანტი 561.  
 შედეგი: ჩააბარა 14%–მა.

### რეზულატები

ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრისა და საგანმანათლებლო საბჭოს მიერ 2013 წელს შემუშავდა და ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცდა ახალი რეგულაციები:

- აკრედიტაციის წესები;
- გ.ი.გ–ის (განგრძობადი იურიდიული განათლების) სისტემის წესები;
- გამოცდაზე ქცევისა და გასაჩივრების წესები;
- გამოცდების ჩატარების დებულება;
- მოსამზადებელი კურსების დებულება;
- საგანმანათლებლო საბჭოს დებულება;
- სასწავლო ცენტრის დებულება.

### სასწავლო ცენტრის ვებგვერდი

2013 წლის ნოემბრიდან ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრის ახალი ვებგვერდი [edu.gba.ge](http://edu.gba.ge)

ვებგვერდზე შესაძლებელია ინფორმაციის მოძიება საგანმანათლებლო ღონისძიებების, საკვალიფიკაციო გამოცდებისა და სიახლეების შესახებ.

### 2014 წლის სამოქმედო გეგმა

EU “Hulla & Co. Human Dynamics KG”–ის მხარდაჭერით, 2013 წლის ნოემბერში, ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოსა და სასწავლო ცენტრის მიერ, შემუშავდა 2014 წლის სამოქმედო გეგმა და აღმასრულებელი საბჭოსთვის წარსადგენი რეკომენდაციები. 2013 წლის 3 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ დამტკიცდა 2014 წლის სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა სავალდებულო კრედიტ–საათების რაოდენობა.

ჟურნალი “ადვოკატი” მე-4 ნომერში ასრულებს ეთიკის კოდექსში ადვოკატთა საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილება-დამატებების მიხედვით კონკრეტულ ნორმათა კომენტარების გამოქვეყნებას.

ეთიკის კოდექსის მე-8 პრიმა მუხლის კომენტარი მოამზადა ადვოკატმა **ირაკლი კორძაძიამ** - ეთიკის კომისიის წევრი, ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებათა პროექტზე სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე; მე-9, მე-10, მე-11 მუხლების შესაბამისი პუნქტების კომენტარები მოამზადა ადვოკატმა **კობა ბოჭორიშვილმა** - ეთიკის კომისიის წევრი, ეთიკის კოდექსში ცვლილება-დამატებათა პროექტზე სამუშაო ჯგუფის წევრი.

**მუხლი 8<sup>1</sup> საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება (08.12.2012)**

**ადვოკატი უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი საქმიანობის რეკლამირება იმ პირობით, რომ გავრცელებული ინფორმაცია სწორია და არ არის შეცდომაში შემყვანი, დაცულია პროფესიის ძირეული ფასეულობები და პირდაპირ ან ირიბად არ მიუთითებს კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.**

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსში (შემდგომში *კოდექსი*) აღნიშნული რეგულირების შემოტანით პასუხი გაეცა შეკითხვას, რომელიც არსებობდა საქართველოს ადვოკატთა შორის, თუ რამდენად ეთიკური იყო ადვოკატის მიერ თავისი საქმიანობის რეკლამირება. ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ ზოგადად საადვოკატო საქმიანობის რეკლამირება კოდექსით განსაზღვრული გამონაკლისების გათვალისწინებით, დასაშვებად მიიჩნია.

**1. რეკლამის განმარტება**

რადგან კოდექსი არ განმარტავს ტერმინს “რეკლამირება”, მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული „რეკლამირების შესახებ“<sup>1</sup> (საქართველოს კანონში შემდგომში *კანონი*) მოცემული რეკლამის განსაზღვრება. კანონი მას განმარტავს, როგორც „საქონელზე, მომსახურებასა და სამუშაოზე (შემდგომში – საქონელზე), ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებულ ინფორმაციას, რომელიც გამიზნულია პირთა განსაზღვრული წრისათვის და ემსახურება ფიზიკური და იურიდიული პირების, საქონლის, იდეისა და

<sup>1</sup> საქართველოს 1998 წლის 18 თებერვლის კანონი #1228 „რეკლამირების შესახებ“

წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას“.<sup>2</sup> კანონში მითითებულია შემთხვევები, თუ რა არ ჩაითვლება რეკლამად, მათ შორის არის ეკონომიკური აგენტის (მწარმე სუბიექტის) ოფისზე განთავსებული აბრა, რომელიც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, რომ ამ ოფისში განთავსებულია კონკრეტული ორგანიზაცია, თუ ეს აბრა არ არის დაშორებული ამ ობიექტიდან 1.5 მეტრით<sup>3</sup>. შესაბამისად, ადვოკატების ოფისზე განთავსებული აბრები ამ კანონის თანახმად შეიძლება არ ჩაითვალოს რეკლამად.

საადვოკატო საქმიანობის რეკლამირების რეგულირების მუხლის პროექტის შემუშავებისას საშუალო ჯგუფმა მხედველობაში მიიღო ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსის (შემდგომში *CCBE კოდექსი*) 2.6 მუხლი - „პირადი საჯაროობა“. *CCBE კოდექსის* რეგულირების სფეროში შედის არა მხოლოდ რეკლამირება, არამედ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი მისი მომსახურების შესახებ ატყობინებს საზოგადოებას. ამ შემთხვევაში რეგულირების სფეროში ექცევა ადვოკატის მიერ ოფისზე განთავსებული აბრა, რომელიც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას ამ ადვოკატისა და მისი მომსახურების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ეთიკის კომისიას ჯერ გადაწყვეტილება არ გამოუტანია, თუმცა მას გაცემული აქვს რეკომენდაცია<sup>4</sup>, რომელშიც ეთიკის კომისიამ ფართოდ განმარტა ტერმინი „რეკლამირება“ და აღნიშნა, რომ აბრაზე განთავსებული „...წარწერით არ ირღვევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის მე-8 პრიმა მუხლი, რადგან აღნიშნული ინფორმაცია ეხება მხოლოდ კონკრეტული ადვოკატის ვინაობასა და მის პროფესიულ გამოცდილებას, რაც არის ამ ადვოკატის საქმიანობის რეკლამირების ერთ-ერთი საშუალება, კერძოდ, გარე რეკლამის განთავსებით პირთა განუსაზღვრელი წრისათვის ინფორმაციის მიწოდება მის შესახებ“. ამ შემთხვევაში ეთიკის კომისიას არ გაუკეთებია დათქმა აბრის 1.5 მეტრით არსებული დაშორების შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია „რეკლამის შესახებ“ კანონით და მითითება გააკეთა *CCBE კოდექსზე*, როგორც კოდექსის განმარტების ერთ-ერთ წყაროზე. შედეგად კომისიამ კოდექსის რეგულირების სფეროში შეიყვანა ნებისმიერ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი მისი მომსახურების შესახებ ატყობინებს საზოგადოებას.

## 2. გამონაკლისები

კოდექსის 8<sup>1</sup> მუხლში გათვალისწინებულია სამი შემთხვევა, როდესაც ადვოკატის მიერ თავისი საქმიანობის რეკლამირება წარმოადგენს კოდექსის დარღვევას. ესენია:

2 იქვე: 1.3 მუხლი

3 იქვე: 6.8 მუხლი

4 ეთიკის კომისიის 2013 წლის 19 აპრილის # 001/13 რეკომენდაცია

- ა) ინფორმაცია არ არის სწორი და შეცდომაში შემყვანია;
- ბ) არ არის დაცული პროფესიული ვალდებულებები;
- გ) პირდაპირ ან ირიბად ხდება მითითება კონკურენტზე ან მის მომსახურებაზე.

პირველი ორი შეზღუდვის წყაროს წარმოადგენს CCBE კოდექსში არსებული რეგულირება. CCBE კოდექსის 2.6.1 მუხლში დამატებით ცალკეა აღნიშნული კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულება, სხვა ძირეული ფასეულობების დაცვის ვალდებულებასთან ერთად. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს კონფიდენციალურობის დაცვის მნიშვნელობის ხაზგასმით საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, მათ შორის ადვოკატის მიერ თავისი საქმიანობის რეკლამირებისას. ხშირია, რომ საადვოკატო ბიუროები რეკლამირების მიზნით, მათ შორის ბიუროს ვებ გვერდებზე, მიუთითებენ კლიენტთა სიას, რომლებსაც ემსახურებიან ან წარსულში ემსახურებოდნენ. რადგან კლიენტისთვის განეული მომსახურების ფაქტზეც ვრცელდება კონფიდენციალურობის ვალდებულება, იმისთვის რომ არ წარმოიშვას კოდექსის 8<sup>1</sup> მუხლის დარღვევის საფრთხე, რეკომენდებულია კლიენტებისგან წინასწარი ინფორმირებული თანხმობების აღება ზემოაღნიშნული მიზნით<sup>5</sup>. კონფიდენციალურობის გარდა, ადვოკატმა თავისი საქმიანობის რეკლამირებისას უნდა დაიცვას სხვა მნიშვნელოვანი პროფესიული ღირებულებებიც, როგორც არის დამოუკიდებლობის, ნდობის, კლიენტის ინტერესების უპირატესობისა და კოლეგიალობის პრინციპები.

გავრცელებული ინფორმაციის სისწორის ვალდებულებას და საზოგადოების შეცდომაში შეყვანის აკრძალვას ასევე არეგულირებს „რეკლამის შესახებ“ კანონი. შესაბამისად, აკრძალულია არასათანადო რეკლამა, რომელიც მოიცავს არასარწმუნო და შეცდომაში შემყვან რეკლამას<sup>6</sup>. ასეთი რეკლამის გავრცელებისას, გარდა იმისა, რომ ადვოკატი შეიძლება დაექვემდებაროს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, ადგილი ექნება კანონის მოთხოვნათა დარღვევას და შეიძლება დადგეს ადვოკატის კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობა.

კოდექსით განსაზღვრული მესამე შეზღუდვა (კონკურენტზე მითითების დაუშვებლობა) არ არის აკრძალული კანონით „რეკლამის შესახებ“. ის მას „შედარებით რეკლამად“ განმარტავს<sup>7</sup>, თუმცა აწესებს გარკვეულ შეზღუდვებს მასზე: კანონი იძლევა ამომწურავ ჩამონათვალს იმ შემთხვევებისა, როდესაც შედარებითი რეკლამა დასაშვებია.<sup>8</sup>

სამუშაო ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ კოლეგიალობის პრინციპის გათვალისწინებით შედარებითი რეკლამა საადვოკატო საქმიანობაში შეიძლება შეუთავსებელი

5 იხ. კოდექსის 4.3.8 მუხლში არსებული რეგულირება

6 კანონის 3.3. მუხლი

7 იქვე: 3.6<sup>1</sup> მუხლი

8 იქვე: 12<sup>1</sup> მუხლი

ყოფილიყო პროფესიულ ღირებულებებთან, რადგან ასეთი რეკლამის შედეგად შეიძლება მოხდეს კონკურენტი ადვოკატის ან ბიუროს დისკრედიტაცია. ამ მიზნით ცვლილებების პროექტში ცალკე გამოიყო და აიკრძალა შედარებითი რეკლამა. აღნიშნული მიდგომა გაზიარებულ იქნა ადვოკატთა საერთო კრების მიერ. შედეგად ისეთი რეკლამა, რომელიც შედარებას აკეთებს კონკურენტზე, მაგ. „საუკეთესო ადვოკატი“ ან „სხვა ფირმებთან შედარებით პროცესების მოგების მეტი შანსი“ შეიძლება კოდექსის დარღვევად ჩაითვალოს. თუმცა, თუ შედარება განხორციელდა მესამე პირის მიერ, მაგ. რეიტინგული სააგენტოს, პროფესიული გამოცემის და სხვ., და ადვოკატი გამოვლინდა გამარჯვებულად კონკრეტულ ნომინაციაში, ადვოკატის მიერ ამ ფაქტზე მითითება ჩაითვლება სწორი ინფორმაციის გავრცელებად და არა შედარებით რეკლამად.<sup>9</sup>

**მუხლი 9, პუნქტი 4**

**ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას. (08.12.2012)**

ცვლილება განიცადა აპეკ-ის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილმა, რომელიც ეხება სასამართლოსთან ურთიერთობის სტანდარტებს და აღნიშნული პრინციპის მოქმედების არეალს. აპეკის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით (ძვ. 15.04.06 წლის რედაქციით) „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები, ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირებთან, რომლებიც ახორციელებენ მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას“.

აპეკის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილით (მოქმედი რედაქციით) გაფართოვდა მე-9 მუხლით გათვალისწინებული რეგულაციის ფარგლები, და აღნიშნული პუნქტით განსაზღვრული ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ვრცელდება პროცესის მონაწილეებზეც; შესაბამისად, სასამართლოსთან ურთიერთობის მარეგულირებელი წესების დაცვა ადვოკატს ევალება არა მხოლოდ სასამართლოს, სასამართლოს მსგავსი ფუნქციის მატარებელი სუბიექტებისა და პროცესის მწარმოებელი სუბიექტების მიმართ, არამედ ამ პროცესში მონაწილე სუბიექტების მიმართაც.

<sup>9</sup> აღნიშნულ მოსაზრება ეკუთვნის ავტორს, როგორც სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი წევრს. აღნიშნული მოსაზრების სისწორე გადასამოწმებელია ეთიკის კომისიის მომავალი პრაქტიკით.

## მუხლი 10, პუნქტი 4 ურთიერთობა ადვოკატსა და სხვა ადვოკატს შორის

**ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მონინაალმდევე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება. (08.12.2012)**

ცვლილება განიცადა მე-10 მუხლის მე-4 პუნქტმაც, რომელიც ეხება ადვოკატის ურთიერთობას სხვა ადვოკატის მიმართ. ამ ნორმის მე-4 პუნქტის ძველი რედაქცია: „თუ ადვოკატს მიმართა კლიენტმა, რომელსაც ჰყავს სხვა ადვოკატი, ადვოკატი ვალდებულია აცნობოს კოლეგას კონსულტაციის განევის ან სხვა სახის სამართლებრივი დახმარების განევის დაწყების შესახებ“, რომელიც ეხებოდა ადვოკატის კოლეგისათვის ე.წ. “შეტყობინების” ვალდებულებას, ამოღებული იქნა. და ის შეცვლილი ფორმულირებით იქნა წარმოდგენილი.

აპეკის მე-10 მუხლის მე - 4 პუნქტით (ძვ. 15.04.06 წლის რედაქციით) დადგენილი “შეტყობინების” ვალდებულება ეწინააღმდეგებოდა ნდობის, კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპებს.

აპეკ-ის თანახმად, ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა და მათი შეთანხმება კონფიდენციალურია, ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის წარმოშობა ადვოკატ-კლიენტის შეთანხმების საფუძველზე ხდება, ხოლო ადვოკატთან ურთიერთობის შეწყვეტა, კლიენტის ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებას წარმოადგენს. კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების უფლება ადვოკატს კლიენტის თანხმობის გარეშე არა აქვს, ხოლო მისი გამჟღავნება იწვევს ნდობის, კონფიდენციალურობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების დარღვევას.

კოლეგიალობის არსიდან გამომდინარე, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა მიმართული უნდა იყოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტისა და კანონის ფარგლებში მათი რეალიზებისაკენ. კოლეგიალობა ხელს უწყობს კლიენტების პრობლემების სწრაფ გადაწყვეტას. კოლეგიალობა, საერთო ჯამში, კლიენტის კანონიერ ინტერესს ემსახურება და მართლმსაჯულების ეფექტური აღსრულების მექანიზმიცაა.

რაც შეეხება აპეკის მე-10 მუხლის მე - 4 პუნქტის მოქმედი რედაქციით განსაზღვრულ საკითხს, რომელიც უკვე ეხება ადვოკატით წარმოდგენილ პირთან კომუნიკაციის საკითხს და, რომელმაც ფაქტობრივად ჩაანაცვლა შეტყობინების ვალდებულება, მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: აღნიშნული დათქმით ყურადღება ექცევა არა მარტო პროფესიის რეპუტაციას და ზოგადად კორპორაციის ინტერესებს, არამედ პროცესის

სამართლიანად წარმოების საკითხსაც. შესაბამისად, ადვოკატს მოეთხოვება კარგად გაითვალისწინოს სასამართლო პროცესის სამართლიანად წარმართვის ვალდებულება. აღნიშნული მოქმედების განუხორციელებლობა არღვევს შეჭიბრებითობისა და მხარეთა თანასწორობის პრინციპებს და გარკვეულწილად კანონით გაუთვალისწინებელ, უპირატეს მდგომარეობაში აყენებს ადვოკატს. მოცემულ შემთხვევაში, თუ პირი წარმოდგენილია ადვოკატით და პროცესუალური მონინაალმდევის ადვოკატი მისი გვერდის ავლით (მის გარეშე) ცდილობს მოლაპარაკებების წარმოებას, იმის გამო, რომ ადვოკატი აღჭურვილია საქმის წარმოებისათვის საჭირო ცოდნითა და შესაბამისი უნარებით, მას მონინაალმდევე მხარეზე “პროცესუალური უპირატესობის” მოპოვების შესაძლებლობა ობიექტურად აქვს.

ადვოკატს უფლება არა აქვს ისარგებლოს მხარის გამოუცდელით და კანონის არასათანადო ცოდნით, არათანაბარ პირობებში, უპირატესობა მოიპოვოს მასზე. აღნიშნული ქმედება წარმოადგენს კოლეგიალობის პრინციპის უგულებელყოფას, რაც ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობისა და პატივისცემის დამკვიდრებას ეთიკურად უქმნის პრობლემას და არ მოქმედებს კანონის უზენაესობის, პროფესიული ღირებულებებისა და კლიენტის ინტერესების სასარგებლოდ.

**მუხლი 11. კოდექსის მოქმედების ფარგლები**

**1. ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან. (08.12.2012)**

**2. ეთიკის კოდექსი და მასში ცვლილებები ძალაში შედის საერთო კრების მიერ დამტკიცებისთანავე და არ გააჩნია უკუქცევითი ძალა. (08.12.2012.)**

**3. (ამოღებულია 08.12.2012).**

ცვლილებები განიცადა აპეკის მე - 11 მუხლის პირველმა პუნქტმა.

აპეკის 11.1 მუხლის თანახმად (ძვ. 2006 წლის 15 აპრილის რედაქციით), „ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას“

2012 წლის 08 დეკემბრის ცვლილებებით აპეკის 11.1 მუხლის ფორმულირება შეიცვალა, მას დაემატა პუნქტი, რომელიც გამორიცხავს ადვოკატის პასუხისმგებლობას იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი წინასწარ მიიღებს ყველა გონივრული ზომას იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში იყოს ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.

აპეკის 11.1 მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, აღნიშნული მუხლის მოთხოვნები გამომდინარეობს აპეკის მე-4 მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებიდან, რომლის თანახმად ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეთ.

კონფიდენციალურობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიანოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით. ამავე მუხლის მე-5 ნაწილით, ადვოკატმა მის პარტნიორებს, თანამშრომლებს და სხვა პირებს, რომლებიც მის მიერ მონვეულნი არიან პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, უნდა მოსთხოვოს კონფიდენციალურობის დაცვა იმავე სტანდარტით.

აპეკის მე-11 მუხლით გათვალისწინებული დათქმა ეხება ადვოკატის ოფისში მომუშავე არაადვოკატ პირებს, ადვოკატის თანამშემნეს, სტაჟიორს, იურისტს, რომელიც არ არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მაგრამ ხელი მიუწვდება იმ მასალებსა და ინფორმაციაზე, რომლის კონფიდენციალურად შენახვა და დაცვა ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.

როგორც უნდა დაიცვას ამ შემთხვევაში თავი ადვოკატმა და კანონით განსაზღვრული წესით აირიდოს დისციპლინური პასუხისმგებლობა, თუ თანამშემნის, იურისტის მიერ მოხდა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება.

ადვოკატი ვალდებულია ამ შემთხვევაში მიიღოს ყველა გონივრული ზომა ამის აღმოსაფხვრელად და იმ პირებს, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, საქმიანობის დაწყებისთანავე გაუფორმოს ხელშეკრულება კონფიდენციალურობის დაცვის შესახებ, რომლითაც განსაზღვრული იქნება პირის ვალდებულება კონფიდენციალურობის დაცვასთან დაკავშირებით და ასევე მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობა (მაგ. ფინანსური სანქციის სახით) მის მიერ კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში.



წერილობითი სახით გაფორმებული ხელშეკრულება, კონფიდენციალურობის დარღვევის შემთხვევაში, საშუალებას მისცემს ადვოკატს, აუნაზღაუროს კლიენტს კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით მიყენებული ზიანი, ამასთან, ადვოკატი კანონით განსაზღვრული წესით, თავიდან აირიდებს დისციპლინურ პასუხისმგებლობას, რომელიც მას დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ არ მიიღებს კონფიდენციალურობის დაცვისათვის აუცილებელ ზომებს იმ პირების მიმართ, ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით, ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას.

რაც შეეხება აპეკ-ის მე 11 მუხლის მე-2 ნაწილს, რომლითაც განსაზღვრული იყო ადვოკატის პასუხისმგებლობა ზნეობრივი პრინციპის დარღვევის შემთხვევაში, ის ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებაზე 2012 წლის 08 დეკემბერს მიღებული ცვლილებებითა და დამატებებით, გაუქმებულ იქნა.

აპეკის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტით (ძვ. 2006 წლის 15 აპრილის რედაქციით), „ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კოდექსით უნდა გადანყდეს შინაგანი რწმენით, ზნეობრივი და მორალური პრინციპებისა და წეს-ჩვეულებების გათვალისწინებით“

აღნიშნული პუნქტის გაუქმებით ადვოკატთა ასოციაციამ უარი თქვა ზოგადი ზნეობრივი პრინციპების გამო ადვოკატისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებაზე და აპეკ - ის მე-7 მუხლით (კოლეგიალობის პრინციპი) განსაზღვრა მხოლოდ პროფესიული ღირებულებების დაცვის ვალდებულება, რომელიც თავის მხრივ, საკმარისად იძლევა განმარტებისა და შეაფასების საშუალებას.

ამ შემთხვევაში აპეკის მე-7 მუხლში მოცემული კოლეგიალობის პრინციპით განსაზღვრული პროფესიული ღირებულებების არსი აპეკის მე - 11 მუხლთან სინთეზშიც უნდა განვიხილოთ და მათი განხილვა აპეკ-ის მე-7 და მე-10 მუხლების ერთობლივი გააზრებით უნდა მოხდეს.

კოლეგიალობის პრინციპი ერთ-ერთია იმ უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო პრინციპთაგან, რომლის დაცვის ვალდებულება ეკისრება ადვოკატს და არა მხოლოდ პროფესიული საქმიანობის განხორციელების პროცესში. აპეკის 11.3 პუნქტის ამოღების შემდეგ ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებას წარმოადგენს არა ზოგადად, საკაცობრიო ეთიკური კრიტერიუმების დაცვა, რომელიც შეფასებითა, არამედ პროფესიული ღირებულებები, რომელიც მოცემული და განმარტებულია ეთიკის კოდექსში.

## ეთიკის კომისიის რეკომენდაცია

### ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: ირაკლი შონია

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: გიორგი ბეგიაშვილი

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: კობა ბოჭორიშვილი

კომისიის წევრი: დავით კვაჭანტირაძე

**შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 15.10.2013

**შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი:** 018/13

### შეკითხვა:

გთხოვთ მაცნობოთ, მაქვს თუ არა უფლება ბლანკზე და ბეჭედზე გამოვიყენო ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო.

### ანალიზი:

**„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მეორე პუნქტი:**

„ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი, რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს და განეწინააღმდეგება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში.“

**„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლი:** „საქართველოს

ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას ამტკიცებს ასოციაციის საერთო კრება აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით.“

**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტი:** „საერთო კრება დამსწრეთა უმრავლესობით, აღმასრულებელი საბჭოს წარდგინებით, ამტკიცებს ასოციაციის სიმბოლიკას.“

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია სამართლებრივ ურთიერთობებში გამოდის, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ამ ურთიერთობაში მისი ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანია ასოციაციის სიმბოლიკა. ასოციაციის სიმბოლიკის დამტკიცება ასოციაციის საერთო კრების კომპეტენციაა, ხოლო მისი შემუშავება და წარდგინება აღმასრულებელი საბჭოს მიერ ხდება. სწორედ აღნიშნული სიმბოლიკის ნაწილია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო, რომელიც მიიჩნევა ადვოკატთა ასოციაციის კუთვნილებად, მიუხედავად იმისა, რომ მისი გამოყენება კანონით ცალსახად არ არის აკრძალული.

შეკითხვაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს ვრცელი საკანონმდებლო რეგულაცია. განსახილველ შემთხვევაში, ეთიკის კომისია განმარტავს, თუ რამდენად მიზანშეწონილი და რეკომენდირებულია საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება სატიტულო ფურცელზე - ე.წ. “ბლანკზე”, ბეჭედზე და მსგავს ატრიბუტებზე, როგორცაა სავიზიტო ბარათი, სარეკლამო ბანერი, მიმართვის ფურცელი, ორდერი და სხვა.

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილება აქვს ადვოკატთა ერთიან რეესტრში ინდივიდუალურად რიცხულ, ასოციაციაში განწევრიანებულ ფიზიკურ პირს. თავად ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია განიხილება, როგორც სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი, რომელიც დამოუკიდებლად, საკუთარი სახელით, როგორც ადვოკატთა ასოციაცია, გამოდის მესამე პირებთან ურთიერთობაში. ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირისა და საადვოკატო ბიუროს, როგორც კონკრეტული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მექანე იურიდიული პირის გაიგივება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან დაუშვებელია. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკის შესახებ, ჰიპოთეტური შეკითხვის ფარგლებში დასმული საკითხის, ლოგოს სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე გამოყენების შემთხვევაში, მესამე პირებს შესაძლოა შეექმნათ მოსაზრება, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მოქმედებს ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია და არა კონკრეტული ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო (ფირმა, კომპანია და ა.შ.).

ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება სატიტულო ფურცელზე (ე.წ. “ბლანკი”), ბეჭედზე და სხვა მსგავს ატრიბუტებზე შეიცავს საფრთხეს, რომ კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს გაიგივება მოხდება ადვოკატთა ასოციაციასთან, რომ სწორედ ადვოკატთა ასოციაცია არის ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი.

ასოციაციის სიმბოლიკის გამოყენება კლიენტებთან, სასამართლოსთან და სხვა მესამე პირებთან ურთიერთობისას, შესაძლოა შეცდომაში შემყვანი აღმოჩნდეს ამ უკანასკნელთათვის და მათ მცდარად მიიჩნიონ, რომ კონკრეტული ადვოკატის თუ საადვოკატო ბიუროს პოზიცია, რომელიც გადმოცემულია ადვოკატთა ასოციაციის ლოგოთი დატანილ სატიტულო ფურცელზე ან სხვა დოკუმენტზე, რომელიც დადასტურებულია ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებით დამზადებული ბეჭდით, არის ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციის, როგორც თავისუფალი პროფესიის წარმომადგენელ პირთა მრავალრიცხოვანი (დღეის მდგომარეობით ასოციაციაში 4000-მდე ადვოკატი ირიცხება) კორპორაციის ერთიანი, ასოციაციის სახელით გაცხადებული პოზიცია.

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირის, ასევე საადვოკატო ბიუროს (ფირმის, კომპანიის და ა.შ.), როგორც ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით რეგისტრირებული იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო ატრიბუტიკა და რეკვიზიტები მკაფიოდ და ცალსახად უნდა იყოს განსხვავებული ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკისაგან.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკის გამოყენება, სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე, სავიზიტო ბარათზე და სხვა მსგავს ატრიბუტიკაზე, არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი ნებისმიერი პირისათვის, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას ღებულობს ასეთი სიმბოლიკით აღნიშნული დოკუმენტიდან.

მოცემულ შემთხვევაში იმ ადვოკატის სუბიექტურ დამოკიდებულებას, რომელიც იყენებს ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკას, არ ენიჭება მნიშვნელობა. თუნდაც სრულიად კეთილი განზრახვის არსებობისას, ადვოკატთა ასოციაციისთან მისი სიმბოლიკის გამოყენებით, ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიერ გარკვეული კავშირის მითითებისას, მესამე პირების შეცდომაში შეყვანის რისკი არ მცირდება.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს რაიმე ფორმით გამოყენების შემთხვევაში, თუნდაც მინიმალური საფრთხის არსებობა, რომ მოხდება მესამე პირების შეცდომაში შეყვანა, არიდებული უნდა იქნეს ადვოკატთა ასოციაციის წევრის თუ საადვოკატო ბიუროს მიერ, რომელთაც “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი პროფესიული ღირებულებები აქვთ გაცნობიერებული და ამ ღირებულებათა პატივისცემა და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმის დაცვა მოეთხოვებათ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო შესაძლოა ახორციელებდეს სხვადასხვა სახის ქმედებას, რომელიც არ უკავშირდება კლიენტის ინტერესების დაცვას და წარმომადგენლობას, მაგალითად, გარკვეული ინფორმაციის შემცველი ცნობის გაცემა, რომელიც შესაძლოა აღქმული იქნეს როგორც ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემული ცნობა.

ეთიკის კომისიას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენების შემთხვევაში, შესაძლოა წარმოიშვას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე. ადვოკატი ან საადვოკატო ბიურო, რომელიც საკუთარ ატრიბუტიკაზე იყენებს აღნიშნულ ლოგოს, შესაძლოა მესამე პირებისათვის სარგებლობდეს სანდოობის უფრო მაღალი ხარისხით, მისი სწორედ ადვოკატთა ასოციაციის სახელით მოქმედ პირად აღქმის გამო, სხვა ადვოკატთან ან საადვოკატო ბიუროსთან შედარებით, რომელიც არ იყენებს ასოციაციის ლოგოს, როგორც საკუთარს.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია ერთიან სტანდარტებს აწესებს მისი წევრებისათვის. ადვოკატის მიერ კორპორაციული სიმბოლიკის გამოყენება ინდივიდუალური მიზნებისა და გადაწყვეტილებებისათვის, შესაძლოა, გავლენას ახდენდეს პოტენციურ კლიენტზე.

ეთიკის კომისია რეკომენდაციის გაცემისას ითვალისწინებს, რომ პრაქტიკაში შესაძლოა კონკრეტული ადვოკატისა თუ საადვოკატო ბიუროს მიერ მოხდეს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოთი სარგებლობა ბანერზე საინფორმაციო ბრიფინგის გამართვისას, სატიტულო ფურცელზე, საიდენტიფიკაციო მონაცემებში საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის იურიდიული მისამართის გამოყენებით და სხვა. აღნიშნული და მსგავსი შემთხვევები მაღალი ალბათობით გამოიწვევს გარკვეული პირების შეცდომაში შეყვანას და კონკრეტული ადვოკატებისა თუ საადვოკატო ბიუროს გაიგივებას ადვოკატთა ასოციაციასთან.

მსგავსი შემთხვევების პრევენციის მიზნით მიზანშეწონილია, ადვოკატმა არ გამოიყენოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო. შესაძლოა სატიტულო ფურცელზე, სავიზიტო ბარათზე მითითებული იქნეს, რომ პირი არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ადვოკატის სიითი ნომერი ერთიან რეესტრში, პირადი მისამართი, ტელეფონი და სხვა პირადი საკომუნიკაციო რეკვიზიტები. ადვოკატმა, საადვოკატო ბიურომ არ უნდა გამოიყენოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგო და არ უნდა შექმნას მესამე პირების შეცდომაში შეყვანის და ადვოკატთა ასოციაციასთან გაიგივების გაუმართლებელი საფრთხე.

**დასკვნა:**

ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს მიერ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება კანონით არ არის აკრძალული, თუმცა, ასეთი ქმედება შესაძლოა მესამე პირებისათვის იყოს შეცდომაში შემყვანი, გამოიწვიოს კონკრეტული ადვოკატის ან საადვოკატო ბიუროს გაიგივება ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციასთან და შექმნას არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საფრთხე. ადვოკატთა ასოციაციის სიმბოლიკა მისი, როგორც კონკრეტული ს.ს.ი.პ. - ის განმასხვავებელია და

გამოარჩევს მას სხვა იურიდიული პირებისაგან, დამტკიცებულია ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ და მიიჩნევა ასოციაციის კუთვნილებად.

ეთიკის კომისია მიზანშეწონილად არ მიიჩნევს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებას სატიტულო ფურცელზე, ბეჭედზე, სავიზიტო ბარათზე, ორდერზე, სარეკლამო ბანერზე და სხვა საშუალებებზე, სადაც ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენებით, შესაძლებელია მიჩნეული იქნეს, რომ საკუთარ პოზიციას გამოხატავს ასოციაცია და არა კონკრეტული პირი.

**ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის სარეკომენდაციო მოსაზრება და არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას.**

კომისიის თავმჯდომარე:	/ეკატერინე გასიტაშვილი/
კომისიის წევრი:	/დავით კაკაბაძე/
კომისიის წევრი:	/ირაკლი შონია/
კომისიის წევრი:	/ცირა შუბითიძე/
კომისიის წევრი:	/გიორგი ბეგიაშვილი/
კომისიის წევრი:	/ემზარ პაქსაძე/
კომისიის წევრი:	/ლავრენტი ქავთარაძე/
კომისიის წევრი:	/კობა ბოჭორიშვილი/
კომისიის წევრი:	/დავით კვაჭანტირაძე/

**ეთიკის კომისიის წევრის ლავრენტი ქავთარაძის  
ბანსხვავებული აზრი**

**ეთიკის კომისიის 2013 წლის 15 ნოემბრის რეკომენდაციაზე  
ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენების თაობაზე**

ვეთანხმები ეთიკის კომისიის წევრების გადაწყვეტილებას საადვოკატო ბიუროს - იურიდიული პირის მიერ ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენების არამიზანშენილიად მიჩნევასთან დაკავშირებით, (ეთიკის კომისიის რეკომენდაცია №018.13) თუმცა, არ ვეთანხმები აღნიშნულ რეკომენდაციას ადვოკატთან, როგორც ფიზიკურ პირთან მიმართებით და მიმაჩნია, რომ ადვოკატის, როგორც ფიზიკური პირის მიერ, ს.ს.ი.პ. ადვოკატთა ასოციაციის ლოგოს გამოყენება იდენტიფიკაციის საშუალებებზე მიზანშეწონილია.

ვინაიდან ადვოკატი არის ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, მას არ უნდა ეზღუდებოდეს ასოციაციის ლოგოს გამოყენების უფლება სატიტულო ფურცელზე, ე.წ. „ბლანკზე“, ბეჭედზე და სხვა მსგავს ატრიბუტიკაზე. ადვოკატთა ასოციაციის ლოგოთი სარგებლობისას, ადვოკატმა უნდა მიუთითოს სახელი, გვარი, სიითი ნომერი, მისამართი და მისი იდენტიფიკაციის სხვა საშუალებები. აღნიშნულ შემთხვევაში, არ მოხდება ამ ადვოკატისა და ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის გაიგივება და მესამე პირების შეცდომაში შეყვანა.

ლავრენტი ქავთარაძე

ეთიკის კომისიის წევრი



**საქმე #100/11**

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 01.12.2011

**საჩივრის ავტორი:** კლიენტი

**საპროცესო კოლეგია:** მესამე დისციპლინური კოლეგია

**სავარაუდო დარღვევა:** ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების დარღვევა, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება

**შედეგი:** დისციპლინური დევნის აღძვრა

**გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი:** 03.01.2012

**განხილვის კოლეგია:** მეხუთე დისციპლინური კოლეგია

**შედეგი:** დისციპლინური საქმის ეთიკის კომისიისათვის განსახილველად გადაცემის თაობაზე

**განმხილველი:** ეთიკის კომისია

**შედეგი:** ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა

**დისციპლინური სახდელის სახე:** საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 თვის ვადით

**გადაწყვეტილების გამოტანის თარიღი:** 08.01.2013

**ფაქტობრივი გარემოებები:** ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა კლიენტმა.

ადვოკატმა, როგორც კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარემ განიხილა საარბიტრაჟო პრეტენზია და შემდეგ ამავე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას, ახორციელებდა საარბიტრაჟო პრეტენზიის ავტორის, როგორც კლიენტის, საადვოკატო მომსახურეობას, ადვოკატი იმავე საქმეზე იცავდა საკუთარი მეუღლის, პირველი რიგის იპოთეკარის, ინტერესებს და მოქმედებდა ყოფილი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

**საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილების შინაარსი**

საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმის წარმოების განხილვის ეტაპზე, იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა, როგორც კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარემ, მონაწილეობა მიიღო პრეტენდენტის საქმის განხილვაში, და



შემდგომ ამავე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისას ახორციელებდა საარბიტრაჟო პრეტენზიის ავტორის, როგორც კლიენტის საადვოკატო მომსახურებას, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი: ხოლო იმ ფაქტობრივი გარემოების დადასტურების შემთხვევაში, რომ ადვოკატი იმავე საქმეზე იცავდა საკუთარი მეუღლის ინტერესებს და მოქმედებდა ყოფილი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი.

### **ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების შინაარსი**

*ეთიკის კომისიის მიერ დადგენილი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:*

1. ადვოკატმა, როგორც მუდმივმოქმედი კერძო არბიტრაჟის თავმჯდომარემ 2009 წლის 15 მაისს მიიღო გადაწყვეტილება საარბიტრაჟო პრეტენზიის თაობაზე (დავის საგანი – თანხის დაკისრება და იპოთეკის საგნის რეალიზაცია), რომელშიც პრეტენდენტი პირი შემდეგ გახდა ადვოკატის კლიენტი ამავე გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე.
2. საჩივრის ავტორმა 2009 წლის 31 ივლისს განცხადებით მიმართა ნოტარიუსს 2009 წლის 02 ივნისს ადვოკატზე რეგისტრირებული რწმუნებულების გაუქმების მოთხოვნით.
3. საჩივრის ავტორმა, როგორც კლიენტმა, ადვოკატს 2010 წლის 27 მაისს მიანიჭა რწმუნებულება 2 კვირის ვადით, ხოლო 2010 წლის 01 ივლისს – 2 თვის ვადით.
4. ადვოკატი იცავდა კლიენტის ინტერესებს ბ. შ.-ის სარჩელის გამოწარმოებულ დავაში და დაეხმარა მას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების აღსრულებაში.
5. ადვოკატი წარმოადგენდა საკუთარი მეუღლის ინტერესებს 2011 წლის 15 ივნისიდან თბილისის საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებში საკუთარი კლიენტის წინააღმდეგ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე. ადვოკატის მოთხოვნა დაკმაყოფილდა და გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა.

ეთიკის კომისიის დისციპლინური კოლეგიის მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი კლიენტს რა დროიდან უწევდა საადვოკატო მომსახურებას და რაში გამოიხატა განუვლი სამართლებრივი დახმარება. ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატი კლიენტის საადვოკატო მომსახურებას 2009 წლიდან ახორციელებდა, რაც გამოიხატა კლიენტისათვის განუვლი სამართლებრივ კონსულტაციაში, არბიტრაჟის გადაწყვეტილების სააღსრულებო წარმოებაში მონაწილეობაში, ბ. შ.-ის წინააღმდეგ კლიენტის ინტერესების დაცვაში, ამ უკანასკნელის პროცესუალური მონაწილეობის გამოსახლებისათვის, კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, შესაბამისი განცხადებების მომზადებაში.

**სამართლებრივი შეფასება**

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა, კონკრეტულ გარემოებების გათვალისწინებით, დაარღვია, ადვოკატის პროფესიული ფუნქციების შესრულების დაუშვებლობის ვალდებულება და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპები.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს საქმეზე (1996 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება #1/1/10) – „ილია ანდრიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – დაყრდნობით, ეთიკის კომისიამ განმარტა, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტი უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაზე, როდესაც პირი ახორციელებს საადვოკატო საქმიანობას და იმავე საქმეში მონაწილეობდა, როგორც არბიტრაჟის თავმჯდომარე, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე, არბიტრაჟის მიერ კერძო სამოქალაქო დავის განხილვა და გადაწყვეტა სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს; შესაბამისად, საარბიტრაჟო დავის განმხილველი არბიტრი „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტში მოხსენიებულ მოსამართლესთან უნდა იქნეს გათანაბრებული. აქედან გამომდინარე, დაუშვებელია საადვოკატო მომსახურების განევა იმ საქმეზე, რომელზეც პირმა განახორციელა პროფესიული საქმიანობა არბიტრის ან კანონით დადგენილი სხვა სტატუსით.

ეთიკის კომისიის შეფასებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების მიღება და მასზე სააღსრულებო ფურცლის გაცემა ერთიანი პროცესია, რაც მიზნად ისახავს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების საფუძველზე კონკრეტული პრეტენდენტისათვის სამართლებრივი შედეგის მიღებას - გადაწყვეტილების აღსრულებას. არბიტრის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სააღსრულებო ფურცლის გაცემა, არ შეიძლება

განხილული იქნეს სააღსრულებო წარმოებისაგან განცალკევებულად; საარბიტრაჟო პრეტენზიაზე სააღსრულებო ფურცლის გაცემის დღესვე, კლიენტისაგან მინდობილობის მიღებით, ადვოკატმა დაადასტურა თანხმობა, ადვოკატის სტატუსით მიეღო მონაწილეობა იმავე საქმეზე, სადაც როგორც არბიტრს უკვე შესრულებული ჰქონდა პროფესიული ფუნქცია. შესაბამისად, ადვოკატმა დაარღვია ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების შესრულების დაუშვებლობის ვალდებულება კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 04 თებერვლის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე #092/10 ფართოდ განმარტა „ერთი და იმავე საქმის“ ცნება და ასეთად მიიჩნია არსობრივად ურთიერთდაკავშირებული საქმეც, ვინაიდან ამ დროს ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას, ასევე წარმოიშობა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევს ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას ან რისკის ქვეშ დადგება მის მიერ კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი თავდაპირველად იყო კლიენტის (ეთიკის კომისიაში საჩივრის ავტორი) ადვოკატი ბ. შ.-ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. ადვოკატის ჩართულობა კლიენტის საქმეში გამოიხატა ამ უკანასკნელისათვის გაწეული სამართლებრივი კონსულტაციებით, კლიენტისათვის კონკრეტული მასალების მომზადებასა და სასამართლო წარმოებაში. კლიენტთან ურთიერთობის დასრულების შემდეგ, ადვოკატი გახდა საკუთარი მეუღლის, იმავე უძრავი ქონების პირველი რიგის იპოთეკარის, ადვოკატი, ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ, სესხის თანხის დაკისრებისა და იპოთეკით დატვირთული ბინის რეალიზაციის შესახებ წარმოებულ დავაში თბილისის საქალაქო სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ის საქმეები, რომელსაც ადვოკატი აწარმოებდა, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, ფორმალურ-იურიდიული საფუძვლით ერთსა და იმავე საქმეს არ წარმოადგენდა, თუმცა, ადვოკატის პროფესიული ეთიკის თვალსაზრისით, ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებისათვის მიიჩნევა არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებად. ადვოკატი წარმოდგენდა კლიენტის (საჩივრის ავტორი), მეორე რიგის იპოთეკარის ინტერესებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა სამართლებრივი საკითხის გადაწყვეტაში; შესაბამისად, პირველი რიგის იპოთეკარის (ადვოკატის მეუღლე), მოთხოვნის სასამართლოს წესით დაყენებისას, შეიქმნა ობიექტური საფრთხე იმისა, რომ ადვოკატი დაარღვევდა ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულებას, დაკარგავდა ერთ-ერთი კლიენტის ნდობას ან რისკის ქვეშ დადგებოდა მის მიერ ერთ-ერთი კლიენტის დასაცავად ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობა.

ეთიკის კომისიამ აღნიშნა, რომ ადვოკატს ეკრძალება საადვოკატო მომსახურების გაწევის შემდეგ იმ კლიენტის სამართლებრივი დახმარება, რომელსაც ყოფილი კლიენტისაგან განსხვავებული, არსებითად საწინააღმდეგო პოზიცია გააჩნია იმავე ან სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში. ადვოკატის მიერ განხორციელებული მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტისათვის (საჩივრის ავტორისათვის) არახელსაყრელ პოზიციას და ადვოკატს უფლება არ ჰქონდა წარმოდგინა მეუღლის ინტერესები, რადგან პირველი რიგის იპოთეკარის მიერ მოთხოვნის დაყენებამდე, ადვოკატი წარმოადგენდა საჩივრის ავტორის, როგორც კლიენტის ინტერესებს და ფლობდა მისგან მიღებულ ინფორმაციას. შესაბამისად, ადვოკატის მიერ იმავე საქმეზე საკუთარი მეუღლის, როგორც პირველი რიგის იპოთეკარის წარმომადგენლობა, ქმნიდა ყოფილი კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალურობის დარღვევის საფრთხეს და რისკის ქვეშ აყენებდა კლიენტის დასაცავად ადვოკატის მიერ ყველა კანონიერი საშუალების გამოყენების შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, ადვოკატმა დაარღვია ეთიკური ვალდებულება, თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისათვის ყოფილ კლიენტსა და ამჟამად არსებულ კლიენტს შორის.

*შენიშვნა: ადვოკატმა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2013 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით დს-შ/3-13 ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.*



## ეთიკის კომისიის საქმიანობის მიმოხილვა 2009-2013 წლები

2009-2013 წლების მანდატის ეთიკის კომისიის საქმიანობის მიმოხილვა მოიცავს 2009 წლის 27 დეკემბერს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული კომისიის მოღვაწეობის ოთხწლიან პერიოდს, მიმდინარე წლის 5 დეკემბრის მონაცემების მიხედვით. 2010-11 წლებში ეთიკის კომისიის თავმჯდომარე იყო ადვოკატი ირაკლი კორძახია, ხოლო 2012-2013 წლებში (11 დეკემბრამდე) - კომისიას ხელმძღვანელობდა ადვოკატი ეკატერინე გასიტაშვილი.

ამ დროის მანძილზე ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობის ან მისი წევრების მონაწილეობით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა საჩივრის ფორმა (რომელიც ხელმისაწვდომია სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ვებგვერდზე), სტატისტიკის ფორმა და, დისციპლინური სამართალწარმოების ხელმისაწვდომობისათვის, ხშირად დასმულ შეკითხვებზე პასუხები, რაც ასევე გამოქვეყნებულია;
- ეთიკის კომისიის წევრთა მიერ მომზადდა პროექტი და 2011 წელს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ შეცვალა ძველი და მიიღო ახალი დებულება “ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ” (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP);
  - დონორი ორგანიზაციების ხელშეწყობით მომზადდა ასოციაციის ვებ-გვერდისათვის ინგლისურენოვანი მასალების ნაწილი;
  - სამუშაო ჯგუფის ფორმატში შემუშავდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ცვლილებებისა და დამატებების პროექტი, რომელიც ეთიკის კომისიის წევრებთან ერთად და აღმასრულებელი საბჭოს წარმომადგენელთა მონაწილეობით გარდა თბილისისა, განხილულ იქნა ადვოკატებთან რეგიონალურ შეხვედრებზე ბათუმში, ქუთაისში, ახალციხეში, თელავში, რუსთავში, და მხოლოდ შემდეგ, 2012 წლის 8 დეკემბერს, მიიღო ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრებამ (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP);
  - ეთიკის კომისია ჟურნალ “ადვოკატში” აქვეყნებს კომენტარებს ეთიკის კოდექსის ცალკეულ ნორმაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შესახებ; ასევე, კომისიის გადაწყვეტილებათა მოკლე მიმოხილვებს;

- 2012 წლის 8 დეკემბერს საერთო კრებამ ადვოკატთა დისციპლინური სამართალწარმოების დებულებაში დამატების სახით მიიღო ახალი თავი, რომლის საფუძველზეც დაინერგა სიახლე - ადვოკატებისათვის წერილობითი და ზეპირი, ე.წ. “ცხელი ხაზის” მეშვეობით ეთიკურ ვალდებულებებზე, დისციპლინური სამართალწარმოების საკითხებზე რეკომენდაციების გაცემა, რომლის მიზანია ადვოკატის დამოუკიდებელი და მაღალზნობრივი ეთიკური ვალდებულებების დაცვით პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობა (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP);
- დაიწყო ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის დანერგვა. პროგრამის ფარგლებში ადვოკატებსა და განმცხადებლებს მიეცემა შესაძლებლობა გამარტივებული ფორმით მიიღონ ინფორმაცია ეთიკის კომისიაში მიმდინარე დისციპლინური წარმოების თაობაზე (მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტი “Human Dynamics” კანონის უზენაესობის მხარდაჭერა);
- ეთიკის კომისიის წევრები კომისიის წარმომადგენლების სახით ჩართულნი იყვნენ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის ცვლილებებსა და დამატებებზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში.
- ეთიკის კომისიის წევრებმა და თანამშრომლებმა კომუნიკაციის საკითხებში გაიარეს სპეციალური სწავლება, რომელიც ორიენტირებულია როგორც გუნდური, ისე ინდივიდუალური მუშაობისას კომისიის წევრთა და აპარატის თანამშრომელთა შორის, ასევე კომისიის საქმიანობის მომხმარებლებთან ეფექტური ურთიერთობის უნარებზე (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP);
- ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად განხორციელდა ეთიკის კომისიის წევრთა სამუშაო შეხვედრები (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP);
- ჩატარდა მომხმარებელთა კმაყოფილების კვლევა, ეთიკის კომისიის საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით; კვლევა მოიცავდა კონფიდენციალურობის დაცვის პრინციპით სპეციალისტთა მიერ ეთიკის კომისიის საქმიანობის მომხმარებელთა (საჩივრის ავტორები) და იმ ადვოკატთა გამოკითხვას, რომელთა წინააღმდეგ 2010-2011 წლებში განიხილებოდა დისციპლინური საქმეები. გამოკითხვამ აჩვენა, რომ ეთიკის კომისიის საქმიანობას ადვოკატთა

93 % უცხადებს ნდობას, ასევე, საჩივრის ავტორთა 48 % ენდობა კომისიის საქმიანობას (მხარდამჭერი - მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი USAID-EWMI-JILEP);

- 2012 და 2013 წლებში EWMI–JILEP-ის და ევროკავშირის პროექტის “სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში” თანადგომით შედგა კონფერენციები, სადაც ეთიკის კომისიამ ვრცელი ანგარიშები, მათ შორის ეთიკურ ვალდებულებათა შესახებ პრეცედენტებისა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი წარადგინა ადვოკატებისა და მართლმსაჯულებაში მონაწილე სხვა პირებისა და ინსტიტუტების, ასევე საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მონაწილეობით;
- ეთიკის კომისიამ ორჯერ - 2011 და 2013 წლებში მოამზადა და გამოაქვეყნა კომისიის საქმიანობის ამსახველი პუბლიკაციები კომისიის გადამწყვეტილებათა ანალიზის, ეთიკურ ვალდებულებებზე დადგენილი პრეცედენტების, გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე, რომლებიც ხელმისაწვდომია ადვოკატებისათვის (მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტი “Human Dynamics”-ის მეშვეობით “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა” და “სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში”)
- 2013 წელს დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები უზენაეს სასამართლოში ადვოკატის მიმართ დისციპლინური საქმისწარმოების პროცედურის მოსაწესრიგებლად იმ მიზნით, რომ საქმისწარმოებაში არ გამოიყენებოდეს ანალოგიით „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონი (მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტი “Human Dynamics”-ის მეშვეობით „სისხლის სამართლის სისტემის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“)
- ევროკავშირის პროექტის „კანონის უზენაესობის მხარდაჭერა საქართველოში“ და EWMI-JILEP-ის ხელშეწყობით გაიმართა სემინარები ეთიკის საკითხებზე ეთიკის კომისიის წევრებისა და იურისტებისათვის;
- ეთიკის საკითხებზე შედგენილია წიგნადი ფონდი ეთიკის კომისიისათვის (მხარდამჭერი ევროკავშირის პროექტი “Human Dynamics”-ის მეშვეობით “კანონის უზენაესობის მხარდაჭერა” და NORLAG - ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია);

- ქართულ ენაზე გადაითარგმნა (და გამოიცემა) შედარებითი კვლევა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის სტანდარტებზე, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებასა და ხელმისაწვდომობას ადვოკატებისათვის, უმაღლესი იურიდიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის (მხარდამჭერი NORLAG - ნორვეგიის კანონის უზენაესობის მისია)
- ეთიკის კომისიის პრაქტიკაზე ხელმისაწვდომობის ზრდის მიზნით, კომისიის ყველა გადაწყვეტილება და რეკომენდაცია ქვეყნდება ვებგვერდზე.

### ეთიკის კომისიის საქმიანობის 2010-2013 წლის სტატისტიკა

2010-2013 წლებში (05 დეკემბრის მდგომარეობით) კომისიაში შემოვიდა და განხილულია სულ 517 დისციპლინური საქმე

2010 წელს - 96 საქმე

2011 წელს - 115 საქმე

2012 წელს – 152 საქმე

2013 წელს (05 დეკემბრის მონაცემებით) – 154 საქმე; აქედან 119 დისციპლინური საქმე დასრულებულია

2010 წ. – 10 საქმეზე აღიძრა დისციპლინური დევნა, რაც შეადგენს საერთო რაოდენობის 10, 87 %-ს; 2011 წ. – 19 საქმეზე აღიძრა დისციპლინური დევნა, რაც 17, 76 % - ს შეადგენს; 2012 წელს 29 საქმეზე აღიძრა დისციპლინური დევნა, რაც 23,01 % -ია, და 2013 წლის 05 დეკემბრის მონაცემებით, 32 საქმეზე აღიძრა დისციპლინური დევნა - 29,09 %.

იმავე წლებში ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის არ აღძვრის შემდეგი მონაცემებია: 2010 წ. – 44 საქმე ანუ 47, 83 %, 2011 წ. – 56 საქმე, რაც 52,34 %-ია, 2012 წ. – 61 საქმე, რაც 48, 41 % -ია და 2013 წლის 05 დეკემბრის მონაცემებით 50 ადვოკატზე არ აღიძრა დისციპლინური დევნა, რაც ამ დროისათვის განხილული საქმეების 42, 02 % -ია.

ეთიკის კომისიამ ზემოქმედების ღონისძიების სახით ადვოკატს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართა 2010, 2011 და 2012 წლებში – თითოეულ წელს 3 შემთხვევაში, ხოლო 2013 წელს - 5 ადვოკატს გადაეცა კერძო სარეკომენდაციო ბარათი, რაც თავისთავად სახდელი არ არის და წარმოადგენს რჩევას, რომლის გათვალისწინება ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში მნიშვნელოვანია. რაც შეეხება «ადვოკატთა შესახებ» საქართველოს კანონით დადგენილ სახდელებს,



გაფრთხილება მიეცა 2010 წ. – 5 ადვოკატს, 2011 წ. - 6 ადვოკატს, 2012 წელს - 11 ადვოკატს და 2013 წლის 05 დეკემბრის მონაცემებით დასრულებულ საქმეებზე - 3 ადვოკატს; საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება სხვადასხვა ვადით 2011 წელს მოხდა 3 შემთხვევაში, 2012 წელს 4 შემთხვევაში და 2013 წლის 05 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებულ საქმეებზე 2 ადვოკატს შეუჩერდა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება. სამწუხაროდ, 2013 წელს პირველად იქნა გამოყენებული სახდელის ყველაზე რადიკალური ღონისძიება ადვოკატის მიმართ და მას ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება. ადვოკატმა ეთიკის კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა.

ეთიკის კომისიაში დანერგილმა სიახლემ რეკომენდაციების გაცემის შესახებ, რომელიც ამოქმედდა 2013 წლის მარტის თვიდან, უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი ადვოკატთა შორის. 2013 წლის 05 დეკემბრის მონაცემებით კომისიამ 37 რეკომენდაცია გასცა, მათგან 19 წერილობითი სახით, 18 კი - ზეპირი რჩევის სახით, «ცხელი ხაზის» მეშვეობით.

შეკითხვის ავტორ ადვოკატთა ვინაობა კონფიდენციალურია დისციპლინური სამართალწარმოების დებულებით, თუმცა, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 23 ადვოკატი იყო საერთო სპეციალიზაციის მიმართულებისა, 4 - სამოქალაქო სამართლის, ხოლო 1 ადვოკატი - სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე. შეკითხვის ავტორ ადვოკატთა გენდერული სტატისტიკა კი გვაუწყებს, რომ 10-მა ქალბატონმა მიმართა და 17-მა მამაკაცმა ეთიკის კომისიას, ამასთან, საგულისხმოა, რომ ერთმა და იმავე ადვოკატმა 8- ჯერ მოითხოვა რეკომენდაცია, ასევე იყო შემთხვევები, როდესაც წერილობითი თუ ზეპირი რჩევა 3-ჯერ და 2- ჯერ მიიღო ერთმა და იმავე ადვოკატმა. მსგავსი სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს დანერგილი სიახლის საჭიროებასა და სასარგებლო როლზე ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში. ადვოკატებს უნდა ეგულეობდეთ ეთიკის კომისიის რეკომენდაციები სწორედ იმ მხარდამჭერ და დამხმარე საშუალებად, რა მიზნითაც დაინერგა იგი მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტის (USAID – EWWMI – JILEP) ხელშეწყობით. მსგავსი გამოცდილება მრავალი ათეული წელია არსებობს ამერიკისა და ევროპის ქვეყნებში და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის დამოუკიდებელ და ეთიკური ვალდებულებების დაცვით განხორციელებულ საქმიანობაში.

ჲაშხინი ხუაჲს ხუნაჲთ მათნაჲსა რომ  
აძინი ღე ყიუპთაჲთ მათნაჲსი მოყონი  
ჲოჲთაჲთ მათნაჲსი მათნაჲსი აძინი Პდე  
ხათნაჲსი ღე ჲეჲთაჲსი მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი  
მათნაჲსი მათნაჲსი Პდე მათნაჲსი მათნაჲსი

„ხელნაწილის კარის გარეგანა“ - ხელნაწერი

**„ხელმწიფის კარის გარიგება“** – მეფის ხელისუფლებისა და სამეფო კარის წესდება – შედგენილია XIV საუკუნეში. ჩვენამდე მოაღწია XVII საუკუნით დათარიღებულმა ერთადერთმა ხელნაწერმა, რომელიც მეტად დაზიანებული და ნაკლულია (ნახევარზე მეტი დაკარგულად მიიჩნევა). ძეგლს პრაქტიკული დანიშნულება აქვს, ის სახელმძღვანელოა კარის კაცებისა და ყველა მოხელისათვის.

„ხელმწიფის კარის გარიგება“, როგორც კოდექსი, აწესრიგებს სამეფო კარის ფუნქციობას, მოხელეთა და ხელისუფალთა სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მეფის მიერ ჩვეულებად დამკვიდრებულ და დაწესებულ უფლება-მოვალეობებს. ძეგლში აღწერილია სასახლეში მიღებული ვაზირობისა და დარბაზობის, დიდი დღესასწაულების გამართვის, საყოფაცხოვრებო და სხვა არაერთი წესი.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ მიხედვით, სახელმწიფოს მმართველობის თითოეულ უწყებას სავსებით ჩამოყალიბებული სამოხელეო აპარატი ჰქონდა. ძეგლში წარმოდგენილია ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, უმაღლესი სასამართლო დაწესებულება ე. წ. „სააჯო კარი“, რომლის თავმჯდომარე იყო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელი.

სახელმწიფო წყობილების საკითხების შესახებ ამ ტიპის ნაშრომის შექმნა იურიდიული აზროვნების მაღალი დონის მაჩვენებელია.

„ხელმწიფის კარის გარიგების“ ერთადერთი ხელნაწერი ექვთიმე თაყაიშვილმა ქართლში მოგზაურობის დროს ერთ გაპარტახებულ სახლში აღმოაჩინა. მკვლევარი იხსენებს: „ხელნაწერი ამოვიღეთ ნაგავიდან, რომელიც ჩვენს თვალწინ გამოგავეს ოთახიდან“. ექვთიმემ გულმოდგინედ შეისწავლა ტექსტი, დაათარიღა, აღწერა, დაურთო ლექსიკონი.

ძეგლი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ მისი საშუალებით გახდა ცნობილი არსენ იყალთოელის შაირი: „ვის ნაჭარმაგევს მეფენი“... მას, როგორც შაირის რუსთაველამდელი ეპოქის პირველ სრულყოფილ ნიმუშს, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს არსენ იყალთოელის ლიტერატურული მოღვაწეობისა და, ზოგადად, ლექსის ისტორიისათვის შესწავლისათვის.

## **დავალების ხელშეკრულების მნიშვნელობა და ძირითადი მახასიათებლები**

### **შესავალი**

სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი ხშირად აღმოჩენილან ისეთ სიტუაციაში, როდესაც აუცილებელია სხვა პირის დახმარების მეშვეობით განხორციელდეს გარკვეული მოქმედებები. ეს შეიძლება განაპირობოს როგორც სუბიექტურმა, ისე ობიექტურმა მიზეზებმა, მაგ.: ავადმყოფობამ, მოუცლევლობამ, შესაბამისი სპეციალური ცოდნის არ ქონამ თუ სხვ. ნებისმიერ შემთხვევაში კანონმდებლობა სუბიექტებს აძლევს საშუალებას, რომ დარჩნენ აქტიურ წევრებად და არ ჩამოშორდნენ ამა თუ იმ სამართალურიერთობას. აღნიშნულის განხორციელების ერთ-ერთ სამართლებრივ საშუალებას კი წარმოადგენს დავალების ხელშეკრულება, რომელიც სამწახაროდ, ქართულ სამართლებრივ სივრცეში აქამდე არ ყოფილა ფართო განხილვისა თუ სამეცნიერო კვლევის ობიექტი, თუ არ ჩავთვლით სამოქალაქო კოდექსის კომენტარებს. ეს მაშინ, როცა პრაქტიკაში ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და გამოყენებადი სწორედ ეს ხელშეკრულებაა. შესაბამისად, ნათლად იკვეთება თემის აქტუალურობა და საკითხის ძირითად ასპექტებზე ყურადღების გამახვილების აუცილებლობაც.

### **დავალების ხელშეკრულების ზოგადი დახასიათება**

„დავალების ხელშეკრულება მიეკუთვნება ხელშეკრულებათა იმ ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალების ხელშეკრულება ორმხრივი, კონსესუალური ხელშეკრულებაა“.<sup>1</sup> კონსესუალურია, ვინაიდან იგი დადებულად ითვლება მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან. ხოლო ორმხრივია, რადგან მისი ორივე მხარე ერთდროულად იძენს უფლებებს და იღებს ვალდებულებებს მეორე მხარის მიმართ. მაგ.: რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს დავალება და უფლება აქვს მოითხოვოს განუული აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, ხოლო თავის მხრივ მარწმუნებელი ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ხარჯები და უფლება აქვს მოითხოვოს დავალების შესრულება.

დავალების ხელშეკრულების მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. სახეზე გვყავს „ერთი მხრივ, მარწმუნებელი, რომელიც დავალების მიმცემია და ამ სახის ურთიერთობაში კრედიტორის როლში გამოდის, ხოლო მეორე მხრივ, რწმუნებული, რომელიც კისრულობს დავალებული მოქმედებების განხორციელებას და მონაწილეობს მოვალის მხარეზე“.<sup>2</sup>

1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-39-489-06

2 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი,

„ამ ხელშეკრულების საგანია რწმუნებულის მიერ ერთი ან რამდენიმე მოქმედების შესრულება. მარწმუნებელმა შეიძლება დაავალოს რწმუნებულს როგორც იურიდიული, ისე ფაქტობრივი მოქმედებების შესრულება“.<sup>3</sup> ეს მოქმედებები მიმართულია მარწმუნებლისათვის მესამე პირებთან ურთიერთობებში გარკვეული სუბიექტური უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტისკენ.

დავალების ხელშეკრულების საგანს განსაზღვრავს მარწმუნებელი, რომლის მითითებებიც უნდა იყოს კანონიერი, მართლზომიერი, შესრულებადი და კონკრეტული. უნდა აღინიშნოს, რომ დავალების ხელშეკრულების საგანი, ბუნებრივია, ვერ იქნება ისეთი იურიდიული მოქმედებები, რომელთა განხორციელებაც რწმუნებულის მეშვეობით არ დაიშვება მათი ხასიათიდან გამომდინარე ან კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. მაგ.: სსკ 1346–ე მუხლის თანახმად: „ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება“; ასევე დაუშვებელია წარმომადგენლის მეშვეობით შვილად აყვანა (სსკ 1243–ე მუხლის 1 ნაწილი) და ა.შ.

სსკ 709–ე მუხლი მიუთითებს, რომ რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელით და მარწმუნებლის ხარჯზე. შესაბამისად, დავალების ხელშეკრულების საფუძველზე რწმუნებულის მიერ დადებული გარიგებებით, მესამე პირებთან უფლება-მოვალეობები წარმოშობა უშუალოდ მარწმუნებელს. „რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის სახელით და მის ხარჯზე, ეს მხარეთა შორის ურთიერთობის განსაკუთრებულ ხასიათზე მიუთითებს, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთნდობას და საიმედოობას. რწმუნებულმა დავალებული საქმეები უნდა აწარმოოს კარგი მმართველის გულისხმიერებით“.<sup>4</sup>

„დავალების ხელშეკრულების ფორმაზე კანონი არ მიუთითებს, ამიტომ ფორმის საკითხის განსაზღვრისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთო წესებით გარიგების ფორმის შესახებ“.<sup>5</sup> იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც ზეპირად, ისე წერილობით. თუმცა, თავად ეს ხელშეკრულება რიგ შემთხვევებში ვერ იქნება საკმარისი იმისთვის, რომ რწმუნებულმა მესამე პირებთან წარმომადგენლის მარწმუნებლის ინტერესები. მაგალითად, სასამართლოში რწმუნებული მარწმუნებლის სახელით ვერ გამოვა თუ არ ექნება სათანადოდ გაფორმებული მინდობილობა.

გამომდინარე იქედან, რომ სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ მითითებას დავალების ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით, იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც განსაზღვრული ისე განუსაზღვრელი ვადით.

დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. თუ სასყიდლიანია მაშინ, ამის თაობაზე მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში სპეციალურად უნდა იქნეს მითითებული, ხოლო, თუ კანონით არის გათვალისწინებული რწმუნებულის მიერ სასყიდლიანი მოქმედების განხორციელება, მაშინ ამის თაობაზე ხელშეკრულებაში სპეციალური მითითება აღარ არის საჭირო.

ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, გვ. 394

3 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინება საქმეზე # ას-39-489-06

4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, გვ. 396

5 ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 1999, გვ. 182

აღსანიშნავია, რომ ქონება, რომელიც რწმუნებულმა დავალებული მოქმედების შესრულებისას შეიძინა მარწმუნებლის ხარჯზე და საკუთარი სახელით, ან რომელიც მარწმუნებელმა გადასცა მას დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში ჩაითვლება მარწმუნებლის ქონებად.

### დავალების ხელშეკრულების განსხვავება

#### შრომის და ნარდობის ხელშეკრულებებისაგან

დავალების ხელშეკრულება ემსგავსება შრომით ხელშეკრულებას, ვინაიდან ორივე შემთხვევაში სრულდება გარკვეული სამუშაო – ხორციელდება განსაზღვრული მოქმედებები. ორივე შემთხვევაში, ხელშეკრულების ის მხარე, რომელიც ახორციელებს სამუშაოს, მოქმედებს ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მის ხარჯზე და ექვემდებარება მის მითითებებს. მსგავსების მიუხედავად, ამ ორ ხელშეკრულებას შორის მაინც არის განსხვავება, რაც ქმნის მათი, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულებების არსებობის აუცილებლობას. კერძოდ: ა. შრომითი ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია, მაშინ როცა დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც სასყიდლიანი, ისე უსასყიდლო; ბ. შრომითი ხელშეკრულების მხარეების მიმართ არსებობს ასაკობრივი ცენზი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ შრომითი ხელშეკრულების მონაწილის სტატუსის მოსაპოვებლად პირს უნდა გააჩნდეს შრომითი ქმედუნარიანობა, რომელიც 16 წლიდან იწყება. კანონი ასეთ პირდაპირ მოთხოვნას არ ითვალისწინებს დავალების ხელშეკრულების მონაწილეების მიმართ და მისი მონაწილე შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი. ბუნებრივია, ფაქტობრივი მოქმედებების განსახორციელებლად კანონი ასაკობრივ ცენზს არ აწესებს, თუმცა, იურიდიული მოქმედებების ბუნებიდან, ცხადია, რომ აქ უკვე საჭირო ხდება ქმედუნარიანობის მოთხოვნა, რაც ზოგადი ნორმებითაა განპირობებული; გ. დავალების ხელშეკრულების მხარეები, ანუ რწმუნებული და მარწმუნებელი, შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები მაშინ, როდესაც შრომითი ხელშეკრულების დაქვემდებარებული მხარე – მუშაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი; დ. მიუხედავად იმისა, რომ დავალების ხელშეკრულების მოქმედების ვადას კანონი არ ადგენს და განუსაზღვრელი ვადით შეიძლება დაიდოს, იგი მაინც კონკრეტული სამუშაოს შესრულებისთვის იდება, ხოლო შრომითი ხელშეკრულება უფრო გრძელვადიან ურთიერთობებს აფუძნებს და არაა ერთჯერადი მოქმედებისათვის გათვალისწინებული. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დავალება უმეტესად მოკლევადიანი და კონკრეტული, ერთჯერადი ხასიათისაა (თუმცა არაა გამორიცხული მისი გრძელვადიანობაც და მრავალჯერადობაც), ხოლო შრომითი ხელშეკრულება უფრო ხანგრძლივ დროზეა გათვლილი, ამიტომაც ითვალისწინებს შვებულების თუ მივლინების პირობებს და იგი მრავალჯერადი მოქმედებების განხორციელების საფუძველია.

ნარდობისა და დავალების ხელშეკრულებას მათი ხასიათი აერთიანებს. ორივე იდება იმ მიზნით, რომ განხორციელდეს გარკვეული ქმედებები სხვისი ინტერესებისათვის. თუმცა მათ შორის განსხვავებაა: ა. „ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოს შედეგი (რეზულტატი). მაშასადამე,

ნარდობის ხელშეკრულება აგებულია შემდეგი ფორმით: თუ არ არის შედეგი, მაშინ ადგილი აქვს ხელშეკრულების შეუსრულებლობას<sup>6</sup>. ხოლო დავალების ხელშეკრულების საგანი არის ერთი ან რამდენიმე მოქმედების განხორციელება; ბ. მესამე პირებთან ურთიერთობებში შესვლისას მენარდე გამოდის თავისი სახელით, ხოლო დავალების დროს რწმუნებული გამოდის მარწმუნებლის სახელით; გ. დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, მაშინ, როცა ნარდობის ხელშეკრულება ყოველთვის სასყიდლიანია; დ. დავალების დროს მოქმედებები რწმუნებულმა თავად უნდა შეასრულოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არაა გათვალისწინებული ანდა გარემოებებიდან გამომდინარე თუ იგი იძულებული არაა არ შეასრულოს დავალება პირადად. ხოლო ნარდობის ხელშეკრულებაში მენარდე მხოლოდ მაშინაა ვალდებული პირადად შეასრულოს სამუშაო, როცა ეს გამომდინარეობს კონკრეტული გარემოებებიდან ან სამუშაოს ხასიათიდან.

**დავალების ხელშეკრულების მხარეების**

**უფლება-მოვალეობები**

**ა. მარწმუნებლის უფლება-მოვალეობები**

დავალების ხელშეკრულების ცნებიდან გამომდინარე, აშკარაა მარწმუნებლის ძირითადი უფლება – „დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედების“ შესრულების მოთხოვნა. მარწმუნებლის უფლებაა, რწმუნებულს დავალებული მოქმედებების შესრულების მესამე პირისთვის გადანდობის ნება დართოს. მარწმუნებელს უფლება აქვს, ასევე მოითხოვოს ინფორმაცია რწმუნებულის მიერ დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, ხოლო დავალების დასრულების შემდეგ უკვე ჩაიბაროს ანგარიში. მარწმუნებელი უფლებამოსილია ხელშეკრულება შეწყვიტოს ნებისმიერ დროს. მარწმუნებელს ასევე უფლება აქვს მოითხოვოს რწმუნებულის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, თუ რწმუნებულს ამისთვის არ ჰქონდა მნიშვნელოვანი საფუძველი და მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები.

გარდა უფლებებისა, ბუნებრივია, მარწმუნებელს აკისრია ვალდებულებებიც. პირველ რიგში ესაა გასამრჯელოს გადახდის ვალდებულება, თუ ეს ხელშეკრულებით ან კანონითაა გათვალისწინებული. აგრეთვე მარწმუნებელი მოვალეა, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებაში, უზრუნველყოს იგი ყველა იმ საშუალებით, რაც აუცილებელია დავალებული მოქმედების შესასრულებლად. აქ, რა თქმა უნდა, იგულისხმება როგორც ფულადი სახსრები, ისე სხვა საჭირო საშუალებები.

მარწმუნებელმა უნდა აანაზღაუროს რწმუნებულის მიერ მოქმედებების შესასრულებლად გაწეული აუცილებელი ხარჯები. დავალების ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, რწმუნებული მოქმედებს მარწმუნებლის ხარჯზე. შესაძლოა რწმუნებულმა გარკვეული მოქმედებები განახორციელოს საკუთარი სახსრებით და შემდგომ მოითხოვოს მათი ანაზღაურება. ეს სრულებით ჯდება მარწმუნებლის ხარჯზე მოქმედების ფარგლებში. თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ კანონმდებელი მარწმუნებელს ავალდებულებს არა ყოველგვარი ხარჯის ანაზღაურებას, არამედ

<sup>6</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, გვ.239

მხოლოდ განუვლი აუცილებელი ხარჯების. კანონი კუმულატიურ მოთხოვნას აყენებს და ითხოვს ორივე პირობის – განუვლი და აუცილებელი ხარჯის – ერთდროულად არსებობას. ხარჯის განუვის მტკიცება შედარებით მარტივია, ვინაიდან რწმუნებულმა უნდა წარადგინოს გადახდის რეალურად განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულება, იქნება ეს გადარიცხვის ქვითარი, ამობეჭდილი ჩევი თუ სხვა. ხოლო რაც შეეხება უკვე განუვლი ხარჯების აუცილებლობას, აქ შედარებით რთულადაა საქმე. გამომდინარე იქედან, რომ კანონი თავად არაფერს ამბობს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს აუცილებელ ხარჯად, ეს ყოველი კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე უნდა დადგინდეს და შეფასდეს. შესაბამისად, რწმუნებულს მოუწევს ხარჯების აუცილებლობის მტკიცება. თუმცა, მხარეებს შეუძლიათ თავიდანვე განსაზღვრონ გასანუვი აუცილებელი ხარჯების ოდენობა, ან შემდგომ შეთანხმდნენ უკვე განუვლი ხარჯის აუცილებლად ცნობაზე. იმ შემთხვევაში კი, თუ მხარეები შეთანხმდებიან, რომ ხარჯები დაიფაროს გასამრჯელოთი, ცხადია, აუცილებელი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება უკვე აღარ იარსებებს.

„კანონი ითვალისწინებს მარწმუნებლის მიერ მისი ბრალის გარეშე დამდგარი ზიანის ანაზღაურების მოვალეობას, რომელიც მიადგა რწმუნებულს დავალებული მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საფრთხის შედეგად, რაც მარწმუნებლის მითითებებმა გამოიწვია. აქ ისეთი შემთხვევები იგულისხმება, როცა მარწმუნებელი ისეთი მოქმედების შესრულებას ავალებს რწმუნებულს, რომელიც ამ უკანასკნელისათვის ზიანის მიყენების საფრთხეს შეიცავს (მაგალითად, ცეცხლმოკიდებული სახლიდან ბავშვის გამოყვანას). მოცემულ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ წარმოიშობა, თუ ზიანი გასამრჯელოთი უნდა დაიფაროს, ან თუ ზიანი გამოწვეულია რწმუნებულის მოქმედებით. თუ სადავო გახდება შეთანხმების არსებობა ზიანის გასამრჯელოთი დაფარვის შესახებ, მაშინ მტკიცების მოვალეობა ეკისრება რწმუნებულს (სამოქალაქო კოდექსის 718-ე მუხლი)“.<sup>7</sup>

#### ბ. რწმუნებულის უფლება–მოვალეობები

რწმუნებული უფლებამოსილია მოითხოვოს გასამრჯელოს გადახდა, თუ ეს გათვალისწინებულია ხელშეკრულებით ან კანონით; მას აგრეთვე შეუძლია გადაანდოს დავალებული სამუშაოს შესრულება სხვა პირს, თუ მარწმუნებელს მინიჭებული აქვს უფლებამოსილება; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს; რწმუნებულს შეუძლია მოსთხოვოს მარწმუნებელს ავანსი იმ ხაჯებისთვის, რომლებიც მას უნდა აუნაზღაურდეს. უფლება აქვს, მოითხოვოს მინდობილი მოქმედებების შესრულებისას განუვლი ყველა აუცილებელი ხარჯის ანაზღაურება, თუ ხელშეკრულება წყდება მარწმუნებლის მიერ, ხოლო თუ ხელშეკრულება სასყიდლიანი იყო, მიიღოს გასამრჯელო შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

რწმუნებული ვალდებულია დავალება პირადად შეასრულოს. მაგრამ, თუ მარწმუნებელი თანახმაა, რწმუნებულს შეუძლია დავალება გადაანდოს მესამე პირს. თუმცა, ასეთი მესამე ან დამხმარე პირის მიერ მიყენებულ ზიანზე მარწმუნებლის წინაშე პასუხისმგებელია რწმუნებული.<sup>8</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთ–

<sup>7</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 1999, გვ.186

<sup>8</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი,



ერთ გადაწყვეტილებაში საკასაციო სასამართლომ სრულიად სამართლიანად არ დააკმაყოფილა კასატორის მოთხოვნა და ჩათვალა, რომ სააპელაციო პალატამ დადგენილ გარემოებებს მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება. თავის მხრივ, სააპელაციო პალატამ „მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვ.ყ. ნებას დართავდა მოპასუხეებს, მისი საქმე მიენდოთ მესამე პირისთვის, სსკ 711-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, არაკეთილსინდისიერი პირისთვის დავალების გადანდობისას რწმუნებული აგებს პასუხს მარწმუნებლისთვის მიყენებულ ზიანზე...“<sup>9</sup>

მაგრამ, „თუ დავალების ხელშეკრულებაში მარწმუნებელმა პირდაპირ მიუთითა კონკრეტული დამხმარე, მაგალითად, აუდიტი პავლიაშვილი და საჭიროების შემთხვევაში რწმუნებულმა მხოლოდ აღნიშნულ პირს უნდა მიმართოს, მაშინ მის მიერ არასწორი დახმარებით მიყენებული ზიანისათვის რწმუნებული პასუხს არ აგებს“.<sup>10</sup>

დავალება უნდა შესრულდეს ზუსტად მითითებების შესაბამისად. საკასაციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „პალატამ დაადგინა, რომ შპს „ს-მა“ დაარღვია ამ ხელშეკრულების პირობები და გადაუხვია მარწმუნებლის მითითებებს. ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, შპს „ს-ს“ გარიგება შპს „ფ-თან“ უნდა დაედო არა საკუთარი, არამედ შპს „უ-ის“ სახელით, ასევე სადაზღვევო კომპანიაშიც მას ტვირთი უნდა დაეზღვია შპს „უ-ის“ სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევაში შპს „უ-ს“ მიეცემოდა შესაძლებლობა, მოეთხოვა ან ზიანის ანაზღაურება შპს „ფ-ის“, ან სადაზღვევო პრემია სს „ა-ისაგან“, თუმცა მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, აღნიშნული შეუძლებელია. ამდენად, პალატის მოსაზრებით, შპს „ს-ის“ მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანმა შესრულებამ, ზიანი მიაყენა შპს „უ-ს“... პალატამ მიიჩნია, რომ შპს „უ-ს“ ზიანი მიადგა აპელანტის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ამდენად, იგი ვალდებულია, მონინააღმდეგე მხარეს აუნაზღაუროს აღნიშნულით მიყენებული ზიანი“.<sup>11</sup>

კანონმდებელი შესაძლებელს ხდის მარწმუნებლის მითითებებიდან გადახვევას გარკვეული პირობების არსებობისას. რწმუნებულს შეუძლია გადაუხვიოს მარწმუნებლის მითითებებს, თუ, გარემოებებიდან გამომდინარე, მას შეუძლია ივარაუდოს, რომ მარწმუნებელი საქმის ვითარების ცოდნის შემთხვევაში მოიწონებდა ასეთ გადახვევას. მაგრამ, მითითებებისაგან გადახვევამდე ის მოვალეა: ა. შეატყობინოს მარწმუნებელს და ბ. დაელოდოს მის გადაწყვეტილებას. მართალია, ეს მოთხოვნა კუმულატიურია, მაგრამ, კანონმდებელი აქაც უშვებს გამონაკლისს და ამბობს, რომ თუ დაყოვნებით მარწმუნებელს შეეჭმნება ზიანის მიყენების საფრთხე, მაშინ რწმუნებულს შეუძლია მისი გადაწყვეტილების დალოდების გარეშეც გადაუხვიოს მითითებებს.

მარწმუნებელს ზიანი შესაძლოა მიაყენოს როგორც მითითებებიდან გადახვევის დაყოვნებამ, ესე მისივე მითითებების შესრულებამაც. ამ შემთხვევაში კანონმდებელი

ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, გვ. 401

9 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 22 სექტემბრის განჩინება საქმეზე #ას-600-879-05

10 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, გვ. 401-402

11 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 5 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-418-391-2010

რწმუნებულს ზიანთან მიმართებაში პასუხისმგებლობისგან მხოლოდ მაშინ ათავისუფლებს და მხოლოდ მაშინ რთავს ნებას შეასრულოს მითითებები, თუ მოსალოდნელი „მნიშვნელოვანი ზიანის“ შესახებ, რომელიც შესაძლოა გამოიწვიოს მითითებების შესრულებამ, ის შეატყობინებს მარწმუნებულს, ხოლო ეს უკანასკნელი არ შეცვლის თავის მითითებებს.

რწმუნებული ვალდებულია დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიანოდოს მარწმუნებულს, ასევე, მარწმუნებულის მოთხოვნისთანავე აცნობოს მას საქმეთა მიმდინარეობის შესახებ, ხოლო დავალების შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს ანგარიში. სსკ 713–ე მუხლის მე–2 ნაწილი იძლევა შესაძლებლობას მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში რწმუნებული გაათავისუფლდეს ინფორმაციის მიწოდების მოვალეობისაგან, ან ნაწილობრივ შეიზღუდოს მისი ეს მოვალეობა, თუმცა, მხარეთა შორის ასეთი შეთანხმება აუცილებლად უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

„კანონი ითვალისწინებს რწმუნებულის მიერ საიდუმლოების შენახვის მოვალეობას. მას ევალება, არ გაახიზუროს თავისი საქმიანობის ფარგლებში მისთვის ცნობილი ფაქტები, რომელთა საიდუმლოდ შენახვით მარწმუნებელი მართლზომიერადაა დაინტერესებული, თუკი კანონის საფუძველზე არ არსებობს საიდუმლოების გამჟღავნების მოვალეობა, ან მარწმუნებელი ნებას დართავს რწმუნებულს, გაამჟღავნოს იგი (მაგალითად, მარწმუნებელმა დაავალა რწმუნებულს შემნახველი ბანკიდან თანხის მიღება და მას არ სურს, რომ სხვა პირებმა იცოდნენ ამის შესახებ, რწმუნებულმა უნდა შეასრულოს ეს მოთხოვნა, მაგრამ თუ ამის ცოდნა აუცილებელია სასამართლოსათვის, მაშინ რწმუნებულმა უნდა გაამჟღავნოს იგი). ფაქტების გაუმჟღავნებლობის მოვალეობას ის თავისებურებაც ახასიათებს, რომ ის არ წყდება სახელმწიფოებრივ ურთიერთობის დამთავრების შემდეგაც (სამოქალაქო კოდექსის 714-ე მუხლი)“.<sup>12</sup>

რწმუნებულის მოვალეობას წარმოადგენს აგრეთვე, დავალების ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, დაუბრუნოს მარწმუნებულს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად. რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებულს ყველა ის ნივთიც, რომელიც მან შეიძინა მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით, ასევე ამ ნივთის ნაყოფიც, თუ რწმუნებულმა თავისი სახელით შეიძინა საქმის წარმოების შედეგად გარკვეული უფლებები, ეს უფლებებიც უნდა გადასცეს მარწმუნებულს. თუ მარწმუნებელმა დავალებული საქმეების განსახორციელებლად საქმის საჭიროებისათვის რწმუნებულს მისცა გარკვეული ფულადი თანხა, მაგრამ დავალების ხელშეკრულების პერიოდში რწმუნებულმა დახარჯა ეს ფული და თავისთვის, პირადი საჭიროებისათვის გამოიყენა, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ იგი მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებულს არა მარტო ეს თანხა, არამედ მისი პროცენტებიც.<sup>13</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ: „ხელშეკრულებით აპელანტმა იკისრა ვალდებულება, შეესრულებინა მოქმედებები თ. პ-ნკოს სასარგებლოდ და მის ხარჯზე. შესაბამისად, მხარეთა შორის დაიდო დავალების ხელშეკრულება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლის 1-ლი ნაწილის

<sup>12</sup> ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი (მეორე გამოცემა), გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 1999, გვ.185  
<sup>13</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი I, გამომცემლობა „სამართალი“, თბ. 2001, გვ.407–408

თანახმად, რწმუნებულმა ნ. ნ-ძემ მარწმუნებლისაგან დავალების შესასრულებლად მიიღო 40000 აშშ დოლარი, თუმცა, ეს თანხა ხელშეკრულების მიზნებისათვის არ გამოუყენებია. ამის გამო, აპელანტი ვალდებულია, მოწინააღმდეგე მხარეს დაუბრუნოს მიღებული თანხა.<sup>14</sup> სხვა გადაწყვეტილებაშიც ვკითხულობთ: „იმ უდავო ფაქტობრივი გადაწყვეტილების გათვალისწინებით, რომ რ.ჭ-ემ დავალების შესასრულებლად თ.ბ-ეს გადასცა 206000 აშშ დოლარი, საიდანაც 165000 აშშ დოლარი უშუალოდ მიიღო გამყიდველმა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ.ბ-ეს, როგორც დავალების ხელშეკრულების მხარეს დავალების მიმცემის, ანუ რ.ჭ-ისათვის უნდა დაებრუნებინა ის თანხა, რომელიც მას გადაეცა, მაგრამ არ გამოუყენებია მინდობილი მოქმედების შესასრულებლად“.<sup>15</sup>

დავალების ხელშეკრულების მხარეებს ნებისმიერ დროს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულება და ურთიერთობები, თუმცა ამ შემთხვევაში კანონმდებელი იცავს მარწმუნებლის ინტერესებს და რწმუნებულს აკისრებს იმ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რომელიც მარწმუნებელს მიადგა ხელშეკრულების შეწყვეტით. თუმცა, ეს იმ შემთხვევაში, თუ რწმუნებულმა მაშინ შეწყვიტა ხელშეკრულება, როცა მარწმუნებელი მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები.

### დასკვნა

დავალების ხელშეკრულების პრაქტიკული დანიშნულებიდან გამომდინარე, მისი უკეთ შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადვოკატებისათვის. სწორედ დავალების ხელშეკრულებით გათვალისწინებულმა მხარეთა უფლება-მოვალეობების შინაარსმა კპოვა ასახვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ცალკეულ დებულებებში, იქნება ეს ნდობის პრინციპი, კონფიდენციალურობის ვალდებულება თუ სხვა. პრაქტიკამ გვიჩვენა, თუ რამდენად მაღალია ეთიკის კომისიისადმი საჩივრების ოდენობა. შესაბამისად, დისციპლინური პასუხისმგებლობის გვერდით შეიძლება დღის წესრიგში აქტუალურად დადგეს მატერიალური პასუხისმგებლობის საკითხიც. ამიტომ პროფესიული ეთიკის ნორმებთან ერთად, მნიშვნელოვანია უკეთ შევისწავლოთ მატერიალური სამართლის ის ნორმები, რომლებსაც ეფუძნება ადვოკატების ურთიერთობა კლიენტთან. ვიმედოვნებთ, რომ წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია მოკრძალებულ წვლილს შეიტანს ქართულ სამეცნიერო-სამართლებრივ სივრცეში და შექმნის საფუძველს სამოქალაქო სამართლის ზემოთ განხილული საკითხების უფრო სრულყოფილად და ღრმად შესწავლისთვის.

14 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 29 ივლისის განჩინება საქმეზე # ას-949-987-2011

15 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 12 დეკემბრის განჩინება საქმეზე # ას-879-922-2011

# მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნამდე სამსლიანი გამოსაცდელი ვადით დანიშვნის პრობლემა საქართველოში

## ნინო ბოჭორიშვილი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი,  
სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

### შესავალი

თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს ფუნქციონირებაში ხელისუფლების დანაწილების პრინციპის ასამოქმედებლად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გვერდით, აუცილებელია დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუტის არსებობა. არის მოსაზრება, რომ სასამართლო ხელისუფლება პოლიტიკური და სამართლებრივი ფენომენია, რომელიც ადეკვატურად ასახავს ხელისუფალთა დანაწილების დოქტრინაზე დაფუძნებული სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისადმი სწრაფვას<sup>1</sup>.

სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფცია სხვა უამრავ, მისთვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შორის, სასამართლოს განსაკუთრებულ როლზეა ორიენტირებული, რაც, პირველ რიგში, მისი დამოუკიდებლობის პირობებზეა დამყარებული<sup>2</sup>.

სასამართლოს დამოუკიდებლობის განმაპირობებელი უმთავრესი ფაქტორი ის არის, რომ სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებლად ახდენს სასამართლო პოლიტიკის ფორმირებას, შეიმუშავებს სასამართლო საქმიანობის მთავარ მიმართულებებს ცხოვრებაში მიმდინარე შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით. ცხადია, ყველა აღნიშნული თავისებურება, მეტ-ნაკლებად საქართველოს სასამართლო ხელისუფლებაზეც ვრცელდება<sup>3</sup>.

სასამართლო ხელისუფლების როლი და ადგილი სახელმწიფო მონყობის სისტემაში, რომელიც ხელისუფლების დანაწილების პრინციპზეა დაფუძნებული, პროფესორ ი. მიხაილოვსკაიას აზრით, სამი ფაქტორით არის განპირობებული:

- პირველ რიგში, ეს სასამართლო ხელისუფლების უფლებამოსილების მოცულობაა, რომელზეც არის დამოკიდებული მოქმედი კანონმდებლობით აღიარებული ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებებისა და ინტერესების სასამართლო დაცვის ფარგლები;

- მეორე, ეს არის სასამართლო ხელისუფლების თანაფარდობა ხელისუფლების სხვა შტოებთან;

- მესამე, არ შეიძლება შეკავება-განონანსორების სისტემის იმ ორგანოებისაგან მოწყვეტით განხილვა, რომლებიც სახელისუფლებო სტრუქტურაში ამა თუ იმ ხელისუფლებას, ინსტიტუტებს წარმოადგენენ, ასრულებენ შინაგანი კონტროლის ფუნქციას და ამის გამო გარკვეული ავტონომიით არიან აღჭურვილნი<sup>4</sup>.

პროფესორ ი. მიხაილოვსკაიას მიერ სასამართლო ხელისუფლების როლისა და ადგილის განსაზღვრული სამი ფაქტორი მეტი სისრულით ახასიათებს მის როლს, მაგრამ ნაკლებად - მის ადგილს. საქმე ის არის, რომ ხელისუფლების შტოთა ბალანსში სასამართლო ხელისუფლების ადგილი მნიშვნელოვანწილად მისი დამოუკიდებლობის ხარისხზეა მიბმული. ამ თვალსაზრისით, უდავოდ არსებითია სასამართლო ხელისუფლების ფორმირების წესი და მთლიანად სასამართლო სისტემის მართვის პრობლემები,

1 Ваглай М.В., Конституционное право Российской Федерации, М., 1999, с.628.

2 იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXI, გამომცემლობა, თბ., 2005 წ. გვ. 41

3 იხ. მელქაძე-ოთარი, საქართველოს კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXV, გამომცემლობა "ინოვაცია", თბ., 2008 წ. გვ.213.

4 იხ. Михайловская И.В., Судебная власть как инструмент самоограничения государства/ Судебная власть, Под, ред, И.Л. Петрухина, М, Проспект, 2003, с.32-33

რომელთა განზოგადებული განხილვა ბევრ საიტერესო მოსაზრებასაც შეიცავს ქართულ სამართალში იმპლემენტაციის თვალსაზრისით.

კონსტიტუციონალიზმში ტერმინი “დამოუკიდებელი სასამართლო” სხვადასხვა, ურთიერთდაკავშირებულ განზომილებაში განიხილება. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობა, ცხადია, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის იდენტურია, მაგრამ ერთი და მეორეც, სასამართლოების დამოუკიდებლობაზეა დაფუძნებული. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის ფუძის სიმტკიცე თითოეული მოსამართლის დამოუკიდებლობით უნდა იყოს გარანტირებული. ასე რომ, მთლიანის დამოუკიდებლობა, შემადგენელი ნაწილების დამოუკიდებლობით არის განმტკიცებული<sup>5</sup>.

ქართული სამართლის ძეგლები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენდენ მოსამართლისათვის აუცილებელ თვისებებს. ჯერ კიდევ ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნში ხაზგასმული (99-ე მუხლი), რომ მოსამართლე უნდა იყოს ღვთისმოშიში, სამართლიანი, მოუსყიდველი, მიუდგომელი, რომელიც არც პატრონის, არც მშობლების, არც ძმისა და მოყვასთა ხათრით უსამართლობას არ ჩაიდენს და მართალ სამართალს გააჩენს<sup>6</sup>.

### ძირითადი ნაწილი

ნებისმიერი ქვეყნის სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა, მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში, სისტემის სტრუქტურით, უფლებამოსილებების მოცულობითა და ფუნქციების იურიდიული ბუნებითაა განპირობებული. რაც შეეხება მთლიანად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, იგი სახელმწიფოებრივი მოწყობის კონსტიტუციურ არჩევანზე, ანუ ხელისუფლების დანაწილების მოქმედ სისტემაზეა დამოკიდებული. აქ უმთავრესი ის არის, თუ როგორ არის დაცული აღნიშნული სისტემა კონსტიტუციის მიერ<sup>7</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 82-ე მუხლის მე-3 პუნქტით: „სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.“ სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლებიდან გამომდინარე, ყველას აქვს უფლება დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ სასამართლოზე. სასამართლოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ შექმნილი სამართლებრივი სისტემით, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოს წევრების დანიშვნის წესს, სასამართლოზე ზემოქმედების განხორციელების აღმკვეთ გარანტიებს, აგრეთვე მოსამართლეთა პირადი და სოციალური უსაფრთხოების გარანტიებს<sup>8</sup>. საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ მოთხოვნას და ადგენს მოსამართლის დამოუკიდებლობის გარანტიებს, რომელთა დიდი ნაწილი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მეხუთე თავში.

ადამიანის უფლებათა ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება კანონით შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ გონივრულ ვადაში სამართლიან და საჯარო მოსმენაზე. აღნიშნულ გარანტიაში ორი მოთხოვნაა გადაჯაჭვული – სასამართლოს დამოუკიდებლობა და მიუკერძოებლობა,- რომელთაც ევროპული სასამართლო ყოველთვის ერთად განიხილავს<sup>9</sup>.

5 იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში,

პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005 წ., გვ. 42-43.

6 იხ. შერეველი, ვალერი, ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა “შერიდიანი”, თბ., 2004 წ., გვ. 413.

7 იხ. რამიშვილი, ნუცა, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის საკითხები კონსტიტუციონალიზმში, პოლიტიკურ-სამართლებრივი ლიტერატურის სერია, წიგნი XXII, გამომცემლობა, თბ., 2005 წ., გვ. 51

8 იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლება, გამომცემელი: საია, რედ: ი.სესიაშვილი, მკენაღარიშვილი;

9 იხ. მოსამართლე და მართლმსაჯულება (ევროპული სტანდარტები), მთარგმნელი - გ.გოცირიძე, თბილისი, 2001 წ.

საქართველოს კანონმდებლობა სასამართლო დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გარანტიებს ცალ-ცალკე განმარტავს. სასამართლოს დამოუკიდებლობას განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლი, რომლითაც:

1. მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციასა და კანონს. რაიმე ზემოქმედება მოსამართლეზე, ან ჩარევა მის საქმიანობაში გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.
2. მოსამართლის ჩამოცილება საქმის განხილვისაგან, თანამდებობიდან მისი ვადამდე გათავისუფლება ან სხვა თანამდებობაზე გადაყვანა დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.
3. არავის არა აქვს უფლება, მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.
4. ბათილია ყველა აქტი, რომელიც ზღუდავს მოსამართლის დამოუკიდებლობას. სასამართლო დამოუკიდებლობის სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფა და პატივისცემა განმტკიცებულია სასამართლო დამოუკიდებლობის შესახებ ძირითადი პრინციპებით<sup>10</sup>.

მოსამართლეები, რომლებიც სასამართლოებში განიხილავენ უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებს, უნდა იყვნენ დამოუკიდებელი და კომპეტენტურები. იმისათვის, რომ მოსამართლე იყოს დამოუკიდებელი, იგი უზრუნველყოფილი უნდა იყოს საიმედოდ დაცული ვადით, რაც იმას ნიშნავს, რომ არ შეიძლება მოსამართლის დათხოვა იმ მიზეზით, რომ მთავრობას მიუღებლად მიაჩნია მისი გადაწყვეტილება. მოსამართლის დათხოვა შეუძლებელია იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ის არღვევს ქცევის წესებს ან თანამდებობისთვის შეუფერებელია. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რამდენად დამნაშავე და თანამდებობისთვის შეუფერებელია მოსამართლე, უნდა მიიღოს ორგანომ, რომელიც მთავრობისაგან დამოუკიდებელი ადამიანებითაა დაკომპლექტებული. მექრთამეობის რისკის გამოსარიცხად მოსამართლეები სათანადო ანაზღაურებას უნდა იღებდნენ. მათ უნდა ჰქონდეთ გავლილი სპეციალური მომზადება და უნდა გააჩნდეთ კანონის გამოყენების პროფესიული გამოცდილება. იმის შეფასებისას, არის თუ არა ეროვნული სასამართლო დამოუკიდებელი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო რამდენიმე ფაქტორს აქცევს განსაკუთრებულ ყურადღებას, მათ შორის, მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის ვადას.

დღეს მოქმედი საქართველოს 2009 წლის 04 დეკემბრის “საერთო სასამართლოს შესახებ” ორგანული კანონის 34-ე მუხლის მიხედვით, მოსამართლედ შეიძლება დანიშნოს (აირჩეს) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას, ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა, გავლილი აქვს იუსტიციის უმაღლესი სკოლის სრული კურსი და შეყვანილია იუსტიციის მსმენელთა საკვალიფიკაციო სიაში<sup>11</sup>. საქართველოს კონსტიტუციის 86-ე მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში განხორციელებული ცვლილების მიხედვით შეიცვალა მოსამართლის თანამდებობაზე განწესების ასაკობრივი ცენზი და ვადები. კერძოდ, “მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს შესაბამისი უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება. მოსამართლე თანამდებობაზე განწესდება უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე. მოსამართლის უვადოდ განწესებამდე კანონით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მოსამართლის განწესება განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს 3 წლისა. მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და თანამდებობიდან გათავისუფლების წესი განისაზღვრება კონსტიტუციითა და ორგანული კანონით”. აღნიშნული ცვლილება

10 იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა დოკუმენტები, წიგნი II, სია, თბ., 1999 წ. გვ. 65

11 იხ. საქართველოს ორგანული კანონი “საერთო სასამართლოების შესახებ”, №2257, სსმ I, №41.08.12.2009 წ., მუხ. 300.

ძალაში შევიდა 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან<sup>12</sup>.

საკონსტიტუციო ცვლილებების ზემოთ აღნიშნული რედაქცია ერთობ ბუნდოვანია. მოსამართლის უფადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით გაუგებარია, რომელი კანონით დადგენილ და რა ასაკის მიღწევაზეა საუბარი ან უფადოდ განწესება როგორ შეიძლება უკავშირდებოდეს რაიმე დადგენილ ვადას. ამასთან, სამ წლამდე განსაზღვრული ვადით მოსამართლის დანიშვნის შესაძლებლობის დაშვება აზრს აკარგვინებს უფადოდ განწესების დემოკრატიულ იდეას<sup>13</sup>.

აღნიშნული პრობლემის ანალიზი ამ ეტაპზე ერთობ მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის ოქტომბრის არჩევნებამდე ბოლო პლენარულ სხდომაზე კიდევ ერთხელ დაადგინა, რომ ახალი მოსამართლეების დანიშვნა მოხდება ახალი წესით — სამწლიანი გამოსაცდელი ვადის შემდგომ უფადოდ. ასევე, დაადგინა, რომ ნებისმიერი მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილების ათწლიან ვადას დაასრულებს და შემდეგ, კვლავ მოინდომებს მოსამართლეობას, დაინიშნება ისევ სამწლიანი გამოსაცდელი ვადით, რაც კიდევ უფრო ბუნდოვანს და ალოგიკურს ხდის გამოსაცდელი ვადის ხანგრძლივობას.

ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციაში 2010 წელს განხორციელებული ცვლილებების შემდეგ საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციების მიერ გამოითქვა არაერთი შენიშვნა და გაცა რეკომენდაციები, თუმცა დღეს 2013 წელს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში შესული<sup>14</sup> ცვლილებებით მაინც დაკანონდა მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა. მაშინ როდესაც, გამოსაცდელი ვადით დანიშვნას, ვენეციის კომისია მოსამართლეთა დამოუკიდებლობისთვის სერიოზული საფრთხის შემცველად მიიჩნევდა. შესაბამისი რეკომენდაცია კონსტიტუციურ საკითხებში ევროსაბჭოს საკონსულტაციო ორგანომ საქართველოს ჯერ კიდევ 2010 წელს მისცა.

საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში შესული ცვლილებით მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით დანიშვნა და ამ ვადაში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მონიტორინგის შედეგების საფუძველზე მოსამართლეთა უფადოდ გამწესების შესაძლებლობა სასამართლოს გადანყვეტილების შინაარსის შეფასების საშუალებას იძლევა. საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლში კი ვკითხულობთ: „არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე“. თუმცა ვიღებთ სურათს, როდესაც მონიტორინგის განმახორციელებელი მოსამართლეს ახსნა-განმარტებას პირდაპირ არ მოსთხოვს, მაგრამ თანამდებობის შენარჩუნება მოსამართლის გადანყვეტილებათა შინაარსს დაუკავშირდება, რითაც ახსნა-განმარტების ტოლფას ეფექტს მივიღებთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, გადანყვეტილების დაუსაბუთებულობა აპელაციის საფუძველად მიჩნეული, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოსამართლის შეფასების ეს კრიტერიუმი პირდაპირ კავშირშია შინაარსობრივ მხარესთან, რისი გაკონტროლებაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, აკრძალულია.

შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებით მოსამართლის თანამდებობაზე დარჩენა-არდარჩენა მის მიერ მიღებული გადანყვეტილების შინაარსზე იქნება დამოკიდებული. ორგანული კანონით გათვალისწინებული მოსამართლეთა მონიტორინგი ახსნა-განმარტების მოთხოვნას უფრო ჰგავს, ვიდრე მოსამართლეთა კვალიფიცირებული კადრებით დაკომპლექტებას.

12 იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

13 იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“, 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ I, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.

14 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, საქართველოს ორგანული კანონი, ქუთაისი, 1 ნოემბერი 2013 წელი; №1489-1ხ.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის ქრილში ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ ჩვენს უახლეს ისტორიაში მოსამართლეთა უფლებამოსილების კუთხით უკვე განხორციელებული მოქმედება. როგორც ვიცით, სამართლიანი სასამართლოს მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მოსამართლეთა უფლებამოსილება, რომელიც ევროპულ კონვენციასთან შესაბამისობისა და სამართლიანობის იდეის განხორციელების მიზნით არაერთხელ დაიხვეწა, როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ არაკონსტიტუციურად ცნობილი ნორმების ხარჯზე, ისე ცვლილებების გზით.

უნდა აღნიშნოს, რომ მოსამართლეთა უფლებამოსილების ვადებთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლომ ერთხელ უკვე იმსჯელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი უფლებამოსილების ვადების კონსტიტუციურობის საკითხზე. კერძოდ, 852—ე მუხლის 1-ლი პუნქტის (1999 წლის მდგომარეობით) კონსტიტუციასთან შესაბამისობის თაობაზე, რომელიც განსაზღვრულ გარემოებაში რაიონის (ქალაქის) სასამართლოს ან საოლქო სასამართლოს მოსამართლის, პრეზიდენტის განკარგულებით 18 თვის ვადით დანიშნას ითვალისწინებდა. საკონსტიტუციო სასამართლომ, დაადგინა, რომ ხანმოკლე ვადით სასამართლო ხელისუფლების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებამ უარყოფითად იმოქმედა მოსამართლის დამოუკიდებლობაზე მაშინ, როდესაც, მოსამართლის ხანგრძლივი ვადით ან სიცოცხლის ვადით დანიშვნა დამოუკიდებლობის განმამტკიცებელი ფაქტორია. საკონსტიტუციო სასამართლომ აგრეთვე მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ სასამართლო ხელისუფლების განმახორციელებელი მოხელე უფრო ნაკლები სოციალური დაცვით სარგებლობდა, ვიდრე 10 წლის ვადით განწესებული მოსამართლეები. საქმის არსებითად განხილვის განმავლობაში საკონსტიტუციო სასამართლომ გამოარკვია, რომ მოსამართლეთა 10 წლის ვადით დანიშვნა პრაქტიკაში სანყისი 18-თვიანი უფლებამოსილების ვადის მანძილზე მათი ქცევის მიხედვით წყდებოდა. 2003 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილებით, საკონსტიტუციო სასამართლომ 852—ე მუხლის 1-ლი პუნქტი არაკონსტიტუციურად გამოაცხადა<sup>15</sup>.

სამწუხაროდ, საკანონმდებლო ხარვეზის გამოსწორების ამგვარი შესაძლებლობა დღეისათვის შეზღუდულია, რადგან, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მოსამართლის დროებითი დანიშვნის სამწლიან ვადას ახლა უკვე თავად კონსტიტუცია შეიცავს და მისი არაკონსტიტუციურად გამოცხადება შეუძლებელია. ეს კი ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს და მის აღმოსაფხვრელად საჭიროა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება<sup>16</sup>.

## დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიული და სამართლებრივი ქვეყანა გულისხმობს სრულყოფილებასთან მიახლოებული კანონმდებლობის შექმნას. მრავალწლიანმა ისტორიულმა წარსულმა დაადასტურა, რომ მიუხედავად არაერთი ქვეყნის კანონმდებლების გულმოდგინე მცდელობისა, ვერ შეიქმნა ისეთი სამართლის სისტემა, რომელიც დროის ცვალებადობას გაუძლებდა. ამიტომ კვლავ უნდა გაგრძელდეს სამართალშემოქმედებითი საქმიანობა აღნიშნულ პრობლემათა გამოსწორების მიზნით.

15 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 26.02.2003 ქ 1/138,171,179,209 გადაწყვეტილება.

16 იხ. საქართველოს კონსტიტუციური კანონი "საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ", 2010 წლის 15 ოქტომბერი, №3710, სსმ 1, №62, 05.11.2010 წ., მუხ. 379.



## მედიაცია

### მამუკა მამალაძე

ადვოკატი

ჩვენს ქვეყანაში მკვიდრდება მედიაციის გზით დავათა გადაწყვეტის წესი. ამ მხრივ საინტერესოა მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილება მედიაციის ინსტიტუტის სფეროში, რისთვისაც აუცილებელია ფუნდამენტური კვლევა და პრაქტიკის შესწავლა. წინამდებარე სტატიით შევეცადეთ ზოგადად მიმოგვეხილა მედიაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი, ჩვენი აზრით, საინტერესო საკითხი.

მედიაცია (ლათ.*mediare* - შუამავლობა) დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის ფორმაა, მესამე ნეიტრალური მიუკერძოებელი მხარის *მედიატორის* (შუამავლის) დახმარებით. მედიაციას არსებობის ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც თავად კონფლიქტებს. ცნობილია, რომ უძველესი დროიდან მედიაცია გამოიყენებოდა საერთაშორისო, ეთნიკური და სხვა სახის დავების გადაწყვეტისას, თუმცა სხვადასხვაგვარად იწოდებოდა, მაგალითად: “შუამავლობა”, “შუამდგომლობა”, “მომრიგებლური მომსახურების შეთავაზება” და ა.შ. დავების გადაწყვეტის ასეთი მეთოდი ხელსაყრელი იყო იმ შემთხვევაში, როცა მოლაპარაკებები ჩიხში შედიოდა; წარმატების მისაღწევად საჭირო ხდებოდა მხარეთა დარწმუნება ერთმანეთის თვალსაზრისის გაგებისა და მიღების აუცილებლობაში.

საუკუნეების წინ დარწმუნდა კაცობრიობა, რომ სერიოზული უთანხმოების გადაწყვეტა და ურთიერთსასარგებლო, სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტილების მიღება მოლაპარაკებებით უფრო ადვილია, ვიდრე მხოლოდ კანონების, ნორმებისა თუ იერარქიული წესით მიღებული აქტების მოშველიებითა და მათზე დაყრდნობით.

მედიაცია წარმოადგენს დავების ალტერნატიული გადაწყვეტის, შეიძლება ითქვას, ყველაზე რბილ ფორმას. მედიაციის პროცედურის დროს კონფლიქტის მონაწილე მხარეები, ეყრდნობიან რა მედიატორის გამოცდილებას, ცოდნასა და უნარს, დამოუკიდებლად მიდიან ურთიერთხელსაყრელ გადაწყვეტილებამდე. დავის გადაწყვეტა სრულად არის დამოკიდებული თვით დავის მონაწილეთა ნებაზე. მედიაცია ზოგადად დავის მონაწილეთა დროს, ფულსა და ენერჯიას. მედიაცია ორიენტირებულია არა იმდენად კონფლიქტის შინაარსის ნვდომაზე

(იმის გარკვევა, თუ ვინ არის მართალი და ვინ მტყუანი) ან რომელიმე მხარის წარმატებაზე, არამედ მხარეთა მორიგების შესაძლებლობის ძიებით, ოპტიმალური, კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღებაზე, მონაწილეთა კერძო ინტერესებიც სრულადაა დაცული, ვინაიდან მედიაცია, როგორც წესი, კონფიდენციალური პროცესია, ამასთან მედიაცია დავის მონაწილეებს მეტი დაფიქრების შესაძლებლობას, მომავლის განჭვრეტისა და საკუთარი შემოქმედებითი უნარების გამოყენების კარგ საშუალებას აძლევს.

შეთანხმება, რომელიც მედიაციის საშუალებით დავების გადაწყვეტის დროს მიიღწევა, როგორც წესი, მყარი, სიცოცხლისუნარიანია, ხოლო ურთიერთშეთანხმებით მიღებული გადაწყვეტილების შესრულების ალბათობა გაცილებით მაღალია.

მედიაცია ფართოდ გამოიყენება ევროპისა და აზიის ნამყვან სახელმწიფოებში, აშშ-სა თუ ავსტრალიაში.

მედიაცია, როგორც დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის ფორმა, აშშ-ში გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩნდება, როგორც ძვირადღირებული და ხანგრძლივი სასამართლო განხილვის ალტერნატივა. ოჯახური და შრომითი დავები წარმოადგენდა მედიაციის გამოყენების პირველ და წარმატებულ სფეროებს. შემდგომში ბიზნესმა აქტიურად დაიწყო მედიაციის, როგორც კომერციული დავების გადაწყვეტისათვის ხელსაყრელი საშუალების გამოყენება. მედიაციის ეფექტურობა ხელს უწყობდა მისი გამოყენების გეოგრაფიული საზღვრების სწრაფ გაფართოებას. მედიაცია გავრცელდა ავსტრალიაში, კანადაში, 80-იანი წლებიდან მისი გამოყენება დაიწყო დიდ ბრიტანეთში, შემდგომ კი ევროპის სხვა ქვეყნებშიც. ამჟამად მედიაცია წარმოადგენს დავების სასამართლოს გარეშე გადაწყვეტის ყველაზე გავრცელებულ ფორმას მსოფლიოში. ედიაციის პროცედურის წარმატებულობა საკმაოდ მაღალია. მსოფლიოში საშუალოდ მედიაციაზე გატანილი ყველა დავის 75%-დან 80%-მდე სრულდება შეთანხმების მიღწევით. საერთაშორისო პრაქტიკა მედიაციის მრავალ მოდელს იცნობს. მედიაციის ჩატარების ფორმა და მეთოდი სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაგვარია, თუმცა მედიაციის ძირითადი პრინციპები ყველგან უცვლელი რჩება. ესაა: ნებაყოფლობითობა, მხარეთა თანასწორობა, მედიატორის ნეიტრალურობა, კონფიდენციალურობა.

მედიაციის არსებობა, სამოქალაქო საზოგადოების სიჯანსაღის მაჩვენებელია. მედია-ცია მთელი რიგი ქვეყნებისათვის უკვე გახდა სამრთლებრივი კულტურისა და სისტემის ნაწილი. მსოფლიოს მონინავე ქვეყნები ხელს უწყობენ მედიაციის განვითარებას. აშშ-ში 2001 წელს მიიღეს სპეციალური საკანონმდებლო აქტი მედიაციის შესახებ. მე-დიაციის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ამერიკული სასამართ-ლოების მიერ დავების გადაწყვეტის აღნიშნული მეთოდის ეფექტურობის აღიარება. სამართალწარმოების ამერიკული სისტემის მიერ ყველანაირადაა ნახალისებული დავათა სასამართლომდე გადაწყვეტის შესაძლებლობა. მოსამართლეს უფლება აქვს, შეწყვიტოს სხდომა და მხარეებს ურჩიოს მედიატორებთან წამუშავება. ზოგიერთი შტატის სასამართლო საქმეს წარმოებაში იღებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მხარეე-ბი არგუმენტირებულად დაამტკიცებენ, რომ მათ საქმეში მედიაციის გამოყენება შეუძლებელია. აშშ-ში მოქმედებს დავების გადაწყვეტის ნაციონალური ინსტიტუტი, რომელიც შეიმუშავებს მედიაციის ახალ მეთოდებს, აგრეთვე არსებობს მედიაციის კერძო და სახელმწიფო სამსახურები. აშშ-ში მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს ამერიკული საარბიტრაჟო ასოციაცია (American Arbitration Association), რომელმაც დაამტკიცა არბიტრაჟისა და მედიაციის სპეციალური წესები. ამერიკის იურისტთა ასოციაციის (American Bar Association) დავების ალტერნატიული გადაწყვეტის სექ-ცია აერთიანებს პრაქტიკის მქონე 13 ათას სპეციალისტზე მეტს, რომლებიც დავების ალტერნატიული გადაწყვეტის სფეროში მოღვაწეობენ.

ეკონომიკის, პოლიტიკისა და ბიზნესის სფეროს მედიატორების გარეშე აშშ-ში არ მიმდინარეობს სერიოზული მოლაპარაკების არცერთი პროცესი; გამოიცემა

ჟურნალები, რომლებიც აშუქებენ მედიაციის პრობლემებს. არსებობს გადაწყვე-ტის ნაციონალური ინსტიტუტი, რომელიც მუდმივად სწავლობს და ხვეწს მედიაცი-ის მეთოდებს, მოქმედებენ მედიაციის კერძო და სახელმწიფო სამსახურები.

ავსტრალიაში არბიტრებისა და მედიატორების ავსტრალიური ასოციაცია 1975 წელს დაფუძნდა. 1991 წელს კი მედიაციისა და არბიტრაჟის შესახებ მიღებული აქტით საბოლოოდ განმტკიცდა სასამართლოს გარეშე შუამავლობა. ბევრი ავსტრალიური კომპანია დარწმუნდა სასამართლოს გარეშე კონფლიქტის გადაწყვეტის უპირატესობაში და შესაბამისი დათქმები მედიაციის გზით დავის მოგვარების შესახებ, მათი კონტრაქტების განუყოფელი ნაწილი გახდა, რაც მხარეებს ავალდებულებს, რომ დავის წარმოშობის შემთხვევაში გადაწყვეტილება მედიაციის გზით მიიღონ. პრაქტიკოსი მედიატორები ხელმძღვანელობენ ზემოთ აღნიშნული ასოციაციის მიერ შემუშავებული მედიაციის პროცედურებით.

ევროპული მედიაციის განვითარების ავანგარდში, დიდი ბრიტანეთისა, სადაც 1999 წელს განხორციელდა ჩივილ პროცედურე ლულეს — სამოქალაქო პროცესის ნორმათა რეფორმირება. დიდ ბრიტანეთში სასამართლო ორგანოების მიერ მედიაციის განვითარების ხელშეწყობად უნდა ჩაითვალოს დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკა, რომლის თანახმადაც, თუ პროცესის მხარე უარს განაცხადებს სასამართლოს მიერ შემოთავაზებულ მედიაციის პროცედურაზე, მას დაეკისრება სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, თუნდაც მან საქმე მოიგოს. სახელმწიფოს ხელშეწყობითაა შექმნილი სპეციალური სამსახური — “მედიაციის ცხელი ხაზი”. სამსახური ეხმარება მოქალაქეებს დავების გადაწყვეტის ყველაზე უფრო მისაღები პროცედურისა და სპეციალისტ-მედიატორის არჩევაში. საოჯახო დავებში მედიაციის ჩატარების ხარჯებს სახელმწიფო კისრულობს. მედიაციის ნახალისებასა და მედიატორების მომზადებას დიდ ბრიტანეთში ახორციელებს რამდენიმე ორგანიზაცია, რომელთა შორისაც აღსანიშნავია: დავების ეფექტური გადაწყვეტის ბრიტანული ცენტრი (CEDR) და არბიტრაჟისა და მედიაციის ცენტრი (JAMS).

მედიაცია ავსტრალიაშიც კარგადაა განვითარებული. შექმნილია ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ მხარეებმა შეძლონ დავების გადაწყვეტა მედიაციური ინფრასტრუქტურის განვითარებული ქსელის დახმარებით. 2004 წელს ძალაში შევიდა კანონი სამოქალაქო სამართალწარმოებაში მედიაციის შესახებ. ავსტრალია იმ მცირერიცხოვან ქვეყნებს მიეკუთვნება, სადაც პროფესია “მედიატორი” შეტანილია პროფესიათა ნომენკლატურაში. აღსანიშნავია, რომ ავსტრიული კანონმდებლობით, საქმის სასამართლო განხილვის სტადიაზე მიღწეული სამედიაციო შეთანხმება საჭიროებს სასამართლოს მხრიდან ცნობა-აღიარებას, მაშინ როცა სასამართლომდელი სამედიაციო გადაწყვეტილებისათვის მსგავსი ცნობა-აღიარება საჭირო არაა.

გერმანიაში სასამართლოს გარეშე მედიაციასთან ერთად წარმატებით ფუნქციონირებს სასამართლო მედიაციაც, რომელიც ჰარმონიულადაა ჩართული მართლმსაჯულების სისტემაში. 2004 წლიდან სასამართლო მედიაცია დაინერგა საპილოტე პროექტის სახით. დღეისათვის მედიაცია ფართოდ გამოიყენება საერთო იურისდიქციის სამოქალაქო და ადმინისტრაციულ სასამართლოებში. შუამავლები მუშაობენ პირდაპირ სასამართლოებთან და მნიშვნელოვნად ამცირებენ პოტენციური სასამართლო დავების რიცხვს. უზრიდიულ სასწავლებელთა უმრავლესობაში მედიაციის კურსი სავალდებულო სასწავლო დისციპლინადაა შეტანილი, რაც ნიშნავს, რომ იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებული, გადის მედიაციის კურსსაც.

ევროკავშირი აქტიურად უჭერს მხარს მედიაციის მეშვეობით დავების გადაწყვეტის წესის შემცველი სამართლებრივი ნორმების მიღებასა და დამკვიდრებას. ევროპარ-

ლამენტმა და ევროსაბჭომ 2008 წლის 21 მაისს მიიღეს ე.წ. დირექტივა 2008/52 სამოქალაქო და კომერციულ საქმეებში მედიაციის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით. დირექტივის თანახმად, ევროკავშირის წევრ-ქვეყნებს 2011 წლის 21 მაისამდე უნდა აემოქმედებინათ ისეთი ნორმები, რომლებიც ამ ქვეყნების მოქალაქეთათვის გაამარტივებდა და ხელმისაწვდომს გახდიდა დავების გადაწყვეტას მედიაციის მეშვეობით.


მედიაცია ფართოდაა განვითარებული აზიაშიც. სტატისტიკის თანახმად, მაგალითად ჩინეთში, დავების 30%-ზე მეტი წყდება სასამართლოს გარეშე შუამავლობის მეშვეობით.

ჩინეთში, კორეასა და ინდოეთში მედიაციის გზით მიღწეულ შეთანხმებას საარბიტრაჟო შეთანხმებების თანაბარი ძალა აქვს. მედიაცია, როგორც დავების გადაწყვეტის ინსტრუმენტი, იაპონიაშიც ფართოდაა გავრცელებული. იაპონიის საქმიანი წრეების სიმპათია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მეთოდებისადმი ძირითადად იმით აიხსნება, რომ, ტრადიციულად, ნეგატიური დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფო სასამართლოებში დავების გადასაწყვეტად მიმართვისადმი.

შეიძლება დავასკვნათ, რომ დღევანდელ მსოფლიოში მედიაცია დავების გადაწყვეტის ალიარებული და გავრცელებული მეთოდია და, საგებლობს რა საერთაშორისო მხარდაჭერით, მისი გამოყენების სფერო სულ უფრო ფართოვდება.

**გამოყენებული ლიტერატურა:**

- 1.მედიატორთა ქცევის ევროპული კოდექსი(Code of conduct);
- 2.გაეროს საერთაშორისო ვაჭრობის კომისიის(UNCITRAL) მიერ შემუშავებული ტიპური კანონი მედიაციის შესახებ,განმარტებები,დანართი დოკუმენტები,სტატისტიკური მონაცემები;
- 3.ამერიკის საარბიტრაჟო ასოციაციის(American Arbitration Association) ხელშეწყობით გამოშვავალი, მედიაციის შესახებ ყოველკვირეული გამოცემის დაიჯესტი;
- 4.ევროკავშირის ეკიდით მოქმედი მედიაციის საერთაშორისო ინსტიტუტის გამოცემათა დაიჯესტი და სტატისტიკური მონაცემები.



**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს  
გადაწყვეტილება**

**საქმე „მიწო საფრანგეთის წინააღმდეგ“**

*Case of Michaud v. France*

*(საჩივარი № 12323/11)*

**ფაქტები**

**I. საქმის გარემოებები**

8. მომჩივანი დაიბადა 1947 წელს და ცხოვრობს პარიზში. იგი პარიზის ადვოკატთა ასოციაციისა და ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს წევრია;
9. მომჩივანი აცხადებდა, რომ ფინანსური სისტემის ფულის გათვრებისთვის გამოყენების პრევენციის მიზნით, ევროკავშირმა ზედიზედ სამი დირექტივა მიიღო. პირველის (91/308/EEC; 1991 წლის 10 ივნისი) სამიზნეა ფინანსური დაწესებულებები და ინსტიტუტები. მასში ცვლილება შევიდა 2001 წლის 4 დეკემბრის დირექტივით (2001/97/EC), რომელმაც, სხვათა შორის, გააფართოვა მისი გავრცელების სფერო და ფინანსურ სექტორს მიღმა არსებული პროფესიების მოიცვა, მათ შორის „დამოუკიდებელი იურიდიული პროფესიების წარმომადგენლები“. მესამე დირექტივა, რომელმაც შესწორებული სახით არსებული 1991 წლის 10 ივნისის დირექტივა გააუქმა, იმავე შინაარსისა იყო, მაგრამ დამატებით დებულებებს შეიცავდა...

10. ეს ტექსტები ადვოკატებს აკისრებს „ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულებას“; ამას სამართლის დარგის სპეციალისტები, აღიქვამდნენ პროფესიული პრივილეგიისა და ადვოკატთა და მათ კლიენტთა შორის ინფორმაციის გაცვლის კონფიდენციალობისთვის საფრთხედ, და მუდამ აკრიტიკებდნენ, განსაკუთრებით, ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის საბჭოს მეშვეობით;
11. თუმცა 2007 წლის 12 ივლისს ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის საბჭომ „გადანწყობა, ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ვალდებულების შესრულების მიზნით, შიდა პროცედურების შესახებ რეგულაციები მიეღო, ხოლო ამ პროცედურების დაცვის უზრუნველსაყოფად – კონტროლის შიდა მექანიზმი“ (გამოქვეყნდა ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში 2007 წლის 9 აგვისტოს)...
12. ზემოხსენებული გადაწყვეტილების 1-ელ მუხლში აღნიშნულია, რომ „ყველა ადვოკატისთვის, ვინც საფრანგეთის ადვოკატთა ასოციაციის წევრია“, სავალდებულოა მათი პროფესიის ეს წესები, როცა პროფესიული საქმიანობისას, მათი კლიენტების სახელით ან დავალებით რაიმე ფინანსურ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებაში მონაწილეობენ, ან კლიენტებს ეხმარებიან იმ გარიგებების მომზადებას ან განხორციელებაში, რომლებიც უკავშირდება: (1) უძრავი ქონების ან არამატერიალური კაპიტალის ყიდვა-გაყიდვას; (2) კლიენტის კუთვნილი ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების მართვას; (3) მიმდინარე, შემნახველი ან ფასიანი ქაღალდების ანგარიშების გახსნას; (4) კომპანიების შექმნისთვის საჭირო კონტრიბუციების ორგანიზებას; (5) კომპანიების შექმნას, ექსპლუატაციას ან მართვას; (6) უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კონცერნების ან მსგავსი სტრუქტურების შექმნას, ექსპლუატაციას ან მართვას. ისინი ამ წესებით არ არიან შებოჭილები, „როცა“ ზემოხსენებულ რომელიმე საქმიანობასთან დაკავშირებით „მოქმედებენ იურიდიული მრჩევლის რანგში ან სასამართლო პროცესის კონტექსტში“ (მე-2 მუხლი);
13. რეგულაციები ადგენს, რომ ადვოკატებმა ამ კონტექსტში ყოველთვის უნდა „ჩაატარონ სამართლებრივი კვლევა“ და „შექმნან შიდა პროცედურები“, *interalia*, იმ კანონებისა და რეგულაციების დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც ეჭვების შესახებ განცხადებას არეგულირებს (მე-3 მუხლი), კერძოდ კი, მიუთითებს იმ პროცედურაზე, რომელიც დაცული უნდა იყოს, როცა ქმედება ამგვარი განცხადების საფუძველს იძლევა (მე-7 მუხლი). უფრო კონკრეტულად, მათ უნდა მიიღონ წერილობითი წესები, სადაც აღწერილი იქნება, თუ რა ნაბიჯებია გადასადგმელი (მე-5 მუხლი). მათ უნდა უზრუნველყონ, რომ ეს რეგულაციები მათ სტრუქტურაში სათანადოდ იქნეს გამოყენებული და რომ ადვოკატებმა და სხვა თანამშრომლებმა კონკრეტულად მათი საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაცია მიიღონ, წვრთნა გაიარონ (მე-9 მუხლი) და ასევე შიდა მონიტორინგის სისტემა დააწესონ (მე-10 მუხლი). ამავე დროს, რეგულაციებში ასევე აღნიშნულია, რომ „ადვოკატებმა, ყველა გარემოებაში, უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული კონფიდენციალობა დაცული იყოს“ (მე-4 მუხლი);
14. ამ რეგულაციებისადმი დაუმორჩილებლობას დისციპლინური სანქციები და საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა კი შეიძლება მოჰყვეს (საადვოკატო საქმიანობის ორგანიზების შესახებ 1991 წლის 27 ნოემბრის №91-1197 ბრძანების 183-ე და 184-ე მუხლები);

15. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოთქმულმა შემდგა ადვოკატების თავისუფლება თავიანთი საქმიანობის განხორციელებისა და მისი მარეგულირებელი აუცილებელი წესების განსაზღვრის თვალსაზრისით, 2007 წლის 10 ოქტომბერს მომჩივანმა მიმართა Conseild'Etat-ს, რათა მას გადაწყვეტილება გაეუქმებინა. მომჩივანი აცხადებდა, რომ არ არსებობდა არანაირი კანონი ან რეგულაცია, რომელიც ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის საბჭოს მიანიჭებდა რეგულირების უფლებამოსილებას ისეთ საკითხებში, როგორცაა ფულის გათეთრება; გარდა ამისა, მიუთითებდა, რომ განსახილველი გადაწყვეტილების თანახმად, ადვოკატებს უნდა გაეტარებინათ შიდა პროცედურები, რათა ეჭვების განცხადების შესახებ ინსტრუქციებთან შესაბამისობა უზრუნველყოთ (დისციპლინური სანქციების გათვალისწინებით), და რომ ტერმინი „ეჭვები“ არ იყო განმარტებული; მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ ეს მოთხოვნა კონვენციის მე-7 მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი სიცხადის მოთხოვნის დარღვევა იყო. ამასთან, მიუთითებდა რა 2008 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებაზე –ანდრე და სხვა საფრანგეთის წინააღმდეგ (№18603/03), მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის საბჭოს მიერ მიღებული რეგულაციები კონვენციის მე-8 მუხლს არ შეესაბამებოდა, რადგან „ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება“ საფრთხეს უქმნიდა იურისტის პროფესიულ პრივილეგიას და ადვოკატსა და კლიენტს შორის ინფორმაციის გაცვლის კონფიდენციალურობას. და ბოლოს, ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების 267-ე მუხლის შესაბამისად, მომჩივანი Conseild'Etat-ს სთხოვდა, საქმე ევროპის გაერთიანებათა მართლმსაჯულების სასამართლოსთვის გადაეცათ, რათა ამ უკანასკნელს გამოეტანა წინასწარი გადაწყვეტილება „სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შესახებ ეჭვის განცხადების“ ვალდებულების შესაბამისობაზე ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულების მე-6 და კონვენციის მე-8 მუხლებთან.
16. 2010 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, Conseild'Etat-მა საჩივარში წარდგენილი არგუმენტების დიდი ნაწილი უარყო...
- [...]

### სამართალი

#### I. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

47. მომჩივანის საჩივრის თანახმად, რაკი ადვოკატებს საეჭვო ოპერაციების შესახებ განცხადების ვალდებულება ეკისრებოდათ, იგი, როგორც ადვოკატი, ვალდებული იყო (სხვა შემთხვევაში დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრებოდა) იმ ხალხის შესახებ განეცხადებინა, ვინც მას რჩევისთვის მიმართა. მომჩივანი მიიჩნევდა, რომ ეს ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობის პრივილეგიისა და პროფესიული საიდუმლოს დაცვის პრინციპებთან შეუსაბამო იყო...
- [...]

ბ. არსებითი მხარე

1. მხარეთა არგუმენტები

ა) მომჩივანი

59. აღნიშნავდა, რომ მთავრობას ეჭვქვეშ არ დაუყენებია ის ფაქტი, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იურისტის პროფესიულ პრივილეგიას იცავდა; მომჩივანი ამტკიცებდა, რომ ჩარევა, რომლის გამოც მან სარჩელი შეიტანა, იმ დებულების მნიშვნელობით „კანონის შესაბამისად“ არ მომხდარა. იგი ამტკიცებდა, რომ განსახილველი რეგულაციები ბუნდოვანი იყო: ისინი ადვოკატებისაგან მოითხოვდნენ „ეჭვების“ შესახებ განცხადებას, მაგრამ ტერმინი „ეჭვები“ განმარტებული არ იყო; ბუნდოვანი იყო იმ „მოქმედებების“ ფარგლები, რომლებზეც ეს რეგულაციები ვრცელდებოდა, და ადვოკატისთვის ძნელი იყო გარკვევა, რა შეიძლებოდა და რა – არა. მომჩივანი ასევე აცხადებდა, რომ ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობის კონფიდენციალურობა შეუვალია: იურიდიული პროფესიების მარეგულირებელ კანონში მითითებულია, რომ იგი ვრცელდებოდა როგორც დაცვით, ასევე საკონსულტაციო საქმიანობაზე და შეეხებოდა ადვოკატის ყველა იმ მოქმედებასა და საქმეს, რომელთანაც მათ შეხება ჰქონდათ.
60. მომჩივანს ეჭვქვეშ არ დაუყენებია, რომ განსახილველი ჩარევა მე-8 მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულ ერთ-ერთ მართლზომიერ მიზანს ისახავდა. თუმცა იგი მიიჩნევდა, რომ ამ მიზნის მისაღწევად ეს ჩარევა არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“[...]
64. მომჩივანს არ უარუყვია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობა, მაგრამ იგი მიიჩნევდა, რომ ამ მიზნისკენ სწრაფვა და პრევენციულად ადვოკატებისათვის მათი კლიენტების საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ეჭვის ფინანსური დაზვერვის სამსახურისთვის (Trac-fin) შეტყობინების დაკისრება [რითაც ადვოკატები განახორციელებდნენ იმას, რასაც შეიძლება ეწოდოს „მინდობილობით საკუთარი თავის ინკრიმინაცია,“] და დაარღვევდნენ კონფიდენციალობის ვალდებულებას[...], ერთმანეთის პროპორციული სულაც არ იყო;

ბ) მთავრობა

69. მთავრობა აღიარებდა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი იურისტის პროფესიულ პრივილეგიას იცავდა; თუმცა ამასთანავე ამტკიცებდა, რომ ხელისუფლების მხრიდან მომჩივნის პირადი ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმონერის დაცულობის უფლებაში „ჩარევას“ სულაც არ ნიშნავდა იმ დებულების მეორე ნაწილის მნიშვნელობა, რადგან მომჩივანი არ ასაჩივრებდა რაიმე კონკრეტულ შემთხვევას, რომელიც მას პიროვნულად შეეხო.
70. თუნდაც მიჩნეულიყო, რომ ადგილი ჰქონდა ჩარევას, მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჩარევა მოხდა „კანონის შესაბამისად“[...]
71. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ ჩარევა, რომელიც ფულის გათეთრებისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყო გამიზნული, მე-8 მუხლის მეორე ნაწილში განსაზღვრულ ერთ-ერთ მართლზომიერ მიზანს



ისახავდა, კერძოდ კი – უნესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილებას.

72. მთავრობას ასევე მიაჩნდა, რომ გამოყენებული იყო ეკვივალენტური დაცვის პრეზუმფცია.
73. პირველ რიგში, იმიტომ, რომ ადვოკატებისთვის სამართლებრივი კვლევისა და ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულებების დაკისრებით მათი საქმიანობის კონტექსტში, რომელზეც საბჭოს 91/108/EEC დირექტივა და ევროპარლამენტისა და საბჭოს 2001/97/EC დირექტივა ვრცელდებოდა, ფრანგი კანონმდებლები, ევროკავშირის კანონდებლობის შესაბამისად, უბრალოდ თავიანთ ვალდებულებებს ასრულებდნენ; მათი მოქმედების თავისუფლება ამ საკითხში შემღებულ იყო გარკვეული პრაქტიკული ზომებით, როგორცაა პროფესიის თვითმარეგულირებელი ორგანოებისთვის „ფილტრაციის“ როლის მინიჭება.[...]
74. სასამართლოს რომც გადაეწყვიტა, რომ საჭირო იყო იმის განხილვა, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი, მთავრობამ აღნიშნა, რომ ფულის გათეთრების პრევენციის ძალისხმევასთან დაკავშირებით ადვოკატებისთვის ვალდებულებების დაკისრების პრინციპიც და იმ საქმიანობათა ჩამონათვალი და მასთან დაკავშირებული გამონაკლისებიც, რასაც ის მოიცავდა, ევროკავშირის სამართლის ზუსტ ტრანსპოზიციას წარმოადგენდა, რაც FATF-ის რეკომენდაციებში აისახა. [...]
- მთავრობამ ასევე განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა „მაქსიმალური პროცედურული გარანტიების“ უზრუნველყოფაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფრანგულმა კანონმდებლობამ გამოიყენა 91/308/EEC შესწორებული დირექტივის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული შესაძლებლობა, რომ იურიდიული პროფესიის თვითმარეგულირებელი ორგანოები გადაექცია „ფილტრად“ ინფორმაციის მიმწოდებელ ადვოკატსა და ხელისუფლებას შორის, რომელმაც ეს როლი ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს მიანიჭა: თუ თავმჯდომარე ჩათვლიდა, რომ ფულის გათეთრების არანაირი ეჭვი არ არსებობდა, იგი ინფორმაციას არ გაავრცელებდა; იგივე მოხდებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ წარმოდგენილი ინფორმაცია მიღებული იყო იმ საქმიანობის შესრულებისას, რომელიც სამართლებრივი კვლევისა და თანამშრომლობის ვალდებულებების სფეროში არ შედიოდა. [...]
- დასასრულ, მთავრობამ აღნიშნა, რომ ადვოკატებს იურიდიული პროფესიის მარეგულირებელი ეროვნული წესებისა და ნორმების 1.5 მუხლის შესაბამისად, ნებისმიერ შემთხვევაში, ეკისრებოდათ სიფრთხილის ზოგადი ვალდებულება, რაც ადვოკატის პროფესიისგან განუყოფელი იყო და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რეგულაციებს უძღოდა წინ.

## 2. მესამე მხარის მოსაზრებები

- ა) ევროპის ადვოკატთა ასოციაციებისა და სამართლის საზოგადოებების საბჭო (“CCBE”)
75. CCBE მიიჩნევდა, რომ იურიდიული პროფესიის ძირითად ღირებულებებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო დირექტივები და მათი ტრანსპოზიციისთვის ნევრი სახელმწიფოების მიერ მიღებული კანონები, რაც, მისი აზრით, საფუძველს აცლიდა ადვოკატების დამოუკიდებლობას, პროფესიულ კონფიდენციალურობასა და ადამიანების პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას.[...]

3. სასამართლოს შეფასება

ა) მოხდა თუ არა ჩარევა კონვენციის მე-8 მუხლით დაცული უფლების განხორციელებაში

91. [...]ადვოკატებისთვის იმის მოთხოვნა, რომ ადმინისტრაციული ხელისუფლებისთვის მიენოდებინათ სხვა ადამიანის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მათ იმავე ადამიანთან მიმონერის მეშვეობით მოიპოვეს, მათზე დაკისრებული ვალდებულება ეჭვების შესახებ განცხადების თაობაზე ადვოკატების პირადი მიმონერის დაცულობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენს. იგი ასევე წარმოადგენს ჩარევას ადვოკატების უფლებაში, დაცული იყოს მათი „პირადი ცხოვრება“, ცნება, რომელიც პროფესიული ხასიათისაა და ბიზნესსაქმიანობასაც მოიცავს [...]

ბ) იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

i. მოხდა ჩარევა კანონის შესაბამისად?

[...]

97. სასამართლო მიიჩნევს, რომ „ეჭვები“ ისეთი ცნებაა, რომელსაც ყველასთვის ცხადი მნიშვნელობა აქვს და რომ ისეთი ინფორმირებული ჯგუფი, როგორებიცაა ადვოკატები არიან, ვერ დაინყებს იმის მტკიცებას, რომ არ ესმის, რაზეც, მთავრობის განმარტებით, სავალუტო-საფინანსო კოდექსი კონკრეტულ მითითებებს იძლევა. უფრო მეტიც, რადგან ეჭვების შესახებ უნდა ეცნობებინათ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის ან Conseil d'Etat-ისა და საკასაციო სასამართლოს ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარისთვის, ნებისმიერ ადვოკატს, ვინც მოცემულ შემთხვევაში „ეჭვების“ არსებობაში არ იქნებოდა დარწმუნებული, შეეძლო რჩევისთვის ინფორმირებული და გამოცდილი კოლეგისთვის მიემართა.

რაც შეეხება საქმიანობის, სავარაუდოდ, ბუნდოვან ხასიათს, რომელსაც ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება შეეხებოდა, სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ ტექსტებში[...]ნათქვამია, რომ ადვოკატებზე ვალდებულება ვრცელდება, როცა მათი ბიზნესსაქმიანობის განხორციელებისას ისინი, კლიენტების სახელით ან დავალებით, რაიმე ფინანსურ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებაში მონაწილეობენ, ან კლიენტებს ეხმარებიან გარკვეული ტიპის გარიგებების დაგეგმვასა და განხორციელებაში [...]. ტექსტებში მითითებულია, რომ იმავე წესებს ადვოკატებისთვის იურიდიული ძალა არა აქვს, როცა ზემოხსენებულ რომელიმე საქმიანობასთან დაკავშირებით მოქმედებენ იურიდიული მრჩევლის რანგში ან სასამართლო პროცესის კონტექსტში. სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს მითითებები საკმარისად ცხადია, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ განსახილველი ტექსტები იურისტებისთვისაა განკუთვნილი და, როგორც მთავრობამ აღნიშნა, ადვოკატთა ასოციაციის საბჭო, inter alia, განმარტავს „იურიდიული მრჩევლის“ ცნებას.

98. სასამართლოს დასკვნით, ჩარევა განხორციელდა „კანონის შესაბამისად“ კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მნიშვნელობით.

ii. ჰქონდა ჩარევას მართლზომიერი მიზანი?

99. სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ ჩარევა, რომელიც ფულის გათვთრებისა და მასთან დაკავშირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისთვის იყო გამიზნული, მე-8 მუხლის მეორე ნაწილში ერთ-ერთ მართლზომიერ მიზანს ისახავდა, კერძოდ კი – უწესრიგობისა და დანაშაულის თავიდან აცილებას. არც ერთ მხარეს ეს ეჭვქვეშ არ დაუყენებია.

[...]

iii. იყო ჩარევა აუცილებელი?

ა) ეკვივალენტური დაცვის პრეზუმფციის გამოყენება

101. მთვარობა ამტკიცებდა, რომ სამართლებრივი კვლევისა და ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულების ადვოკატებზე დაცვისრება იმის შედეგი იყო, რომ საფრანგეთი, როგორც ევროკავშირის წევრი, ვალდებული იყო, ევროპული დირექტივები ფრანგულ კანონმდებლობაში გადაეტანა.[...]

ზოგადი პრინციპები

102. [...] სახელმწიფოები საერთაშორისო სამართლებრივი ვალდებულებების შესასრულებლად მათ მიერ გატარებული ზომებისთვის პასუხს აგებენ კონვენციის შესაბამისად, მაშინაც კი, როცა ეს ვალდებულებები იმ საერთაშორისო ორგანიზაციის წევრობიდან მომდინარეობს, რომელსაც მათ საკუთარი სუვერენიტეტის ნაწილი გადასცეს[...].

[...]

116. ამგვარად, სასამართლომ უნდა დაადგინოს, იყო თუ არა ჩარევა აუცილებელი კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის.

ბ) სასამართლოს შეფასება

117. ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მას არაერთხელ განუხილავს ადვოკატების მიერ, მათი პროფესიის განხორციელებასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად შეტანილი საჩივრები. მაგალითად, სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, კონვენციის ამ დებულებასთან თავსებადი იყო თუ არა ადვოკატის ოფისებსა და სახლში ჩატარებული ჩხრევა და ამოღება[...]. ადვოკატსა და მის კლიენტს შორის მიმოწერის ხელში ჩაგდება[...] და იურიდიულ ფირმაში ელექტრონული მონაცემების მოძიება და ხელში ჩაგდება[...].

ამასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-8 მუხლის თანახმად, ადვოკატსა და მის კლიენტს შორის მიმოწერა, მიზნის მიუხედავად [...], პრივილეგირებული სტატუსით სარგებლობს, როცა საქმე კონფიდენციალურობას ეხება[...]. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს „განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებს“ ადვოკატის პროფესიული კონფიდენციალურობის უფლების ხელყოფის რისკს, „რადგან ამან შეიძლება ცუდი შედეგები იქონიოს მართლმსაჯულების სათანადო წარმართვაზე“[...], ხოლო პროფესიული კონფიდენციალურობა ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის საფუძველია [...].

118. შედეგი არის ის, რომ იცავს რა ადამიანებს შორის ყველა სახის „მიმონერის“ კონფიდენციალურობას, მე-8 მუხლი განსაკუთრებულად იცავს ადვოკატებსა და მათ კლიენტებს შორის მიმონერას. ეს გამართლებულია იმ ფაქტით, რომ ადვოკატებს დემოკრატიულ საზოგადოებაში ენიჭებათ ფუნდამენტური როლი – მხარეების დაცვა სასამართლო პროცესზე. თუმცა ადვოკატები ვერ შეძლებენ ამ მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებას, თუ არ შეეძლება მათი დაცვის ქვეშ მყოფთათვის იმის გარანტირება, რომ მათი მიმონერა კონფიდენციალური დარჩება. საუბარი ეხება მათ შორის ნდობაზე დამყარებულ ურთიერთობას, რაც არსებითია მისი შესასრულებლად. აქედან ირიბად, მაგრამ აუცილებლად გამომდინარეობს ის, რომ ყველას აქვს საქმის სამართლიანი განხილვის უფლება, მათ შორის, ბრალდებულ პირებსაც აქვთ იმის უფლება, რომ საკუთარი თავის ინკრიმინაცია არ მოახდინონ.
119. ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობების კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით მე-8 მუხლში გათვალისწინებული ეს დამატებითი დაცვა და ის საფუძვლები, რასაც იგი ეყრდნობა, სასამართლოს უბიძგებს, აღიაროს, რომ, ამ თვალსაზრისით, იურისტის პროფესიული პრივილეგია ამ მუხლით განსაკუთრებულად არის დაცული.
120. ამდენად, სასამართლოს წინაშე დგება საკითხი, წარმოადგენს თუ არა ეჭვების შესახებ განცხადების ადვოკატებზე დაკისრებული ვალდებულება, როგორც იგი საფრანგეთშია განხორციელებული (და მის მიერ დასახული მართლზომიერი მიზნის გათვალისწინებით), იურისტის პროფესიულ პრივილეგიაში არაპროპორციულ ჩარევას. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის აუცილებლობის ცნება გულისხმობს იმას, რომ ჩარევა შეესაბამება გადაუდებელ სოციალურ აუცილებლობას და, კერძოდ, რომ იგი დასახული მართლზომიერი მიზნის პროპორციულია [...].
- [...]
123. როგორც უკვე აღინიშნა, იურისტის პროფესიულ პრივილეგიას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ადვოკატისა და მისი კლიენტის, ისე მართლმსაჯულების სათანადო წარმართვისთვის. იგი, უდავოდ, ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია, რომელსაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მართლმსაჯულების წარმართვა ეფუძნება. თუმცა, იგი არ არის ხელშეუხებელი და სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მას შეიძლება პოზიციის დათმობა მოუხდეს, მაგალითად, ადვოკატის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ (მორი საფრანგეთის წინააღმდეგ, №28198/09, 2011 წლის 15 დეკემბერი). მისი მნიშვნელობა უნდა შეფასდეს იმასთან მიმართებაშიც, რაც წევრ სახელმწიფოებს ენიჭებათ დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული იმ შემოსავლების გათვთრების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რომლებიც შეიძლება დანაშაულებრივი საქმიანობის, მაგალითად, ნარკოტრაფიკის ან საერთაშორისო ტერორიზმის, დასაფინანსებლად გამოიყენებოდეს (იხ., გრიპორსტი საფრანგეთის წინააღმდეგ, №28336/02, §93, 2009 წლის 26 თებერვალი). ამასთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ევროპული დირექტივები, რომლებიც საფუძვლად დაედო ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულებას, რასაც შეეხებოდა საჩივარი, იგი იმ მთელი რიგი საერთაშორისო ინსტრუმენტების ნაწილს წარმოადგენს, რომლებიც დემოკრატიისთვის სერიოზული საფრთხის შემცველი ქმედებების პრევენციისთვისაა გამიზნული (იხილეთ, მაგალითად,

გემოხსენებული (პარაგრაფები 18 და 19) FATF-ის რეკომენდაციები და ევროპის საბჭოს 2005 წლის 16 მაისის კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღების და კონფისკაციისა და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ.)

124. რაც შეეხება მომჩივანის არგუმენტს, რომ ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულების არსებობა არ არის აუცილებელი, რადგან ადვოკატს, ვინც აღმოჩნდება, რომ ფულის გათეთრების ოპერაციაშია ჩართული, ნებისმიერ შემთხვევაში, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება, სასამართლოსთვის იგი უმნიშვნელო არ არის. თუმცა სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს არგუმენტი სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს ხელს არ უშლის მათ მიერ მიღებული შემაკავებელი დებულებებისა და სპეციალური პრევენციული მექანიზმის გაერთიანებაში.

[...]

126. დასასრულ, და რაც ყველაზე მთავარია, ჩარევის პროპორციულობის შეფასებისას, სასამართლოს აზრით, ორი ფაქტორია გადამწყვეტი.

127. პირველ რიგში, როგორც ზემოთ ითქვა და როგორც Conseil d'Etat-მა აღნიშნა, ის ფაქტი, რომ ადვოკატებს ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება მხოლოდ ორ შემთხვევაში ეკისრებათ: როცა ბიზნესსაქმიანობის კონტექსტში ისინი, კლიენტების სახელით ან დავალებით, რაიმე ფინანსურ ან უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებაში მონაწილეობენ, ან მოქმედებენ, როგორც მათი ნდობით აღჭურვილი პირები; და როცა ისინი კლიენტებს ეხმარებიან იმ გარიგებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რომლებიც გარკვეულ ოპერაციებს უკავშირდება [...]. ამგვარად, ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება შეეხება მხოლოდ იმ დავალებებს, რომლებსაც ადვოკატები ასრულებენ – და რომლებიც იმავე ვალდებულებას დაქვემდებარებული სხვა პროფესიების წარმომადგენელთა მიერ შესრულებულის ანალოგიურია, – და არა იმ როლს, რომელსაც ისინი კლიენტების დაცვაში ასრულებენ.

გარდა ამისა, სავალუტო-საფინანსო კოდექსი მიუთითებს, რომ ადვოკატები ამ ვალდებულებას არ ექვემდებარებიან, როცა განსახილველი ქმედება „სასამართლო პროცესს უკავშირდება, იმისდა მიუხედავად, მათ ხელთ არსებული ინფორმაცია პროცესამდე იყო მიღებული ან მოპოვებული, პროცესის მიმდინარეობის პერიოდში თუ აღნიშნული პროცესის დასრულების შემდეგ, მათ შორის, ამგვარი პროცესის ინიცირების ან თავიდან აცილების გზების შესახებ რაიმე რჩევის მიცემისას, ან მაშინ, როცა ისინი იურიდიულ კონსულტაციას უწევენ, თუკი აღნიშნული ინფორმაცია გაცემული არ იქნა ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით ან იმის ცოდნით, რომ კლიენტმა იგი ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით მოითხოვა“ [...].

128. ამგვარად, ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება არ ეხება, არსებითად, ადვოკატს, როგორც დამცველის როლს, რომელიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, იურისტის პროფესიული პრივილეგიის საფუძველს წარმოადგენს.

129. მეორე ფაქტორია ის, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებდა ფილტრს, რომელიც პროფესიულ პრივილეგიას იცავს: ადვოკატები არ უგზავნიან განაცხადებს უშუალოდ Tracfin-ს, არამედ, საჭიროებისამებრ, Conseil d'Etat-სა და საკასაციო სასამართლოს ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარეს, ან ადვოკატთა იმ ასოციაციის თავმჯდომარეს, რომლის წევრიცაა ეს ადვოკატი. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ეტაპზე, როცა ადვოკატი ინფორმაციას უზიარებს

თავის კოლეგას, ვინც არა მხოლოდ ქცევის იმავე წესებს ექვემდებარება, არამედ მისი კოლეგების მიერაცაა არჩეული მათივე ინტერესების დასაცავად, პროფესიული პრივილეგია არ ირღვევა. განსახილველი კოლეგა, ვისაც ყველაზე უკეთ შეუძლია, განსაზღვროს, თუ რომელ ინფორმაციაზე ვრცელდება ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის პრივილეგია და რომელზე – არა, მხოლოდ მას შემდეგ უგზავნის Tracfin-ს ეჭვების შესახებ განაცხადს, რაც დარწმუნდება, რომ სავალუტო-საფინანსო კოდექსის L.561-3 მუხლში მითითებული პირობები დაკმაყოფილებულია [...].

130. სასამართლომ უკვე აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის როლი გარანტიას წარმოადგენს, როცა საქმე ეხება იურისტის პროფესიული პრივილეგიის დაცვას. გადაწყვეტილებაში ანდრეს სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციას ხელი არ შეუშლია ეროვნული კანონმდებლობისთვის, ადვოკატის ოფისების ჩხრეკის შესაძლებლობა დაეშვა, რამდენადაც იგისათანადო გარანტიებს ითვალისწინებდა; უფრო ფართო კონტექსტში, მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მკაცრი კონტროლის პირობებში, კლიენტებთან ურთიერთობაში ადვოკატებზე გარკვეული ვალდებულებების დაკისრება შესაძლებელი იყო, მაგალითად, ისეთ შემთხვევაში, როგორშიც ადვოკატის დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართვის დამაჯერებელი მტკიცებულება არსებობდა და ასევე – ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. სასამართლომ შემდეგ მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ ჩხრეკა ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის თანდასწრებით ჩატარდა, რაც მან „სპეციალურ პროცედურულ გარანტიად“ მიიჩნია (§§ 42 და 43). ანალოგიურად, ზემოხსენებულ (§ 69) გადაწყვეტილებაში – რომენი და შმიდტი = სასამართლომ აღნიშნა, რომ ადვოკატის სამუშაო ადგილის ჩხრეკა „სპეციალური პროცედურული გარანტიების“ თანხლებით ჩატარდა, მათ შორის, ადვოკატთა ასოციაციის საბჭოს თავმჯდომარის თანდასწრებით. და ბოლოს, ზემოხსენებულ (იხილეთ, კერძოდ, §§ 37 და 43) საქმეში – ქსავიერ და სილვეირა – სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა ნაწილობრივ იმის გამო, რომ იქ ადვოკატის სამუშაო ადგილის ჩხრეკისას არანაირი მსგავსი გარანტია არ არსებობდა.

131. ზემოხსენებულის ფონზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ დასახული მართლზომიერი მიზნის და დემოკრატიულ საზოგადოებაში ამ მიზნის განსაკუთრებული მნიშვნელობის გათვალისწინებით, ადვოკატებზე ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულების დაკისრება, როგორც ეს საფრანგეთში ხორციელდება, ადვოკატთა პროფესიულ პრივილეგიაში დისპროპორციულ ჩარევას არ წარმოადგენს.

132. ამგვარად, კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.  
[...]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად  
[...]

2. ადგენს, რომ კონვენციის მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.**

**საქმე: მიშო საფრანგეთის წინააღმდეგ**

(მოკლე მიმოხილვა)

საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით(მე-8 მუხლი) დაცულ პირადი ცხოვრების პატივისცემის საკითხს, კონკრეტულად კი ფრანგი ადვოკატების ვალდებულებას, გარკვეულ გარემოებებში ფინანსური დაზვერვის ეროვნულ ორგანოს (Tracfin) მიანოდონ ინფორმაცია მათი კლიენტების კუთვნილი ფულის ოდენობების შესახებ, თუკი „ექვი“ გაუჩნდებათ, რომ ეს ფული მოპოვებულია დანაშაულებრივი საქმიანობის გზით, მაგალითად, როგორცაა ფულის გათეთრება.

მოსარჩელე პატრიკ მიშო, პროფესიონალი ადვოკატი, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში აპროტესტებდა საფრანგეთის ადვოკატთა ეროვნული ასოციაციის საბჭოს მიერ 2007 წელს მიღებულ პროფესიულ რეგულაციას, რომლის მიზანი იყო ევროპული დირექტივის შესაბამისად, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში, იურისტის პროფესიაზე დაკისრებული ვალდებულებების განხორციელების უზრუნველყოფა. მიშოს მტკიცებით, ადვოკატებზე დაკისრებული ვალდებულება, განეცხადებინათ თავიანთი ეჭვების შესახებ, მათი მიმონერის დაცვის უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა, რადგან მათგან ითხოვდნენ, ადმინისტრაციული ორგანოსთვის მიეწოდებინათ სხვა პირის შესახებ ინფორმაცია, რომელიც მათ შორის მიმონერით იყო მოპოვებული. ეს ასევე იყო ჩარევა მათი პირადი ცხოვრების დაცვის უფლებაში, რაც პროფესიულ ან ბიზნეს საქმიანობებსაც მოიცავდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ადვოკატებისათვის ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულების დაკისრება არ იყო ზედმეტი ჩარევა საჯარო ინტერესების თვალსაზრისით, რაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველს წარმოადგენდა. სასამართლოს თქმით, იურისტის პროფესიული პრივილეგია არ არის ხელშეუხებელი, ის უნდა შეფასდეს იმ ნაბიჯებთან მიმართებაში, რომლებიც გადაიდგმება უკანონო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლისთვის. სადავო ჩარევის პროპორციულობის შესაფასებლად სასამართლომ ორი პრინციპით იხელმძღვანელა: პირველი უკავშირდებოდა იმ ფაქტს, რომ ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება ადვოკატებს მხოლოდ ორ შემთხვევაში ეკისრებოდათ: ა) როცა, ისინი, პროფესიული მოვალეობების კონტექსტში, კლიენტების სახელით ან დავალებით, მონაწილეობდნენ ფინანსურ ან ქონებრივ გარიგებებში, ან მოქმედებდნენ, როგორც მათი ნდობით აღჭურვილი პირები; და ბ) როცა ისინი, კვლავაც პროფესიული მოვალეობების კონტექსტში, კლიენტებს ეხმარებოდნენ ცალკეულ განსაზღვრულ ოპერაციებთან დაკავშირებული გარიგებების მომზადებასა და განხორციელებაში (მაგ: უძრავი ქონებისა და ბიზნეს-ორგანიზაციების ყიდვა-გაყიდვა; კლიენტის ფულის, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების მართვა და ა.შ.). ამგვარად, ეჭვების შესახებ განცხადების ვალდებულება

შეეხებოდა მხოლოდ იმ საქმიანობას, რომელიც შორს იყო ადვოკატის, როგორც დამცველის, როლისგან, და რომელიც სხვა პროფესიის წარმომადგენლების (რომლებიც ასევე ექვემდებარებოდნენ ზემოხსენებულ ვალდებულებას) საქმიანობას ჰგავდა. მეორე პრინციპი იყო ის, რომ კანონმდებლობაში არსებობდა ფილტრი, რომელიც იცავდა პროფესიულ პრივილეგიას: ადვოკატები ანგარიშებს უგზავნიდნენ არა პირდაპირ Tracfin-ს, არამედ, საჭიროებისამებრ, Conseil d'Etat-ის და საკასაციო სასამართლოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარეს ან ადვოკატთა იმ ასოციაციის თავმჯდომარეს, რომლის წევრებიც თავად იყვნენ. ამდენად, ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყო იმ სპეციალისტისთვის, რომელიც არა მხოლოდ თავად ექვემდებარებოდა ქცევის იმავე წესებს, არამედ კოლეგების მიერ არჩეული იყო ამ წესების დაცვის უზრუნველმყოფად, და, შესაბამისად, გარანტირებული იყო, რომ მისი პროფესიული პრივილეგია არ დაირღვეოდა. ადვოკატთა შესაბამისი ასოციაციის თავმჯდომარე ეჭვების შესახებ ინფორმაციას Tracfin-ს გადასცემდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დარწმუნდებოდა, რომ სავალუტო-საფინანსო კოდექსით დადგინილი პირობები დაცული იყო.

ამგვარად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ადვოკატების ვალდებულება, განაცხადონ ეჭვი კლიენტების მიერ ფულის გათეთრების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეჭვები ეფუძნება სასამართლო პროცესზე კლიენტის სახელით მოქმედების პერიოდში მოპოვებულ ინფორმაციას, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად არ შეაფასა. დასკვნა: დარღვევა არ დადგინდა (ერთხმად).



*ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ უზრუნველყოფს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებების მომზადებას.*





„- როგორ განმარტავთ ღირსეული ადამიანის ცნებას?

თ.წ. : -ღირსეულ ადამიანად მიმაჩნია თავისი ქვეყნის, ერის პატივისმცემელი მშრომელი კაცი, რომელიც შორსა დგას მედიდურობისა და პირობითეობისაგან.

- რა მიგაჩნიათ ადამიანთა ურთიერთობების ძირითად საფუძვლად?

თ.წ. : -სამართლიანობა და ურთიერთპატივისცემა. მაშინაც კი, როდესაც გამომძიებელი დანაშაულს იკვლევს, ან მოსამართლე ბოროტმოქმედს

სასჯელს ადებს, იგი უნდა გრძნობდეს რომ მის წინაშე ადამიანია და რომ ამ ადამიანს ყველაზე მეტად სჭირდება დახმარება ,სითბო და სიყვარული. მხოლოდ ამ პირობით მიაღწევს მართლმსაჯულება მიზანს - დამნაშავის ვაკეთილშობილებას და საზოგადოებისათვის პატიოსან კაცად დაბრუნებას“.

( ნაწყვეტი თინათინ წერეთლის ინტერვიუდან, ჟურნალი „კომუნისტი“, 1980 წ. 3 თებერვალი)

„თინათინ წერეთელმა შთამომავლობას დაუტოვა „ურიცხვი“ და „ვერვისგან ანაწონები“ სულიერი საგზალი. დრო გადის, მაგრამ ყავლი არ გაუდის მის მეცნიერულ შემოქმედებას. მძლავრობს კიდევაც მისი ნააზრვევის საჭიროება და ზეგავლენა. თინათინ წერეთლის იურიდიული კონსტრუქციებით განმსჭვალულია ახალი ქართული კანონმდებლობა; ისინი სულ უფრო მეტად იკვლევენ გზას და მკვიდრდებიან ადამიანის უფლებათა საერთაშორისო მართლმსაჯულებაში.“

მინდია უგრეხელიძე  
სტრასბურგი  
22/10/2004

## თინათინ წერეთელი (1903-1980)

თინათინ წერეთელი (მეცნიერ-იურისტი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სისხლის სამართლის ქართული სკოლის ფუძემდებელი, დამცველთა კოლეგიის წევრი) დაიბადა 1903 წლის 25 ივლისს ყოფილი შორაპნის მაზრის სოფელ ცხრუკვეთში ექიმის, ცნობილი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ წერეთლის ოჯახში. წერეთლების ოჯახში ხშირად იყრიდნენ თავს ქართული კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი: აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, დავით კლდიაშვილი, კიტა აბაშიძე, გიორგი ზდანიოვიჩი, ახალგაზრდა გალაკტიონი, სახელოვანი ფსიქოლოგი დიმიტრი უზნაძე და მსჯელობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების საჭირობო საკითხებზე. ასეთი კულტურული გარემოცვა, ცხადია, ნაყოფიერ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდა თინათინის ჩამოყალიბებაზე.

თინათინ წერეთელი ადრევე ამუღავნებდა ნიჭსა და ნათელ, კრიტიკულ აზროვნებას, შრომის დიდ უნარს, მართლმორყვარეობას, გულისხმიერებასა და მედგარ ხასიათს - ყველა იმ თვისებას, რაც ასე ამკობს მთელ მის ხანგრძლივ თავდადებასა და ნაყოფიერ მოღვაწეობას<sup>1</sup>.

1921 წელს დაამთავრა ქუთაისის საშუალო სასწავლებელი. 1922-1926 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიკური ფაკულტეტის იურიდიულ განყოფილებაზე; ამ ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი პროფესორი იყო ლუარსაბ ანდრონიკაშვილი. მისი ხელმძღვანელობით, თინათინ წერეთელი დიდ სიბეჭითეს იჩენდა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის მეცნიერების დაუფლების საქმეში. ამასთან, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი თავისი მონაფეებისგან მოითხოვდა ფილოსოფიის ცოდნას, რადგანაც მიაჩნდა, რომ უამისოდ სამართლებრივი პრობლემების ღრმა შესწავლა შეუძლებელია. ლუარსაბ ანდრონიკაშვილთან სიახლოვემ, ჯერ მონაფეობამ, ხოლო შემდეგ მეცნიერულმა თანამშრომლობამ, გადამწყვეტი როლი შეასრულა თინათინ წერეთლის სამეცნიერო მოღვაწეობის მიმართულების განსაზღვრაში.<sup>2</sup> თინათინ წერეთელი თავის ერთ-ერთ უმთავრეს ნაშრომს - „მიზგობრივი კავშირი სისხლის სამართალში“ - საყვარელი პედაგოგის ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ხსოვნას უძღვნის. მასვე უძღვნის წიგნს: „ლუარსაბ ანდრონიკაშვილი - რევოლუციონერთა და პროგრესულ მოაზროვნეთა დამცველი“.

უნივერსიტეტში სწავლისას თინათინ წერეთლის მეგობარი, ცხოვრების ერთგული თანამგზავრი და ხშირად თანამოღვაწეც ხდება შემდგომში ცნობილი კრიმინალისტი ვლადიმერ მაყაშვილი.

1929-1930 წლებში თინათინ წერეთელი იყო საქართველოს დამცველთა კოლეგიის (დღევანდელი ადვოკატთა კოლეგიის) წევრი.

1934-1939 წლებში მუშაობდა სისხლის სამართლის კათედრაზე პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ასისტენტად, რომელიც ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის პროცესის და კრიმინალისტიკის მაღალი ტიპის სემინარს. პარალელურად კითხულობდა ლექციების კურსს სამოქალაქო სამართალში.

1948 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე კითხულობდა სპეცკურსს - სისხლის სამართლის ძირითადი პრობლემები და ხელმძღვანელობდა სპეცსემინარს ამავე დარგში.

1 „იურიდიული მიეზანი“, თბილისი 1977; გ. ტყემულიაძე - სტატია „მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“.

2 „იურიდიული მიეზანი“, თბილისი 1977; გ. ტყემულიაძე - სტატია „მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“.

1949 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მიზგობრივი კავშირი სისხლის სამართალში“. თინათინ წერეთელი იყო ჩვენს ქვეყანაში პირველი მეცნიერი ქალი, რომელსაც მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის და პროფესორის წოდება სისხლის სამართალში. ის იყო ერთადერთი იურისტი ქალი, რომელიც იყო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

1950-52 წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე.

1957 წლიდან ხელმძღვანელობდა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სამართლის განყოფილებას.

განსაკუთრებით დიდია თინათინ წერეთლის დამსახურება დანაშაულის ცნების სტრუქტურის სწორად გააზრებაში, რაც მთელი სისხლის სამართლის სისტემის საფუძველს წარმოადგენს. წლების განმავლობაში მეცნიერს მწვავე პაექრობა ჰქონდა ამ საკითხებზე რუსული საბჭოური სისხლის სამართლის კორიფეებთან. ამ პაექრობამ მას კიდევ უფრო დიდი სახელი მოუხვეჭა თვით მონინაალმდეგეთა წრეებში.<sup>3</sup> მისი ფუნდამენტური მონოგრაფიებია: „დანაშაულის მომზადება და მცდელობა“ (1961); „თანამონაწილეობა დანაშაულში“ (1965); „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი“ (1966); „მოძღვრება დანაშაულზე“ (1969).

აქტიურ მონაწილეობას იღებდა სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებისა და სასამართლოს შესახებ კანონპროექტების მომზადებაში.

პროფესორი თინათინ წერეთელი, მეცნიერულ-პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ეწეოდა საზოგადოებრივ საქმიანობას. იგი შვიდჯერ აირჩეს ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატად. პროფ. თინა წერეთელი იყო საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოსთან არსებული არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წევრი; საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოსთან არსებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს წევრი; ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ და ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სარედაქციო კოლეგიების წევრი. მონაწილეობდა საერთაშორისო კონგრესებსა და სიმპოზიუმებში.

თინათინ წერეთლისათვის იურისტიკის ზნეობრივ პრინციპებსა და სახეს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისათვის, რომ მისი მოწაფე ადამიანობის, უანგარობის, კანონიერების დაცვის ნიშნში ყოფილიყო. მისი რწმენით, ახალგაზრდა, რაგინდ ნიჭიერი და ბეჭითიც უნდა იყოს, ვერ გახდება ნამდვილი მეცნიერ-იურისტი, თუ არ ჩამოყალიბდა სანიმუშო მოქალაქედ, სპეტაკ, პრინციპულ და შეუპოვარ მსახურად სამართლიანობისა, ჭეშმარიტ მამულიშვილად.<sup>4</sup>

თინათინ წერეთლისა და ვლადიმერ მაყაშვილის პირადი არქივი დაცულია საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

თინათინ წერეთლის სახელს ატარებს თბილისის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი.

სტატია მომზადებულია **თინათინ შულაროვას**,  
პროექტ ჟურნალ „ადვოკატის“ კოორდინატორის, მიერ.

3 „სისხლის სამართლის თანამედროვე პრობლემები“, 2006; ო. გამყრელიძე - „თინათინ წერეთლის დაბადების მე-100 წლისთავის გამო“.

4 „იურიდიული მიგზანი“, თბილისი 1977; გ. ტყეშელიძე - სტატია „მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო  
თბილისის შრომის წითელი დროვის ორჯონიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგამოცდო ბილეთი № 18

კათედრა სოციალ. სამართალი

საგანი

1. განმარტეთ სპონტანუმი სპონტანუმი

2. განმარტეთ უსწრებელი სხვა სხვა სპონტანუმი

3. მიხედვით განმარტეთ.

კათედრის გამგე:

საგნის ხელმძღვანელი: თ. ანდიაშვილი

ოსტ. სტ., შ. 725, ტ. 20.000, 1978

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო  
თბილისის შრომის წითელი დროვის ორჯონიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგამოცდო ბილეთი № 19

კათედრა სოციალ. სამართალი

საგანი სოციალ. სამართალი ძირითადი პრინციპები

1. ძირითადი პრინციპები პირის ავტონომიურობისა და თავისუფლების შესახებ

2. განმარტეთ პრინციპები პირის უსწრებელი სხვა სოციალ. სამართალი კანონმდებლობის შესახებ

3. მიხედვით განმარტეთ პრინციპები

კათედრის გამგე:

საგნის ხელმძღვანელი: თ. ანდიაშვილი

ოსტ. სტ., შ. 725, ტ. 20.000, 1978

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო  
თბილისის შრომის წითელი დროვის ორჯონიძის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საგამოცდო ბილეთი № 20

კათედრა სოციალ. სამართალი

საგანი სოციალ. სამართალი ძირითადი პრინციპები

1. ევანგელისტიკური იდეა

2. ძირითადი პრინციპები სოციალ. სამართლის შესახებ კანონმდებლობის შესახებ

3. განმარტეთ ევანგელისტიკური იდეა პირის უსწრებელი შესახებ

კათედრის გამგე:

საგნის ხელმძღვანელი: თ. ანდიაშვილი

ოსტ. სტ., შ. 725, ტ. 20.000, 1978

საგამოცდო ბილეთები, შედგენილი პროფესორ თინათინ წერეთლის მიერ.  
ხელნაწერი, ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში



### **ადვოკატთა საყურადღებოდ!**

ყველა ადვოკატს შეუძლია ჟურნალში განათავსოს სამეცნიერო ნაშრომი. თქვენ მიერ გამოგზავნილი სტატია განიხილება სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე და, კოლეგიის წევრთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში, გამოქვეყნდება ჟურნალ „ადვოკატის“ მომდევნო ნომერში.

გისურვებთ წარმატებებს!